პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76
} მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

ხუთშაბათი, 18 ნოემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 264 (1719)

დ ღ ი უ რ ი

პუანკარემ მთავრობამ საფრანგეთიდან გააძევა კატალონელი რევოლიუციონერები.
განაახლა მუშაობა იტალიის სენატმა.
უნგრეთში დაიწყო საარჩევნო კამპანია.
კუნძულ იავაზე აჯანყება გრძელდება.
ვარშავაში იხსნება პოლონელ მონარქისტების ყრილობა.
კანტონში დაარსდა სუნ-იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება.
პოლონეთის სეიმში დაიწყო ბიუჯეტის განხილვა.
17 ნოემბერს ამხ. ჩიჩერინი ოდესიდან დაბრუნდა მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1926 წლის აღწერა

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

დეკემბერში დაიწყება საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის აღწერა, რაც მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა ჩატარებული. მთავრობას ამ აღწერის ჩატარება ჯერ კიდევ შარშან უნდოდა, მაგრამ საშუალებების უქონლობის გამო წრევანდლამდე გადასდო.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც გეგმიან სოციალისტურ მეურნეობის მოწყობა დაუსახავს მიზნად, უნდა ემყარებოდეს თავისი ძალებისა და რესურსების რაც შეიძლება სწორ აღრიცხვას და მათ გეგმიან გამოყენებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის საქმეში. ჩვენი აღრიცხვა და გამოანგარიშება რესურსების გამოყენების დროს ჯერ კიდევ მხოლოდ დაახლოვებითია. ამიტომ ყოველგვარი საადრიცხვო ოპერაცია, მით უფრო ისეთი, როგორიც არის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. რომელმაც უნდა მოგვცეს უტყუარი ცნობები საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ძალების და რესურსების შესახებ. დიდი მნიშვნელობის მქონე საქმეა, რასაც დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდონ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ორგანოები. ჩვენ არ მოგვეპოება საკმაო ამომწურავი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენია მოსახლეობა ცალკე რაიონებში, როგორ იყოფა იგი პროფესიის და ეროვნების მიხედვით, რამდენმა იცის მცხოვრებლებს შორის წერა-კითხვა და რამდენმა არა და სხვა.

მოსახლეობის აღწერა, თუ ის წარმატებით იქნება ჩატარებული, საშუალებას მოგვცემს უფრო სისწორით გამოვარკვიოთ მოსახლეობის მუშაობის დარგი და მისი განაწილება სხვადასხვა სოციალურ და ნაციონალურ ჯგუფების მიხედვით. გარდა ამისა, აღწერა საკმაო და აუცილებელ მასალას მოგვცემს პურისა და საქონლის საკვების ბალანსის გამოსაანგარიშებლად და სამრეწველო საქონლის მომარაგების გეგმების შესადგენად. ის მტკიცე საფუძველს შეუქმნის აგრეთვე ჩვენი საავადმყოფოების, სკოლების ქსელების მოწყობას, ადმინისტრატიულ დანაწილებას, ჩვენს საარჩევნო ორგანოების სისტემას და სხვ. შეუძლებელია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს რომელიმე ორგანო არ იყვეს დაინტერესებული ამ აღწერის წარმატებით. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ორგანოებმა, განსაკუთრებით ადგილებზე, სადაც უშუალოდ გაჩაღებული იქნება აღწერის ოპერაცია, ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ ამ უდიდეს მუშაობას, მათ უნდა მოსპონ ყოველგვარი დაბრკოლებები, რომელიც მას გადაეღობება.

საერთო დახმარების აღმოჩენას აღწერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ ვატარებთ. აღწერისათვის გაღებულ კრედიტების რაოდენობა უაღრესად განსაზღვრულია ჩვენი ფინანსიური რესურსებით. ისინი დაზოგვით უნდა იქნენ გამოყენებული, ხოლო მათი საშუალებით კი უდიდესი შედეგები უნდა იქნეს მიღწეული. ფართო დახმარების აღმოჩენა სტატისტიკისათვის ჩვენი სახელმწიფო აპარატის სხვა ნაწილების მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფოს რაც შეიძლება ნაკლები თანხების გაღებით მეტ შედეგებს მიაღწიოს.

ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არა მარტო სახელმწიფო, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი და კულტურული მუშაკები გაიმსჭვალონ მომავალი მუშაობის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის შეგნებით. აღწერის საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ ყველანი, ვინც ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ აქტივს წარმოადგენს, აგრონომები, მასწავლებლები, მოწაფეები. თავის მუშაობას ისინი უწინარეს ყოვლისა სამოქალაქო მოვალეობის შესრულებად უნდა სთვლიდენ. აღწერის ჩამტარებელ მუშაკების ხელფასი შესაძლოა უმნიშვნელოდ ჩაითვალოს. მაგრამ აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ევროპის უფრო მდიდარ სახელმწიფოებშიაც რეგისტრატორების ხელფასი ან ძალიან მცირეა, ან მათი მუშაობა თითქმის სრულიად უსასყიდლოა და მას სამოქალაქო მოვალეობის საპატიოდ მოხდის პრინციპი უდევს საფუძვლად.

უფრო მეტად, ვინემ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, საბჭოთა სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს თავის კულტურულ მუშაკებს თავიანთი სამოქალაქო მოვალეობის ენერგიულად შესრულება, ვინაიდან მთელი მათი მუშაობა მოხმარდება მშრომელთა კეთილდღეობას.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს უფრო სწორი და საქმის ნამდვილი ვითარების ამომწურავი ცნობები, სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილებით, რომელიც განმეორებულ იქნა ყველა დანარჩენ საკავშირო რესპუბლიკების დადგენილებებში, სასტიკად აკრძალულია „აღწერის ფორმულიარებში დასმულ კითხვებზე მოქალაქეების პასუხი გამოყენებულ იქნეს რაიმე სხვა მიზნებისათვის, გარდა სტატისტიკურ ცხრილების შედგენისა“. სახელმწიფო აღწერას სთვლის უდიდეს საშუალებად ისეთი ცნობების მისაღებად, რომელიც აუცილებელია გეგმაშეწონილ სისტემატიურ მუშაობისათვის ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების გასაუმჯობესებლად. აღწერა წარმოადგენს დიდ საბჭოთა საზოგადოებრივ კამპანიას. რომლითაც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა და რომელსაც ხელი უნდა შეუწყონ ყველა შეგნებულმა მოქალაქეებმა.

მოსახლეობის აღწერა მოგვცემს საჭირო დასაყრდენს ყველა სხვა სტატისტიკურ სამუშაოებისათვის. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები ამჟამად გაცხოველებულ მზადებას ეწევიან აღწერისათვის. ვუსურვოთ მათ, რომ მოსახლეობის აღწერის დამთავრებით დაემთავრებინოთ საბჭოთა სტატისტიკის ორგანიზაციის აღდგენითი პროცესი.

ა. რიკოვი.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 17 ნოემბერი.

საჭიროა მეტი სიმტკიცე

საცალო ფასების დაკლება პარტიისა და ხელისუფლების მიერ აღიარებულია უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო ამოცანათ. უკანასკნელი 4-5 თვის განმავლობაში ამ ამოცანის მოსავარებლად გადადგმული იყო ადმინისტრატიული ხასიათის ნაბიჯები. ამასთან ერთად საცალო ფასების დაკლების სასარგებლოდ თითქოს შეიცვალა ობიექტიური პირობებიც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კატეგორიული ხასიათის განკარგულება, ასეთივე ღონისძიებები, ცალკე სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ და ამავე დროს, რაც უმთავრესია ამ უკანასკნელ ხანებში მრეწველობის პროდუქციის თვიდან-თვემდი მნიშვნელოვანი ზრდა. ასეთ პირობებში მოსალოდნელი იყო, რომ საცალო ფასების დაკლებისათვის წარმოებული კამპანია დამაკმაყოფილებელ ნაყოფს გამოიღებდა.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ სინამდვილეში? არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ საც. ფასების დაკლება ჩვენ ვერ შევძელით წინასწარ განზრახულ ტემპით. პირიქით, ბევრ შემთხვევაში წინააღმდეგ მოვლენასაც აქვს ადგილი. ჩვენმა სამეურნეო და სავაჭრო ორგანოებმა არა თუ ვერ დაუკლეს ფასებს, არამედ ზოგიერთ ცალკე შემთხვევებში ვერც იმ დონეზე შეაჩერეს ფასები, რომელზედაც ისინი იყო საცალო საქონლის გაიაფების კამპანიის დაწყებამდე.

რატომ მოხდა ეს?

ჯერ ერთი ფასების დაკლების მთავარი გამტარებელი კოოპერაციის დაბალი ქსელი იყო. ჩვენ ვიცით, რომ უმეტეს შემთხვევაში კოოპერაცია ზარალით ვაჭრობს. კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა არასოდეს ყოფილა სახარბიელო. ცხადია ფასების დაკლების გატარება მოითხოვდა ჩვენს სავაჭრო ორგანიზაციებიდან ერთგვარ მსხვერპლს. შეეძლო თუ არა ასეთი მსხვერპლის გაღება ისედაც დავალიანებულ კოოპერატივს? ცხადია, არა.

ესაა ერთი მთავარ შემაფერხებელ გარემოებათაგანი, რომელიც წინ ეღობება საცალო ფასების დაკლების წარმატებით გატარებას. ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს საბითუმო ვაჭრობის მოწესრიგებასაც. საცალო და საბითუმო ვაჭრობა მჭიდროთაა ერთმანეთზე გადანასკვული, ან უკეთ. რომ ვთქვათ, საცალო ვაჭრობის ფასები თითქმის მთლიანად დამოკიდებულია საბითუმო ვაჭრობის ფასებზე. მრეწველობის პროდუქციის ზრდასთან ერთად უნდა გვეფიქრა, დაიკლებდა საბითუმო ფასებიც. ნამდვილათ კი ეს ასე არ მოხდა. საბითუმო ფასები ბევრ შემთხვევაში კიდევაც გაიზარდა. ამის მიზეზი იყო ნედლეულის მასალის ფასების აწევა. უკანასკნელ ხანებში ნედლეულის ფასები საგრძნობლად გაიზარდა, რამაც თავისი გავლენა იქონია მრეწველობის პროდუქციის ფასებზე.

ამ ორ მთავარ დაბრკოლებას საცალო ფასების დაკლების საქმეში თან დაერთო ჩვენი სავაჭრო აპარატის ბიუროკრატიზმი, მოუქნელობა და ზოგჯერ აშკარა, შეგნებული წინააღმდეგობაც წარმოებულ კამპანიის გატარებაში.

ასე მაგალითად, ბევრ კოოპერატივების მუშაობის პრაქტიკაში თითქმის კანონად გადაიქცა მოგების მიზნით ფასების არსებულ ნორმაზე. ზევით წამატება. საქონლის ნაკლებობის პირობებში, როცა კოოპერატივს მოქიშპე არავინა ჰყავს, ამგვარი შესაძლებლობის ფართე ასპარეზი იქმნება. თვითნებური ფასების დაწესების ცდუნება აქ დიდია და ბევრი ამ ცდუნებას თავს ვერ აღწევს.

ასეთია მოკლეთ ის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, რომელნიც თავის კვალს აჩენენ საცალო ფასების დაკლების საქმეზე და ამრიგად საგრძნობლად აბრკოლებენ შინაურ ბაზრის მოწესრიგების საქმეს.

რა ზომები უნდა იქნას მიღებული ამ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად? რომ კოოპერაც. დაბალმა ქსელმა პირნათლად და მტკიცედ გაატაროს საცალო ფასების დაკლება, საჭიროა მას მიეცეს ამისათვის რამდენადმე მაინც შესაფერისი მატერიალური შესაძლებლობა. აქ ისმება საკითხი ძველ და უკვე საკმაოთ ცნობილ საკითხზე—ესაა კრედიტი კოოპერაციისათვის. კოოპერაციას უნდა შეუმსუბუქდეს საკრედიტო პირობები, ისე რომ მან მოასწროს აღებული სესხის გადაბრუნება, მისი სარფიანად გამოყენება.

ასევე უნდა დაისვას საკითხი საქონლის კრედიტის შესახებაც. კოოპერაციას უნდა მიეცეს მეტი შესაძლებლობა ისარგებლოს საქონლის კრედიტით. ვიდრე ეს ეხლა არის. კოოპერაციამ უნდა შესძლოს ნისიათ აღებული საქონელი „სულდათქმით“ და შესაფერის ფასებში დაარიგოს და დავალიანებაც პირნათლად გასწოროს.

რაც შეეხება ჩვენი სავაჭრო ორგანოების თვითნებობას და უნდობლობას აღმოფხვრან თავიანთი მუშაობის პრაქტიკიდან ფასების თვითნებური დაწესება, ასეთ მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად გარდა ადმინისტრატიულ საშუალებებისა არსებობს აგრეთვე ეკონომიურ ზეგავლენის ძლიერი იარაღი. საკრედიტო და საქონლის მიმწოდებელი ორგანოები იმ კოოპერატივებს აღმოუჩენენ შემწეობას და დახმარებას, რომელნიც მტკიცედ ატარებენ პარტიისა და ხელისუფლების ხაზს, რომელნიც ამ შემთხვევაში მეტ კეთილსინდისიერებას და ხალისს იჩენენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფასების დაკლების საქმეში სოფელს. ქალაქში შედარებით ადვილია სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოების საქმიანობის კონტროლი და ხელმძღვანელობა, ვიდრე სოფლად. ამიტომაა, რომ კოოპერატიულ ვაჭრობის ეთიკის და არსებულ წესების დარღვევის მეტი შემთხვევა სწორედ სოფლად ხდება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა მნიშვნელობა აქვს ფასების დაკლებისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდას. ფასების ცვალებადობა და საბჭოთა მანეთის სყიდვითი უნარიანობის სიმტკიცე პირდაპირ დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. სამუშაო დროის გაცდენა, ნედლ მასალის მიწოდების საქმის მოუწესრიგებლობა, გულცივობა და დაუდევრობა საქმისადმი, შრომის ნაყოფიერების მტერია. ამ მტკივნეულ მოვლენათა წინააღმდეგ დაუზოგავად უნდა იბრძოლონ ჩვენმა პროფკავშირებმა, სამეურნეო მუშაკებმა და ძირითად პარტიულ ორგანიზაციებმა.

საცალო ფასების დაკლებას აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობა. ქალაქისა და სოფლის კავშირი, ჩერვონეცის კურსის განმტკიცება, რეალური ხელფასის გადიდება, მშრომელი გლეხკაცობის ეკონომიური პირობების გაუმჯობესება და სხვა—ყველაფერი ეს მჭიდროთაა გადანასკვული საცალო ფასების დაკლების საკითხთან. დაწყებული კამპანია ჯერ არაა გაშლილი და შესრულებული სათანადოთ. საჭიროა საცალო ფასების დაკლების ამოცანის მთელი მნიშვნელობის შეგნება, საჭიროა მეტი სიმტკიცე და მშრომელი მასის აქტივობის გამოყენება დაწყებულ კამპანიის გამარჯვებით დასრულებისათვის.

ა. გ.

მემაღაროეთა სარაიონო კონფერენციები მთავრობის პირობების წინააღმდეგ

ინგლისის მუშათა მოძრაობის ოპოზიციონური უმცირესობის მოწოდება გაფიცულთა დასახმარებლად

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის საკითხი თემთა პალატაში

უცხოეთის პრესა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

გაფიცვა ინგლისში

მაღაროს მეპატრონენი და დელეგატების მემარჯვენე ჯგუფი

ლონდონი, 17 ნოემბერი. 16 ნოემბერს მაღაროს მეპატრონეებს შეხვდა დელეგატების ის მემარჯვენე ჯგუფი, რომელიც ნოტინგამშირის მემაღაროეთა დელეგატებს გამოეთიშა სპენსერის მეთაურობით. მაღაროს მეპატრონეებმა წინადადება მისცეს, რომ 7-ნახ სამუშაო დღის საფუძველზე ისინი შესაძლებლად სცნობენ 1914 წლის სამუშაო ხელფასის განაკვეთებს მოუმატონ —პირველ სამი თვის განმავლობაში—80 პროც., შემდეგ სამი თვის განმავლობაში—70 პროც. და შემდეგი სამი თვის განმავლობაში—60 პროცენტი.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გაფიცვის დაწყებიდან საპროცენტო მომატება ნოტინგამშირში შეადგენდა 46 პროცენტს. ნოტინგამშირის მაღაროს მეპატრონეთა მიერ წარდგენილი წინადადებანი მოწმობენ იმ დიდი მოგების შესახებ, რომელიც უკანასკნელ ხანებში მიიღეს ცენტრალური ინგლისის სანახშირო რაიონების მაღაროს მეპატრონეებმა.

მთავრობის წინადადებანი ითვალისწინებენ მინიმალურ მომატებას—20 პროცენტს. (ადს).

უმცირესობის ნაციონალური მოძრაობის ცეკას მოწოდება

ლონდონი, 17 ნოემბერი. უმცირესობის ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„იმ კრიტიკულ მომენტში, რომელშიაც ეხლა იმყოფება გაფიცვა, ყველა მუშები უნდა გაერთიანდენ სამთამადნო მუშების დახმარების საქმეში. ინგლისის კაპიტალიზმი უკიდურეს მდგომარეობაშია. ჩვენი ლოზუნგია: „უკუაგდეთ ქედის მომხრელი პირობები და მემაღაროები გაიმარჯვებენ“.

შემდეგ მოწოდებაში აღნიშნულია მთელი რიგი პრაქტიკულ წინადადებებისა, რომელიც განხორციელებული უნდა იქნეს მემაღაროეთა დასახმარებლად. (ადს).

კენჭის ყრის შედეგები

ლონდონი, 17 ნოემბერი. მთავრობის წინადადებათა კენჭის ყრის შედეგები მემაღაროეთა რაიონულ ორგანიზაციებში და მაღაროს კომიტეტებში გვიჩვენებენ, რომ შოტლანდიისა და სამხრეთ უელსში მემაღაროენი ამ წინადადებათა წინააღმდეგ არიან განწყობილნი. ამ რაიონების მაღაროს კომიტეტების უმრავლესობამ ხმა მისცა მთავრობის წინადადებათა მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების სასარგებლოდ. კილსიტის მემაღაროებმა დაადგინეს დასწვან მთავრობის წინადადებათა ასლი, რომელიც მათ მიიღეს რაიონულ ორგანიზაციის აღმასკომისაგან.

რიმნესისა და ნიუ-ტრიდან გამის მემაღაროეთა მიტინგზე, რომელსაც დაესწრო 5.000 კაცი, მთავრობის წინადადებათა მიღებას ხმა მისცა 1 კაცმა, ვესტმანდლენდის (ის რაიონია, რომელშიც მაღაროს მეპატრონეთა განცხადებით მუშაობას დაუბრუნდა მემაღაროეთა 80 %)

ფედერაციის რაიონულმა აღმასკომმა გადასწყვიტა არ აიღოს პასუხისმგებლობა მთავრობის წინადადებათა მიღებისა ან უარყოფისა და დაავალოს თავის წარმომადგენელთ, რომ სადელეგატო კონფერენციაზე გააშუქონ რაიონში შექმნილი მდგომარეობა. (ადს).

ნაციონალური საარბიტრაჟო ტრიბუნალი

ლონდონი, 17 ნოემბერი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ნაციონალური საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომელიც გათვალისწინებულია მთავრობის მიერ წარმოდგენილ პირობებში, დაარსებულ იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მემაღაროეთა ფედერაცია განკარგულებას გასცემს მუშაობის განახლების შესახებ. (ადს).

გაფიცვით გამოწვეული ზარალი.

ლონდონი, 17 ნოემბერი. ინგლისის სავაჭრო პალატების ასოციაციის თავმჯდომარემ, როცა იგი ლაპარაკობდა ნორდჰემპტონის შესახებ, განაცხადა, რომ მემაღაროეთა გაფიცვით გამოწვეულმა ხარჯებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და იგი ფიქრობს, რომ გადიდებულ იქნება გადასახადი შემოსავლის კვალობაზე და დამატებითი გადასახადები. (ადს).

ხიქსის ახალი პროვოკაცია

„მოსკოვის გავლენა“

ლონდონი, 16 ნოემბ. ნიუპორტში სიტყვა წარმოსთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა **ჯონსონ ხიქსმა,** რომელმაც განაცხადა:

„ადრე თუ გვიან მოსკოვის გავლენას სამთამადნო მუშების გაფიცვაზე ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ ინგლისის მრეწველობის განვითარება შეაფერხონ საბჭოთა მთავრობის აგენტების მეოხებით“. (ადს).

მიტინგის აკრძალვა

ლონდონი, 16 ნოემბერი. წარსული კვირის ბოლოს დერბიშირში და ნოტინგამშირში მიტინგებზე გამოსვლა განზრახული ჰქონდათ მუშათა პარტიის წევრებს მექსტონს და კერვუდს, მაგრამ პოლიციამ მიტინგები აკრძალა. (ადს).

კარიკატურა არ მოეწონათ

ლონდონი, 16 ნოემბ. „დეილი-მეილ“ მოწინავე წერილში გამოეხმაურა ჯონსონ ხიქსის განცხადებას საბჭოთა კავშირის მიერ სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის და ბრიტანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდის წარმოების შესახებ. გაზეთი ამტკიცებს, რომ ვაჭრობა ინგლისისა და საბჭოთა კავშირს შორის უკანასკნელ დროს „სრულიადაც არ არის ხელსაყრელი ინგლისისათვის“ იმ ზარალის გამო, რომელიც მოაქვს „მოსკოვის მიერ მოწყობილ გაფიცვებს“. გაზეთი სვამს კითხვას: დრო არის თუ არა, რომ მთავრობამ „გააძევოს“ ინგლისიდან საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. გაზეთი ეყრდნობა „პრავდა“-ს ოქტომბრის საიუბილეო ნომრის ზოგიერთ ადგილებს და მაიკელის კარიკატურას „დაჭრილი ჯონ ბული“. (ადს).

ინგლისის თემთა პალატაში

ჩემბერლენი ეგვიპტეს შესახებ

ლონდონი, 17 ნოემბერი. თემთა პალატაში ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა: შეუძლია თუ არა მას გააკეთოს განცხადება ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკის შესახებ ეგვიპტეში, იმ პოლიტიკის, რომელიც გამომდინარეობს ეგვიპტის გარეშე საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკებიდან ამ უკანასკნელის ინგლისში ჩამოსვლის დროს.

ჩემბერლენმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობას აქვს სურვილი ითანამშრომლოს ეგვიპტეს მთავრობასთან. მან თავის მხრივ ასეთივე განცხადება მიიღო ეგვიპტეს მინისტრისაგან, რომ ეგვიპტეს მთავრობა იზიარებს ამ სურვილს.

შემდეგ ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა: მიეცა თუ არა გერმანიას რაიმე გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი კენიგსბერგსა და კუსტრინში აგებს სიმაგრეებს, რაიც არღვევს ვერსალის ხელშეკრულების მე-180 მუხლს.

ამ შეკითხვაზე ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ამ საკითხს ეხლა იხილავენ მოკავშირე მთავრობები. (ადს).

„კერძო“ კანონ-პროექტი

ლონდონი, 16 ნოემბერი. თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორმა დიქსიმ ითხოვა, რათა ნება დაერთო პალატას, რომ მას წარედგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალით თავიდან იქნება აცილებული გაფიცვის ან ლოკაუტის შესაძლებლობა მრეწველობაში წამოჭრილ კონფლიქტის დროს, მანამდე, სანამ წინასწარ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას გამოიტანდეს სასამართლო, რომელიც ამ მიზნისათვის უნდა შეიქმნეს.

თავისი კანონ-პროექტის დასაცავად დიქსიმ აღნიშნა, რომ ის არ მოითხოვს გაფიცვის უფლების წართმევას მუშებისათვის იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟის გზით კონფლიქტის მოგვარების ცდა უნაყოფოდ დამთავრდება.

კანონპროექტის შეტანის წინააღმდეგ გაილაშქრა მუშათა პარტიის წევრმა ხედეიმ, რომელმაც განაცხადა, რომ, თუ ეს კანონპროექტი ცხოვრებაში გატარდა მას სამწუხარო შედეგი მოჰყვება, ის დიდი ხნით შეაფერხებს არსებულ მომრიგებელ აპარატის მუშაობას და აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. კენჭის ყრის გზით 135 ხმით 82-ის წინააღმდეგ პალატამ ნება დართო დიქსის წარედგინა თავისი კანონ-პროექტი, რომელიც პირველი წაკითხვით მოსმენილ იქნა.

კანონ-პროექტი წარმოადგენს „კერძო“ კანონ-პროექტს, ე. ი. მისი ავტორია ცალკე დეპუტატი, მაგრამ არა მმართველი პარტია მთლიანად. (ადს).

ლისტერი საბჭოთა საბაჟო ტარიფის შესახებ

ლონდონი, 16 ნოემბერი. ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე ვაჭრობის მინისტრს ლისტერს მისცეს შეკითხვა: შეუძლია თუ არა მას წარმოადგინოს პროცენტებში საერთო შედარებითი ცნობები საბჭოთა კავშირში და ინგლისში არსებულ საბაჟო ტარიფების შესახებ. ლისტერმა უპასუხა, რომ მან არ იცის, როგორ შეიძლება პრაქტიკულად დამაკმაყოფილებელი შედარების გატარება.

კონსერვატორმა ხენიჯმა ვაჭრობის მინისტრს შეკითხვა მისცა, შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ საბაჟო ტარიფები საბჭოთა კავშირში იმდენად მაღალია, რომ იქ საქონლის შეზიდვა უცხოეთიდან შეუძლებელია. ლისტერმა უპასუხა, რომ ბაჟები ზოგიერთ შესაზიდ საქონელზე საბჭოთა კავშირში მართლაც ძალიან მაღალია, მაგრამ ისეთ ქვეყანას, რომელსაც მთელი საგარეო ვაჭრობა თავის ხელში უჭირავს (ლისტერს მხედველობაში აქვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია) და ამიტომ საშუალება აქვს აკრძალოს ამა თუ იმ საგნით ვაჭრობა, მიუხედავათ ტარიფისა, ვერ შევადარებთ ქვეყანას, სადაც უაღრესად დაბალი ტარიფია და საგარეო ვაჭრობაც სავსებით თავისუფალია. (ადს).

საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 16 ნოემბერი. საიმპერიო კონფერენციის სხდომაზე განხილული იქნა იმპერიის თავდაცვის საკითხები. ოფიციალური ცნობები სხდომის შესახებ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ გადმოგვცემენ, რომ დომინიონების წარმომადგენლებს განსახილველად წარედგინა ხარჯთ-აღრიცხვა სინგაპურში საზღვაო ბაზის ასაგებად. ეს ხარჯთ-აღრიცხვა მათ წარედგინათ იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ, თუ როგორ ფინანსიურ დახმარებას გაუწევენ დომინიონები ამ პროექტს. ხარჯები ბაზის ასაგებად ნავარაუდევია 10,5 მილიონი გირ. სტერლ., თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული სიმაგრეების ასაშენებელი ხარჯები.

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები სინგაპურში ბაზის აგების მომხრენი არიან. მაგრამ არც ავსტრალიის და არც ახალი-ზელანდიის მთავრობამ არ იკისრეს არავითარი ფინანსიური ვალდებულება. სამხრეთ-აფრიკის კავშირი კატეგორიული წინააღმდეგია ბაზის აგებისა; კანადა და თავისუფალი ირლანდიის სახელმწიფო გულგრილად ეპყრობა ამ საკითხს და მეტად საეჭვოა, რომ ისინი დასთანხმდენ გაიღონ თანხები ამ ბაზის აგებისათვის.

იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა

როგორც ფრანგული გაზეთი „მატენ“ ამ დღეებში გადმოგვცემდა, მუსოლინს განუცხადებია, რომ საფრანგეთ-იტალიის ინცინდენტი მოწესრიგებულია და იტალია შედის საფრანგეთთან საუკეთესო დამოკიდებულების ხანაში. „საუკეთესო დამოკიდებულებაზე“ ლაპარაკი ჩვეულებრივი დიპლომატიური თვალთმაქცობაა, მაგრამ არ არის შეუძლებელი საფრანგეთ-იტალიის ერთგვარი, თუნდაც დროებითი ხასიათის შეთანხმება.

იტალია-საფრანგეთის დამოკიდებულება კარგა ხანია რაც საკმაოდ გართულებულია. ბოლო დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ანტიფრანგული მოძრაობა იტალიაში. კერძოდ, ჩვეულებად იქცა მუსოლინზე თავდასხმების გამოყენება საფრანგეთის საწინააღმდეგო განწყობილების გასაღვივებლად. ამ მხრივ მუსოლინისა და მთელი ფაშიზმისათვის არაჩვეულებრივად საკანდალო ფაქტები გამოაშკარავდა.

საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა პოლკოვნიკი რიჩიოტი გარიბალდი, რომელიც მეთაურობდა ანტიფაშისტურ მოძრაობას და რომელიც, როგორც თვითონ გამოტყდა, აღმოჩნდა ფაშისტების აგენტი-პროვოკატორი. მას, სხვათა შორის, დავალებული ჰქონდა საფრანგეთის პასპორტებით მომარაგებულ პირების გაგზავნა იტალიაში ვითომდა მუსოლინზე „თავდასხმის“ მოსაწყობად, რომ ამით მუსოლინის მთავრობას საფრანგეთისათვის ბრალდება წაეყენებია ფაშიზმის მტრებისათვის ხელის შეწყობაში (პასპორტის მიცემა). ფაშისტები ამ შემთხვევაში მიზნად ისახავდენ არა მარტო იმის მიღწევას, რომ საფრანგეთის მთავრობას თავის ტერიტორიაზე თავშეფარების საშუალება არ მიეცა იტალიელ ანტიფაშისტურ ემიგრანტებისათვის. მათი განზრახვა გაცილებით უფრო ფართე იყო.

ფაშისტები ცდილობდენ იტალიის ხალხის ამხედრებას საფრანგეთის წინააღმდეგ მის კოლონიების ხარჯზე იმპერიალისტული გაფართოების მოტივებით. ამავე მიზნით მათ სურდათ, სხვათა შორის, ისპანიის გადაკიდება საფრანგეთზე; იმავე გარიბალდის მონაწილეობით საფრანგეთის ტერიტორიაზე ეწყობოდა რაზმი ისპანიაში შესაჭრელად და ე. წ. კატალონიის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. ყველაფერი ეს გამოაშკარავდა, მაგრამ მუსოლინი ინტიბარს არ იტეხს და ოდნავადაც არ ფიქრობს თავის იმპერიალისტურ გეგმებზე ხელის აღებას.

იტალიის იმპერიალიზმი ისწრაფვის ხელში ჩაიგდოს ერთი მხრივ ხმელთა შუა ზღვის მახლობლად მდებარე ტერიტორიები, მეორე მხრივ თავისი გავლენა გაავრცელოს ახლო აღმოსავლეთზე. მაგრამ ორივე ამ პუნქტზე ფეხი აქვს მოკიდებული საფრანგეთის იმპერიალიზმს. მათი ინტერესები ეჯახებიან ერთმანეთს აგრეთვე ჩრდილოეთ აფრიკაშიც, სადაც საფრანგეთის კოლონიებია თავმოყრილი. იტალიის ზედმეტი მოსახლეობა ამ კოლონიებისაკენ ილტვის დასასახლებლად. ამ კოლონიებთან იტალიას შეუძლია ფართე აღებ-მიცემობაც გააჩაღოს, მაგრამ საფრანგეთი ამ მხრივ ზღუდავს იტალიის მისწრაფებებს.

როგორც ვხედავთ, იტალიასა და საფრანგეთ შორის ადგილი აქვს ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობას. შემტევ მხარედ ამ შემთხვევაში იტალია გამოდის. მაგრამ საფრანგეთი იძულებულია ერთგვარი თავდაჭერილობა გამოიჩინოს, ვინაიდან მისთვის აშკარაა, რომ თუ საქმე სერიოზულ კონფლიქტამდე და ომამდე მივიდა, იტალიას ინგლისი გაუმაგრებს ზურგს. ამიტომ საფრანგეთი თითქო ერთგვარ დათმობებზე მიდის. სხვათა შორის მოლაპარაკება წარმოებს სირიის მანდატის მიცემაზე იტალიისათვის. ეს უეჭველად დიდ საშიშროებას შექმნიდა ოსმალეთისათვის, ვინაიდან სირიიდან იტალიას ოსმალეთის მიწა-წყალზე შემოჭრის საშუალება მიეცემა.

საფრანგეთის წინააღმდეგ იტალიის მორიგ გალაშქრებაში უკანასკნელ როლს არ თამაშობს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების საკითხი. ეს დაახლოვება ეწინააღმდეგება როგორც იტალიის, ისე მის მოკავშირის, ინგლისის ინტერესებს. ფოლადის ტრესტის შექმნას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს იტალიის მძიმე ინდუსტრიას. საყურადღებოა მისთვის ტიროლის ბედი: ტიროლზე საფრანგეთთან კავშირით გაძლიერებული გერმანია თავის პრეტენზიებს განაცხადებს.

უეჭველია, რომ იტალია დღეს აქტიურად გამოვიდა საფრანგეთის წინააღმდეგ ლონდონთან სრული შეთანხმებით. მათი მიზანია საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების ჩაშლა და საფრანგეთის მოქცევა კვლავ ინგლისის საგარეო პოლიტიკის გავლენის სფეროში.

როგორადაც არ უნდა დატრიალდეს ამჟამად საქმეთა ვითარება, საბოლოო ანგარიშით იმდენად გარდაუვალია ინტერესთა წინააღმდეგობა იტალიასა და საფრანგეთს შორის, ინგლისსა და საფრანგეთ შორის, რომ მათი შერიგების სიმკვიდრეზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ შეიძლება მხოლოდ დროებითი და საეჭვო კომპრომისები. და ეს, ცხადია, ოსმალეთის და აღმოსავლეთის ხალხთა ხარჯზე. მაგრამ ძალთა ძალთა განწყობილების მცირეოდენ შეცვლისთანავე იმპერიალისტური ქვეყნები უფრო მეტი სიძლიერით აიშლებიან ერთი მეორის წინააღმდეგ. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი სადაო „ობიექტი“—აღმოსავლეთის ხალხები სულ უფრო და უფრო იმაღლებენ ხმას და ამ „არამკითხე მზრუნველებს“ თავის ადგილს მიუჩენენ. ეს დიდი ხანია უკვე ითქმის განახლებულ ოსმალეთზე, რომელიც მედგრად იბრძვის თავის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად იმპერიალისტების იერიშებისაგან. და რომ ოსმალეთს შემდეგშიც გადაწყვეტილი აქვს მათ წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის გაგრძელება, ამას, სხვათა შორის, ამხ. ჩიჩერინისა და რუშდი-ბეის ეხლანდელი შეხვედრაც გვიჩვენებს.

X

საბჭოთა პრესა

რა მისცა ოქტომბერმა გლეხობას

ოქტომბრის რევოლიუციის შედეგები გლეხობისათვის მრავალნაირია. თვით მპყრობელობის, მემამულეთა და ბურჟუაზიულ რეჟიმის მოსპობით, მუშათა კლასთან ერთად მას სრული პოლიტიკური თავისუფლება მიენიჭა და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების უშუალო მოზიარე გახდა. ამავე დროს მშრომელ გლეხობამ მიწისა და სხვა სახით მიიღო უამრავი ნივთიერი ღირებულება, რომლის წყალობით ის წელში გაიმართა. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ბუდოკ“-ში ამხ. ივ. თედოროვიჩი:

„ოქტომბრის რევოლიუციამ შრომითი მიწათ - სარგებლობაში გამოუსყიდავად გადასცა დაახლოვებით 50 მილიონი დეს. არაშრომითი მფლობელობიდან. გარდა ამისა, 60 მილიონ დესეტინამდე ჩამოერთვა სოფლის შეძლებულ ნაწილს და დაურიგდა მცირე მიწიან და უმიწო გლეხებს. 1916 წელს დეს. საშუალო ფასი უდრიდა 125 მან. ოქროთი. ამგვარად, გლეხობამ მიიღო 13 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების მიწა. მიწასთან ერთად მის განკარგულებაში გადავიდა ნაგებობანი, სამეურნეო მარაგი, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი. ეს მონაპოვარი ფასობს 6—7 მილიარდი მან. გარდა ამისა, რევოლიუციამ გლეხობა განთავისუფლა მიწის დავალიანების გადახდისგან — 1.400 მილიონი მანეთის რაოდენობით. იჯარის ყოველწლიური გადასახადი მემამულის სასარგებლოდ აღწევდა 350 მილიონ მანეთს ფულით და ნატურით. ეს ფული დღეს გლეხის მეურნეობაში რჩება. დიდმა რევოლიუციამ, შემდეგ, განთავისუფლა მთელი ხალხი, მათ შორის, ქალაქის მოსახლეობაც, საგარეო და შინაურ სესხების გადახდისაგან. გლეხობის წილზე, რომ არ ჩავთვალოთ ყოველწლიური პროცენტები, მოდიოდა საგარეო ვალი 9 მილიარდი, საშინაო—13 მილიარდი. უკანასკნელ წლებში გლეხობამ მიიღო წინად გადაცემულ ტყეების დამატებად 6 მილ. დესეტინა სატყეო სივრცე, ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სახით, და ასეთივე სივრცის ცხრა მილიონი დესეტინა გადაცემულ იქნა მიწის ფონდში. ამ შენაძენის ღირებულება უდრის 1,5 მილიარდ მანეთს“.

ამნაირად, ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით საბჭოთა კავშირის გლეხობამ მიიღო 45 მილიარდ მანეთად (ოქროთი) ღირებული სიმდიდრე. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამით არ კმაყოფილდება. ის ყოველ ზომას ღებულობს, რომ ეს სიმდიდრე გლეხობამ მაქსიმალურად გამოიყენოს. მიწადმოწყობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების მიწოდება სოფლისათვის. აგრონომიულ ცოდნის გავრცელება. გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება და სხვა მრავალი — აქეთკენაა ხელისუფლების მთელი მუშაობა მიმართული. ამასთან ერთად უკიდურესობამდეა შემცირებული მშრომელი გლეხის გადასახადი და კიდევ სხვა მრავალი შეღავათი ეძლევა მას. რა თქმა უნდა, გლეხობას ჯერ კიდევ ბევრი გასაჭირი აქვს, მაგრამ ოქტომბრის მონაპოვართა ნიადაგზე და მუშათა კლასისა და გლეხობის შორის კავშირის განმტკიცების გზით მისი მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ოსმალეთ-საბჭოთა მეგობრობა

ანგორა, 16 ნოემბერი. გაზეთი „ხაკიმიეტ მილიე“ მოწინავე წერილს უძღვნის ოფიციალურ ცნობას ოდესაში შეხვედრის შესახებ. გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს ოსმალეთ-საბჭოთა მეგობრობის მსოფლიო მნიშვნელობას, რომელმაც ოდესაში ახალი დადასტურება მიიღო, და აცხადებს, რომ ოფიციალური ცნობა ოდესაში შეხვედრის შესახებ შედგენილია ისეთი სახით, რომ იგი არ წარმოადგენს აგრესიულობის დემონსტრაციას ვინმეს წინააღმდეგ.

„ოსმალეთი და საბჭოთა კავშირი, აცხადებს გაზეთი, გართულნი არიან თავიანთ შინაურ საქმეში და მათ არ სცალიათ ავანტიურისათვის“. (ადს).

ლიტვა-საბჭოთა მეგობრობა

ვენა, 16 ნოემბერი. „ნეიე ფრეიე პრესე“-ს წარმომადგენელთან საუბარში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ავსტრიაში ბერეზინმა განაცხადა, რომ ამას წინად დადებული ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულება ორთავე ქვეყნის მეგობრობის დამადასტურებელია; იგი არ შეიცავს არავითარ საიდუმლო მუხლებს და არაა მიმართული რომელიმე მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ბერეზინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისათვის სასურველია ასეთივე ხელშეკრულებების დადება ბალტიის მხარის დანარჩენ სახელმწიფოებთან და აგრეთვე პოლონეთთანაც. (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება

პარიზი, 16 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის დელეგაციამ საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე განიხილა ის პირობები, რომელთა მიხედვით შეიძლება მოლაპარაკების განხილვა. (ადს).

ფრანგი კრედიტორები

პარიზი, 17 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მიიღო რუსეთის ფრანგი კრედიტორების დელეგაცია. დელეგაციამ ენერგიული პროტესტი განაცხადა საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის ნელი ტემპის წინააღმდეგ და მოითხოვა კონფერენციის დათხოვა უახლოეს ხანში, რათა კრედიტორების ორგანიზაციის მიეცეს საშუალება, რომ უშუალო კონტაქტი დაიჭიროს საბჭოთა მთავრობასთან. (ადს).

კუკის დეპეშა

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ლონდონიდან მიიღო კუკის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიაც ის იუწყება, რომ უკანასკნელად გაგზავნილი 500,000 მანეთი უკვე მიიღო მემაღაროებმა. **ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება— ნათქვამია დეპეშაში — და ყოველდღიურად უფრო მწვავე ხდება. მემაღაროები ითხოვენ შემდეგშიაც დახმარებას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ წინააღუდგენ მთავრობისა და მაღაროს მეპატრონეთა განზრახვებს.“**. (ადს).

ლაყბობა განიარაღების შესახებ

ლონდონი, 17 ნოემბერი. დღეს ლორდთა პალატის სხდომაზე ლორდი პარმურმა შეხო განიარაღების საკითხს და განაცხადა, რომ მიუხედავათ განიარაღების საკითხის დიდ მნიშვნელოვანობისა, დღემდე კონკრეტიულად არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ, გარდა იმისა, რომ ერთა ლიგის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა. ლორდ პარმურმა დასვა კითხვა, შეუძლია თუ არა ინგლისის მთავრობას წამოაყენოს რამე კონკრეტიული წინადადება ამ საკითხის შესახებ.

ლორდ ასკვიტი გამოვიდა ამ საკითხის შესახებ და განაცხადა, რომ 7 წლის წინად ხელმოწერილ ვერსალის ხელშეკრულების მე-8-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ნაციონალურ შეიარაღებათა შემცირება და რომ ერთა ლიგა მოწოდებულია შეიმუშაოს ღონისძიებები ამის განსახორციელებლად. შემდეგ ასკვიტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის კონფერენციაზე მიღებულ იქნა ერთგვარი წარმატება ამ საკითხის გადაჭრის საქმეში და რომ ამჟამად მთელი იმედი დამყარებულია საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ერთა ლიგა იწვევს.

ვიკონტ სესილმა, რომელიც მთავრობის სახელით გამოვიდა, განაცხადა, რომ განიარაღების საკითხი ყოვლის შემცველია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღემდე არაფერია გაკეთებული იმ სიძნელეთა გადასალახავათ, რომელიც განიარაღების პრობლემის განხორციელებას აფერხებს და რომ ამას ხელს უწყობს საერთაშორისო მდგომარეობა. შემდეგ სესილმა განაცხადა, რომ ამჟამად ინგლისის მთავრობის საზრუნავი საგანია გერმანიის განიარაღების საკითხის მოწესრიგება და რომ არსებითად გერმანიამ თავის ვალდებულებათა მეტი ნაწილი შეასრულა.

სესილმა განაცხადა, რომ ქიმიური ომი და სუბ-მარინები სავსებით აკრძალული უნდა იქნეს, მაგრამ ამ საკითხში თანხმობა არ არის მიღებული. (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

უთანასწორო ხელშეკრულებები

პეკინი, 16 ნოემბერი. ჩინეთის გაერთიანებულმა პალატამ პეკინში, დაადგინა დაგზავნოს მთელ სახელმწიფოში ცირკულიარული დეპეშა მოთხოვნით, რათა ბელგია დასთანხმდეს ჩინეთის მიერ წამოყენებულ წინადადებებზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ბელგიასთან შეწყვეტილ უნდა იქნეს ყოველგვარი კომერციული ურთიერთობა. იაპონიის უკანასკნელ ნოტის შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ნოტა ზრდილობიანი კილოთია შედგენილი, მაგრამ იაპონია ფაქტიურად უარს ამბობს, ხელშეკრულების მუხლების გადათვალიერებაზე. რეზოლიუცია აცხადებს, რომ ახალი ხელშეკრულების დადება იაპონიასთან შეუძლებელია ძველი ხელშეკრულების ყველა მუხლების გადათვალიერების გარეშე. (ადს).

ნეიტრალიტეტი

პეკინი, 16 ნოემბერი. პრესის ცნობით, ან-ხოის პროვინციაში ადგილობრივი ჯარების ორმა მთავარსარდალმა გადასწყვიტა არ მიიღონ მონაწილეობა შემდგომ ბრძოლაში კანტონის არმიის წინააღმდეგ და დაიცვან ნეიტრალიტეტი. (ადს).

სუნ-იატ-სენის ხსოვნისათვის

კანტონი, 16 ნოემბერი. მოეწყო მოსკოვში არსებულ სუნ-იატ-სენის უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. (ადს).

ჩიჩერინისა და რუშდი-ბეის შეხვედრის შემდეგ

„ბერლინერ ტაგებლატ“ ჩიჩერინისა და რუშდი-ბეის შეხვედრის მნიშვნელობის შესახებ.

ბერლინი, 17 ნოემბერი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მიუხედავათ ოსმალეთის პრესის დამამშვიდებელ განცხადებებისა, ოდესის შეხვედრა, ეჭვს გარეშეა, ნიშნავს მზადებას ისეთი შეთანხმებებისათვის, რომელიც მიმართული იქნება, პირველ ყოვლისა, ინგლისის და შემდეგ იტალიის წინააღმდეგ.

„იტალიის და საფრანგეთის ურთიერთობის გამწვავება—სწერს კორესპონდენტი—მოწმობს, რომ საფრანგეთი და იტალია სხვადასხვა ბანაკში იმყოფებიან. საფრანგეთ-იტალიის კონფლიქტში გარიბალდის საქმის გამო სამხრეთ-სლავიაში უკრავდა საფრანგეთს და მიუხედავათ ამისა იტალიამ ვერ გაბედა გაეცხადებია პროტესტი სამხრეთ-სლავიაში მიმართულ იტალიის საწინააღმდეგო მიტინგების წინააღმდეგ“.

ოსმალეთის წყაროებიდან გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ სამხრეთ-სლავიასა და ოსმალეთს განზრახული აქვთ კავშირი შეკრან იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ტერიტორიალური ცვლილებები შეიტანონ ბალკანეთზე და მცირე აზიაში, ეს ხმები ჯერაც არ არის უარყოფილი. ამრიგათ, როგორც სჩანს, ყალიბდება ორი დაჯგუფება: საბჭოთა კავშირი, ოსმალეთი, სპარსეთი, საფრანგეთი, სამხრეთ-სლავია და ოსმალეთი ერთის მხრით, ინგლისი, იტალია, ბოლგარია და საბერძნეთი მეორეს მხრით. (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

მონარქისტების ყრილობა

ვარშავა, 17 ნოემბერი. ვარშავაში რაძივილის სასახლეში იხსნება კონსერვატორ-მიწათმფლობელთა ყრილობა. გაზეთ „კურიერ ჩერვონი“-ს თანამშრომელთან საუბარში რაძივილმა განაცხადა, რომ ახალი კონსერვატიული პარტია არ აყენებს მონარქისტულ ლოზუნგებს და მუშაობს რა სრულ კონტაქტში კრაკოვის კონსერვატორებთან, მხარს დაუჭერს ეხლანდელ მთავრობას ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. (ადს).

კანონი პრესის შესახებ.

ვარშავა, 16 ნოემბერი. **სეიმის კომისიამ გამოიტანა დადგენილება პრესის ახალი კანონის გაუქმების შესახებ.** ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი კონფლიქტი მთავრობასთან ბარტელმა მოაგვარა სეიმის თავმჯდომარის რატაის დახმარებით. **დადგენილება გადაეცა საკონსტიტუციო კომისიას, სადაც ის, როგორც სჩანს, საბოლოოდ დაიმარხება.**

პილსუდსკი მუსოლინს

ვარშავა, 16 ნოემბერი. ვარშავაში ჩამოვიდა იტალიის პარლამენტის ფაშისტი დეპუტატი ლაფრანკონი, რომელსაც პილსუდსკიმ საზეიმო შეხვედრა გაუმართა. პილსუდსკიმ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მას გადასცა ორი თავისი ფოტოგრაფია წარწერით,—ერთი მათგანი მუსოლინისათვის გადასაცემათ. (ადს).

კამათი ბიუჯეტის გარშემო.

ვარშავა, 16 ნოემბერი. სეიმში დაიწყო კამათი ბიუჯეტის გარშემო. მოუთმენლად მოელიან პილსუდსკის გამოსვლას. (ადს).

არჩევნები ზემო-სილეზიაში

ვარაშავა, 17 ნოემბერი. პოლონური ცნობების თანახმად ზემო-სილეზიაში კომუნალურ არჩევნებზე პოლონურმა პარტიებმა მიიღეს 226.000 ხმა და 3.165 მანდატი, გერმანულ პარტიებმა—169.000 და 955 მანდატი. შეუთანაბრობა ხმებისა და მანდატების რაოდენობის შორის აიხსნება იმ ფაქტით, რომ პოლონელები უფრო ძლიერი იყვნენ უმთავრესად სასოფლო თემებში, რომლებიც უკვე აღარ ირჩევენ კომუნალურ მრჩევლებს თვითეულ ათას მცხოვრებიდან, როგორც ამას შვრებიან ქალაქის თემები.

კომუნალურ არჩევნებთან ერთად, რომელიც პოლონეთის ზემო სილეზიაში სწარმოებდა, გერმანიის ზემო სილეზიაში ჩატარდა სამიწადმოქმედო პალატების არჩევნები. პოლონეთის კანდიდატებმა ხმის უმრავლესობა მიიღეს ოპელნის (ოპელიე) და სტრელიცას (სტრაგელცე) რაიონებში. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყება კუნძულ იავაზე

სამღთო ომი.

ამსტერდამი, 16 ნოემბერი. მიუხედავათ იმისა, რომ ოფიციალური ცნობების თანახმად აჯანყება იავას კუნძულზე თანდათან სუსტდება, უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ ბანტამის რაიონში აჯანყება არ არის ჩაქრობილი და ჯარები იქ მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ იქნებიან. ბურჟუაზიული პრესა პირველად ცდილობდა კომუნისტურ შეთქმულებათ გამოეცხადებია აჯანყება, მაგრამ ეხლა გაზეთები იძულებული არიან სცნონ, რომ იავას კუნძულზე ადგილი აქვს ადგილობრივ მცხოვრებლების ამბოხებას. მეამბოხეებს უმთავრესად აცვიათ თეთრი ტანისამოსი, რაც მოწმობს იმას, რომ აჯანყებას სამღვთო ომის ხასიათი აქვს. (ადს).

პილსუდსკის დიქტატურის ფაშისტური შინაარსი

ვარშავა, 17 ნოემბერი. გუშინ საღამოს პოლონეთის სეიმში დასრულდა კამათი მთავრობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტის გარშემო. უმთავრესობის მიერ უარყოფილ იქნა კომუნისტ დეპუტატის სერიპას წინადადება ბიუჯეტის უარყოფის შესახებ. რასაც მხარი დაუჭირეს გლეხთა დამოუკიდებელმა პარტიამ, ბელორუსთა გრამადამ და ნაციონალურ უმრავლესობათა ჯგუფებმა.

მკაცრი სიტყვებით მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდენ ნაციონალურ უმცირესობათა დეპუტატები და კომუნისტი სერიპა, რომელმაც მიუთითა პილსუდსკის დიქტატურის ფაშისტურ შინაარსზე.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლის პირველმა გამოსვლამ ახალ ოპოზიციონურ როლში ცხადყო, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია სერიოზულად არ ფქრობს ოპოზიციაზე. (ადს).

აჯანყება გრძელდება

ლონდონი, 17 ნოემბერი. ბატავიიდან მიღებულ ცნობით კუნძულ იავას ყველა კუთხეები შეთქმულების ქსელშია გახვეული. აჯანყებულთა ნაწილმა სინგაპურში მოაწყო ჰოლანდიის ინდოეთში გადასაგზავნ იარაღის საწყობი.

აჯანყება ფართოვდება

ამსტერდამი, 16 ნოემბერი. კუნძულ იავაზე მომხდარი აჯანყების შესახებ არსებობს მეტად მცირე, ნახევრად ოფიციალური ცნობები, რომელნიც არ იძლევიან საშუალებას, რომ ნათელი სურათი იქნეს შემუშავებული შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ უეჭველია, რომ აჯანყება ფართო ხასიათს ატარებს. მიუხედავად მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებათა, აჯანყება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩაქრობილად.

15 ნოემბერს, საღამოთი, 500 აჯანყებული თავს დაესხა ლაბუანს (დასავლეთ იავა). გარნიზონმა შეტევა მოიგერია, მაგრამ ქალაქი მაინც მოწყვეტილია. აჯანყებულებმა დაანგრიეს ხიდები, სატელეფონო კავშირი და გზებზე გააკეთეს ბარიკადები. აღდგენილია მხოლოდ რადიოკავშირი.

სინგაპურიდან მიღებული ცნობებით, რევოლიუციონური იავანელების კლუბი იარაღს აგროვებს ჰოლანდიის ინდოეთში.

უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ ინგლისელები სცდილობენ ისარგებლონ ჰოლანდიის მძიმე მდგომარეობით, ვინაიდან ჰოლანდია უკანასკნელ ხანებში იავის შაქარს აგზავნიდა არა სინგაპურის გზით, არამედ პირდაპირ როტერდამით. ამან გამოიწვია ის, რომ სინგაპურმა, როგორც სატრანზიტო პუნქტმა, მნიშვნელობა დაჰკარგა იავადან გასატანი საქონლისათვის. (ადს).

კატალონელ რევოლიუციონერების გადასახლება

ლონდონი, 17 ნოემბერი. „დეილი მეილ“-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით 86 კატალონელი მეამბოხე, რომლებიც დაატუსაღეს საფრანგეთ ესპანეთის საზღვარზე, გადასახლებულ იქნებიან საფრანგეთიდან მეგობრულ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობისათვის.

პარიზი, 17 ნოემბერი. დილიდან მიღებულ ცნობით გადასახლებული კატალონელები დააკავეს სანაპირო სადგურ ბლანდენში ბელგიის ტერიტორიაზე გადასვლის ნებართვის მიღებამდე.

რუსი მუსიკოსები ვარშავაში

ვარშავა, 16 ნოემბერი. კომპოზიტორ შოპენის ძეგლის გახსნას დაესწრო საბჭოთა დელეგაცია კომპოზიტორ მოსკოვსკის და ივაროსკის სახით. დელეგაციის საპატივცემლოთ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ პრემიერის მოადგილე, გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი, დიპლომატიურ კორპუსის წევრები საფრანგეთის ელჩის ლაროსის მეთაურობით, ვარშავის მუსიკალურ წრეების წარმომადგენლები, კონსერვატორიის პროფესორები და ვარშავის ოპერის დირექტორი. (ადს).

8 საათის სამუშაო დღე

ბერლინი, 16 ნოემბერი. ყველა პოლიტიკურ მიმართულების პროფკავშირებმა რეიხსკანცლერს მიმართეს წინადადებით სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ გაატაროს დროებითი კანონი, რომლის შემდეგ შესაძლო იქნება ვაშინგტონის კონფერენციის თანახმად 8 საათის სამუშაო დღის შემოღება. (ადს).

არჩევნები უნგრეთში

პარიზი, 17 ნოემბერი. როგორც ბუდაპეშტიდან იუწყებიან, საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო.

გრაფი ბეტლენი მთავრობის პარტიის ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში მოითხოვდა სახელმწიფოს ყველა ძალების შეკავშირებას ეკონომიური ცხოვრების განსამტკიცებლათ და მიღწეულ შედეგების დასაცავად. (ადს).

სხვადასხვა

მეკობრეები

ლონდონი, 17 ნოემბერი. ჩინეთის კამპანიის გემს „სანინგ“, რომელიც შანხაიდან გონკონგში მიდიოდა, თავს დაესხენ მეკობრეები, რომელთაც ცეცხლი წაუკიდეს გემს. მეკობრეებმა მძევლებათ წაიყვანეს ორი ევროპელი და მიიმალენ ნავებით. ინგლისის გემმა „ბლიუბელმა“, რომელიც მოვიდა „სანინგ“-ის დასახმარებლათ, ხელში ჩაიგდო მეკობრეების 2 ნავი; მძევლები ჯერ კიდევ მეკობრეების ხელში არიან. (ადს).

საჰაერო მიმოსვლა

ლონდონი, 16 ნოემბერი. ინგლისიდან რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ეწყობა ეგვიპტესა და ინდოეთს შორის. (ადს).

უნგრეთის ნაციონალური კრება

ვენა, 14 ნოემბერი. ნაციონალური კრების არჩევნები უნგრეთში დანიშნულია 1 დეკემბრისათვის. (ადს).

ეკონომიური კონფერენცია

პარიზი, 13 ნოემბ. საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის მოსამზადებელ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ ჟენევაში გერმანიიდან გაემგზავრა ტრენდელბურგი.

ახალ კონსტიტუციას აცხობენ

პარიზი, 14 ნოემბერი. ლისაბონიდან იტყობინებიან, რომ პორტუგალიის მთავრობა ახალ კონსტიტუციას ადგენს. პრეზიდენტის არჩევება მოხდება მას შემდეგ, რაც ეს კონსტიტუცია ძალაში შევა. (ადს).

მეკობრების თავდასხმა

ლონდონი, 15 ნოემბერი. ჰონკონგიდან მიღებული ცნობით, მიუას-ბეის სრუტეებთან ჩინელი მეკობრეები თავს დაესხენ საფრანგეთის გემს „განოს“, მოჰკლეს აზიელი მცველები და გაიტაცეს 10.000 გირვ. სტერლინგი; ამას გარდა გამარცვეს მგზავრები, რომელთაც წაართვეს 4.000 გირვ. სტერლინგი. (ადს).

მუშათა მოძრაობა

საგაფიცვო მოძრაობა შეერთებულ შტატებში.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში შეერთებულ შტატებში ვრცელდება გაფიცვების ტალღა. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ მკერავთა პროფკავშირის წევრები, რომლებიც იბრძვიან 40 საათის სამუშაო კვირისათვის.

ბეწვებმა (ბეწვეულობის დამმუშავებლები) უკვე მოიპოვეს 40 საათის სამუშაო კვირა. 7 დღის გაფიცვის შემდეგ ასეთივე უფლება მოიპოვა მკერავთა პროფკავშირის კიდევ ერთმა სექციამ—ქალთა ტანისამოსების მკერავებმა, რომლებმაც, გარდა ამისა, მიაღწიეს შრომის ხელფასის გადიდებას. ამ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო სამი ათასმა თერძმა, რომლებსაც სასტიკად სდევნიდა პოლიცია.

ამჟამად გაფიცულია ზედა-ტანისამოსების 35.000 მკერავი. ყველა ნიშნები იმას მოწმობენ, რომ გაფიცვას მიეცემა ხანგრძლივი ბრძოლის ხასიათი. საქმე იმაშია, რომ მკერავთა კავშირი ამერიკის პროფმოძრაობის ყველაზე უფრო დარაზმულ და მჭიდროთ შეკავშირებულ ნაწილს წარმოადგენს. მწარმოებლები მიზნად ისახავენ გაფიცულთა დამარცხებას არ მარტო 40 საათის სამუშაო კვირის და შრომის ხელფასის გადიდების საკითხში, არამედ მათი კლასიური ორგანიზაციების განადგურებასაც.

როგორც ბურჟუაზიული ქვეყნების წესია, შეერთებულ შტატებშიც, მწარმოებლების მხარეზეა „კანონი“, სასამართლო და პოლიცია; გაფიცულთა მხარეზე კი—მუშათა კლასის სიმპატიები.

მკერავთა ბრძოლა შეუპოვარია. ადგილობრივი სასამართლო სცემს „დროებითი“ დადგენილებებს, რომლებითაც კრძალავს მუშათა პიკეტების გამოყვანას (შტრეიკბრეხერების მუშაობისათვის ხელის შესაშლელად), მუშები კი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ამ დადგენილებებს, ადგილობრივი პოლიცია ასობით აპატიმრებს გაფიცულებს, მუშები კი (არა მარტო მკერავები, არამედ სხვა დარგის მუშებიც) აწყობენ მასიურ საპროტესტო მიტინგებს.

მუშათა მასების ზეგავლენით გაფიცულთა დევნის წინააღმდეგ ძალაუნებურად შემთანხმებლებიც კი ილაშქრებენ. ნიუ-იორკის რაიონის პროფკავშირების კონფერენციაზე, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ შესდგა და რომელზეც წარმოდგენილი იყო 800.000 შეკავშირებული მუშა, გამოიტანეს დადგენილება გაფიცულებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ნორვეგიელ რეფორმისტების მოღალატეობა

ნორვეგიელი რეფორმისტები არაფრით არ ჩამორჩებიან დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნების რეფორმისტებს. ისინი აშკარად მოქმედებენ კაპიტალისტების კარნახით და აშკარადვე ჰყიდიან, ღალატობენ მუშათა კლასის ინტერესებს. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ნორვეგიის პროფბიუროკრატიის საქციელი ქაღალდის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის მოგვარების დროს.

კონფლიქტი ქაღალდის მრეწველობაში დაიწყო ოქტომბერში. მუშებმა, კოლექტიური ხელშეკრულების ხელ-ახლა დადებასთან დაკავშირებით, მოითხოვეს შრომის ხელფასის გადიდება. მწარმოებლები ამაზე არ დათანხმდნენ. „მიუდგომელი“ პიროვნების—ნორვეგიის ბანკის დირექტორის—რიუგეს წინადადებით, კონფლიქტი გადაეცა მომრიგებელ კამერას. პროფკავშირების რეფორმისტული ბელადები სიამოვნებით დასთანხმდნენ ამ წინადადებაზე და დაითანხმეს მუშები იმაზე, რომ უდავოთ მიიღონ მომრიგებელი კამერის დადგენილება.

დაიწყო მომრიგებელი კამერის სხდომები. იმავე დროს ბირჟაზე დაიწყო რაღაც მახინაციები, ნორვეგიული კრონა, რომლის ღირებულება ივნისიდან დაწყებული ოქროს პარიტეტის 82 პროც. შეადგენდა, ავიდა 92 პროც.

თავისთავად ცხადია, რომ კრონის კურსის გადიდება სამომრიგებლო კამერის სხდომების დაწყებისთანავე, შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, კურსის აწევა მოხდა იმ მიზნით, რომ გავლენა მოეხდინათ მომრიგებელ კამერაზე ქაღალდის მრეწველობის სასარგებლოთ. საქმე იმაშია, რომ როგორც კი კრონის კურსმა აიწია, ქაღალდის მრეწველებმა მოითხოვეს, რომ შრომის ხელფასი შემცირებული ყოფილიყო იმდენით, რამდენადაც გაიზარდა კრონის კურსი.

კამერამ სავსებით დააკმაყოფილა მწარმოებლების მოთხოვნილებები, კიდევ უფრო მეტი, კონფლიქტამდე შრომის ხელფასი შეფარდებული იყო საბაზრო ფასების მერყეობასთან, მომრიგებელმა კამერამ „დაივიწყა“ ეს გარემოება და გამოიტანა დადგენილება ხელფასის შემცირების შესახებ 15—17 პროცენტით კრონის კურსის გადიდების გამო.

კამერის დადგენილება, წინასწარი შეთანხმების ძალით, სავალდებულოა მუშებისათვის.

ამრიგად რეფორმისტებმა სავსებით გამართლეს ქაღალდის მრეწველობის იმედები.

ღამის ცნობები

მუსოლინი სენატში

ლონდონი, 17 ნოემბ. რომიდან მიღებულ ცნობით, სენატმა დღეს განაახლა მუშაობა.

გერმანია და ერთა ლიგა

პარიზი, 17 ნოემბერი. „მატენ“-ის ბერლინელ კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის მთავრობა უარს იტყვის ერთა ლიგის კონტროლზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულების. (ადს.

ერთა ლიგამ მოიწონა

პარიზი, 17 ნოემბ. ერთა ლიგის სამანდატო კომისიამ განიხილა საფრანგეთის მთავრობის განმარტებები დრუზების აჯანყების შესახებ სირიაში და ერთხმად მოიწონა ეს განმარტებები. (ადს).

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 17 ნოემბერი. პუანკარეს მოთხოვნით, რომელმაც ნდობის საკითხი დასვა, დეპუტატთა პალატამ ბიუჯეტის განხილვის დროს 380 ხმით 135-ის წინააღმდეგ უარჰყო შესწორება, რომელიც მოითხოვდა, რომ კომისიას დაბრუნებოდა განსახილველად მუხლი საადგილმამულო სამმართველოების შესანახ ხარჯების შესახებ, ვინაიდან ეს ხარჯები ძალიან გაიზარდა.

ტევფიკ-რუშდი-ბეი სტამბოლში

ანგორა, 17 ნოემბერი. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ-რუშდი-ბეი ოდესიდან ჩავიდა სტამბოლში.

სტამბოლიდან რუშდი-ბეი კრეისერ „გამიდიე“-თ გაემგზავრა ისმიტაში და იქიდან ხმელეთის გზით ანგორაში. (ადს).

100 მილიონი მარკა

პარიზი 17 ნოემბერი. ინგლისის გაფიცვის გამო, ქვა-ნახშირის ტრანსპორტმა გერმანიის რკინის გზებს შემოსავლის სახით მისცა 100 მილ. მარკა.

გლოვის დღე პალესტინაში

ანგორა, 17 ნოემბერი. 2 ნოემბერს, ინგლისის მიერ ერთა ლიგისაგან პალესტინაზე მანდატისმიღების წლის თავზე, მთელი არაბთა მოსახლეობა სამგლოვიარო არშიებით გამოვიდა. არაბთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთა ლიგას გაუგზავნა სასტიკი პროტესტი ინგლისის მმართველობის წინააღმდეგ პალესტინაში და მოითხოვა, რომ ერთა ლიგის სამანდატო კომისიის უახლოეს სხდომაზე დაშვებულ იქნას პალესტინის დელეგაცია პროტესტისათვის მხარის დასაჭერად. (ადს).

ჩიჩერინის დაბრუნება მოსკოვში

მოსკოვი, 17 ნოემბერი. 17 ნოემბერს ამხ. ჩიჩერინი ოდესიდან დაბრუნდა მოსკოვში. (ადს).

პროფინტერნის აღმასბიუროს მოწოდება

მოსკოვი, 17 ნოემბერი. პროფინტერნის აღმასბიურომ მოწოდება გამოსცა ყველა მუშებისა და ყველა მუშა-ქალების მიმართ, რომელშიაც იგი მოუწოდებს მათ დაიწყონ სისტემატიური პროტესტის კამპანია სისხლისა და პროვოკაციის და ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ. (ადს).

უცხოეთში

კანტონის საგარეო ვაჭრობა

ინგლისის საქონლისათვის 1925 წ. გამოცხადებულ ბოიკოტს, რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა კანტონის საგარეო ვაჭრობაზე. საქონლის შემოტანა 1925 წ. შემცირდა 40.430 ათას ტაელამდე (ტაელი — 1 მ. 50 კაპ.), ნაცვლად 54.019 ათასი ტაელისა 1924 წელს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბოიკოტის შედეგებმა თავი იჩინეს მხოლოდ 1925 წ. მეორე ნახევარში.

საგარეო ვაჭრობის შემცირება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ხარჯზე. 1924 წ. წელთან შედარებით კანტონის ვაჭრობა ინგლისთან 51 პროც.-ით შემცირდა. სამაგიეროთ გაიზარდა კანტონის სავაჭრო ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, რასაც ამტკიცებს ქვემოთ მოყვანილი ციფრები.

სავაჭრო ურთიერთობა იაპონიასთან გაიზარდა 28,4 პროც.-ით, ამერიკასთან—9,7 პროც.-ით საფრანგეთთან — 27,3 პროც.-ით.

რაც შეეხება კანტონის ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან, 1924 წ. ასეთს სრულიად არ ჰქონია ადგილი, 1925 წ. კი იგი უკვე აღწევს 526 ათას ტაელამდე, აქედან იმპორტზე მოდის 461 ათასი ტაელი, ექსპორტზე კი — 65 ათასი ტაელი. საბჭოთა კავშირიდან საქონლის შემოტანის ზრდას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ კანტონის მთავრობის მიერ ნავთის მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ, ინგლისისა და ამერიკის ნავთის კომპანიებმა შესწყვიტეს ნავთის შეტანა კანტონში. ეს მხედველობაში მიიღო ნავთის სინდიკატმა, რომელმაც გაადიდა ნავთის ექსპორტი კანტონში ვლადივოსტოკის ნავსადგურიდან.

ინგლისის საქონლის ბოიკოტით ისარგებლა გერმანიამაც, რომელსაც 1924 წ. არ ჰქონია არავითარი სავაჭრო ურთიერთობა კანტონთან, 1925 წ. კი 1.349 ათას ტაელამდე მიიყვანა ვაჭრობა უკანასკნელთან, უმთავრესად მანუფაქტურის შეზიდვით.

კანტონის ვაჭრობა ჩინეთის დანარჩენ პროვინციებთან გაიზარდა 76 პროც.-ით. საერთოდ კი კანტონის საგარეო ვაჭრობა შემცირდა.

ავსტრალია ციფრებში

ლონდონში ამჟამად მიმდინარეობს ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილის — ავსტრალიის მდგომარეობის გაცნობა.

უკანასკნელად გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობებით, ავსტრალიის საერთო სივრცე უდრის 1,7 მილიარდ კვადრ. აკრს (აკრი უდრის 888 კვადრ. საჟენს). აქედან 0,8 მილიარდი აკრი, ე. ი. 45 პროც.-დი სახელმწიფოს განკარგულებაში იმყოფება და სრულიად დაუმუშავებელია.

1924-25 წ. ნათესების სივრცე ავსტრალიაში შეადგენდა 17.3 მილიონ აკრს. 0,75 მილიონი აკრით მეტს, ვიდრე წინა წელში. ნათესების პროდუქციის გასაღებიდან შემოვიდა 108 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ე. ი. 6,4 გირ. სტერლინგი თითეულ სულზე. მთავარი ადგილი ნათესებს შორის უჭირავს ხორბალს — 11,85 მილიონი აკრი ანუ მთელი ნათესების სივრცის 69 პროც. ხელსაყრელმა პირობებმა ხელი შეუწყვეს მეცხვარეობის განვითარებას. ცხვრების რიცხვი 1924 - 25 წლის დამლევისათვის აღწევდა 93 მილიონ სულს. შეგროვებული იქნა 724 მილიონი ინგლისური გირვანქა (ინგლისური გირვანქა უდრის ჩვენებურ 1 ერთ მეათედ გირვანქას) მატყლი, ღირებული 76 მილიონ გირვ. სტერლინგათ.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მთელი ღირებულება, მიწათ-მოქმედებისა და სარძეო მეურნეობის პროდუქციის გამოკლებით. აღწევდა 122 მილიონ გირვ. სტერლინგამდე, მატყლის — 76 მილ. გირ. სტერ., ხორცის — 30 მილიონ გირვ. სტერლ., ტყავეულობის — 11 მილიონ. გირ. სტერლ. და სხ. პროდუქტების—5 მილიონი გირ. სტერლ.

საუცხოვოდ არის მოწყობილი აგრეთვე სარძეო მეურნეობა, რომლის პროდუქციის ღირებულება აღემატება 45 მილიონ გირვანქა სტერლინგს. მარტო კარაქი მზადდება წლიურად 20,5 მილიონი გირვ. სტერლინგის.

სოფლის მეურნეობაში (მიწად-მოქმედება, მესაქონლეობა და სარძეო მეურნეობა) მუშაობს 451.800 მუშა. ავსტრალიის სახალ. მეურნეობის ამ დარგების მექანიკური მოწყობილობა ღირს 41 მილიონი გირ. სტერ. სულ ავსტრალიის სასოფლო მეურნეობის პროდუქციის მთელი ღირებულება გამოიხატება 275 მილიონ გირვ. სტერლინგში, აქედან საზღვარ-გარეთ გატანილია 142 მილიონი გირვ. სტერლინგის პროდუქტები.

1924-25 წ. ავსტრალიაში იყო 20.795 სამრეწველო დაწესებულება, სადაც მუშაობდა 434.000 მუშა, ეს მუშები შრომის ხელფასის სახით იღებდნენ 81 მილიონ გირვ. სტერლინგს. გადამუშავებულ მასალების ღირებულება შეადგენდა 222 მილიონ გირვ. სტერლინგს, პროდუქციის ღირებულება კი—381 მილიონ გირვ. სტერლინგს.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მრეწველობის განვითარება ავსტრალიაში ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, რომ სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ უკვე გადააჭარბა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებას. ავსტრალიაში ეწყობა ახალი ქარხნები სადაც მზადდება ისეთი საგნები, როგორიც არის მაგალითად ავტომობილები, რომლებიც დღემდე რთულ და სპეციალურ მოწყობილობას მოითხოვს.

ავსტრალიის ინგლისის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების პროცესი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ამავე დროს, ავსტრალიის სიახლოვე შეერთებულ შტატებთან, აძლიერებს მის კავშირს უკანასკნელთან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ინგლისის მუშების ხმა

მოსკოვი, 17 ნოემბერი. ინგლისის მუშათა პარტიის ვაშინგტონის სექციის მდივანმა მაკდონალდმა გამოუგზავნა მემაღაროეთა კავშირის ცაკას წერილი, რომელშიაც მადლობას უძღვნის იმ ამხანაგური მიღებისათვის, რომელიც საბჭოთა მუშებმა აღმოუჩინეს ამას წინად საბჭოთა კავშირში მყოფ მემაღაროეთა დელეგაციას. წერილში ნათქვამია: „დელეგაციის წევრთა შორის იყო ჩვენი სექციის წევრი მუშა-ქალი. ჩვენ გაკვირვებული ვართ იმით, რომ საბჭოთა კავშირში ხვდებიან უცხოეთის მუშებს ისე, როგორც ძველად ხვდებოდენ მხოლოდ მეფეებსა და დედოფლებს. ჩვენს სექციას სურს დაამყაროს კავშირი საბჭოთა კავშირის მუშებთან და ითხოვს თქვენს დახმარებას, რათა მოგვარებულ იქნეს მიწერ - მოწერა ერთ-ერთ მუშათა კლუბთან. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის მისალმება

მოსკოვი, 17 ნოემბერი. პირველი ცხენოსანთა არმიის არსებობის 7 წლის თავზე, სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარმა ამხ. ვოროშილოვმა არმიის ძველ მებრძოლთ მისალმებით მიმართა.

„მშვიდობიან აღმშენებლობისა და ყოველდღიურ სწავლის პირობებში— ნათქვამია მისალმებაში — წითელი ცხენოსნები ისევე სიმტკიცესა და ურყევლობას იჩენენ, როგორც ბრძოლის ველზე. სამხედრო და პოლიტიკური მომზადების გაღრმავებით, პირველი ცხენოსანთა არმიის წითელი დივიზიები წარმოადგენდენ მუშურ - გლეხურ ხელისუფლების საყრდენს და მუქარას ყველა ჩვენი მტრების მიმართ. (ადს).

ტრანსფორმატორის გამოცდა

ლენინგრადი, 17 ნოემბერი. დღეს „ვოლხოვსტროის“ ქვე-სადგურზე მოხდა დიდი ტრანსფორმატორის გამოცდა, რომლის ელექტრო-დენა 100.000 ვოლტს უდრის. ტრანსფორმატორის გამოცდის დროს გამოსცადეს აგრეთვე განმანაწილებელი მოწყობილება 35.000 ვოლტისა.

როგორც ტრანსფორმატორის, ისე განმანაწილებელი მოწყობილების გამოცდამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. (ადს.).

მელითონეთა კავშირში

მოსკოვი, 17 ნოემბერი. მელითონეთა კავშირის ცაკას პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო, რომ კვალიფიციურ ტეხნიკურ მუშაკთა აუცილებელ რაოდენობის მოსამზადებლად, სისტემატიურად იგზავნებოდენ ინჟენერები და ტეხნიკოსები უცხოეთის ქარხანა[illegible] (ადს).

კოლექტიური ხელშეკრულებები

მოსკოვი, 17 ნოემბერი. სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის ცაკას პრეზიდიუმმა ადგილებს მიმართა წინადადებით, რათა კოლექტიურ ხელშეკრულებათა გადასინჯვის კამპანია გადატანილ იქნას 1927 წლის იანვარ-თებერვლისათვის. ამ ვადამდე არსებული კოლექტიურ ხელშეკრულებანი ძალაში რჩება ყოველგვარ ცვლილების შეუტანელად. (ადს).

დანიშვნები

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკას პრეზიდიუმმა დაადგინა განთავისუფლოს ამხ. ფრუმკინი საბჭოთა კავშირის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილეს თანამდებობიდან დაინიშნოს: მაქსიმოვი, ეიომონტი და ნიკოლოზ ბოლესლავოვიჩი საბჭოთა კავშირის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის მოადგილეთ. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა დანიშნოს საბჭოთა კავშირის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრებად დვოილაცკი, ჩერნოვი, პლატონოვი და კულიკოვი. (ადს).

პოლიგრაფიული მრეწველობა

მოსკოვი, 17 ნოემბერი. 16 ნოემბერს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილული იყო და მიღებულ იქნა პოლიგრაფიულ მრეწველობის სამრეწველო - ფინანსიური გეგმა, რომელსაც ამიერ - კავკასიაში 12 წარმოება მიეკუთვნება.

სამუშაო ხელფასი ამიერ - კავკასიისთვის მომატებული იქნება საშუალოზე 1,7%-ით, შრომის პროდუქტობა— [illegible]%-ით (ადს).

ნავთის პროდუქტები

მოსკოვი, 17 ნოემბ. ოქტომბრის განმავლობაში ნავთის პროდუქტების საერთო გატანა აღწევს 173.798 ტონას სექტემბრის 163.231 ტონას წინააღმდეგ. 1925 წლის ოქტომბერთან შედარებით ნავთის პროდუქტების გატანა გაიზარდა 50,7 პროცენტით. (ადს).

„ვოლხოვსტროის“ პირველი ელექტრო-ნაკადი

მოსკოვი, 17 ნოემბერი. გუშინ, „ვოლხოვსტროიდან“ ლენინგრადს 12 ს. 40 წ. მიეცა პირველი ელექტრო-ნაკადი. მთავარმა ქვე-სადგურმა მიცემულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ შეფერხება არაა და ელექტრო-ნაკადი ნორმალურად მიდის. ღამის 1 ს. 20 წ. ელექტრო-დენამ 75.000 ვოლტამდე მიაღწია. დილის 3 საათზე—120.000 ვოლტამდე, დილით კი გადამცემი ხაზის გამოცდა დამთავრდა. გამოცდა ძალიან კარგად ჩატარდა. (ადს).

უკრაინა

მრეწველობა იზრდება

ხარკოვი, 17 ნოემბერი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გეგმის თანახმად, **1926—29** წლებში უკრაინაში უნდა ამუშავდეს **176** უმოქმედო წარმოება. მათ რიცხვში 80 მაღარო. ახალ წარმოებების ამუშავების და მომქმედ ფაბრიკა - ქარხნების დატვირთვის გადიდებით, უკრაინის მრეწველობის პროდუქციის საერთო ფასი წელს იქნება 814 მილიონი მანეთი, შაქრის ტრესტის გამოკლებით, ე. ი. **24** პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან იყო.

შრომის უნივერსიტეტი

ხარკოვი, 17 ნოემბერი. ინტერნაციონალურ შრომის უნივერსიტეტების ამერიკის საზოგადოებამ განათლების სახ. კომისარიატს მიმართა წინადადებით, ხარკოვში შრომის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. განათლების სახალხო კომისარიატმა თანხმობა განაცხადა ასეთ უნივერსიტეტის დაარსებაზე იმ პირობით, რომ მომავალი უნივერსიტეტი თავის შინაურ მუშაობაში მჭიდრო კავშირს დაიჭერს ახლო - მახლო მოსახლეობის კულტურულ - საზოგადოებრივ მუშაობასთან. უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა შედგენილი იქნება უმაღლეს სკოლის პროგრამის მიხედვით, მაღალ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების და ორგანიზატორების მოსამზადებლათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. (ადს).

რუსეთის ცაკის სესია

მოსკოვი, 17 ნოემბ. 16 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის ცაკის სესიის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. კურსკის მოხსენების გარშემო.

ცაკის წევრი ამხ. ჩანიშევი (თათართა რესპუბლიკა) მოითხოვს რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინების დაწესებას, რაც, მისი აზრით, გააჯანსაღებს ოჯახურ ცხოვრებას და გამოასწორებს არსებულ ნაკლულოვანებებს.

ამხ. ბრანდერბურგსკი აღნიშნავს, რომ ახალი კანონი სავსებით იცავს ქალების და ბავშვების უფლებებს.

კამათში მონაწილე გლეხების უმრავლესობა მოითხოვდა საქორწინო ჰასაკის გადიდებას.

უზენაეს სასამართლოს წევრი ვინოკუროვი პროტესტს აცხადებს ცაკის ერთ ერთი წევრის — დონბასელი გლეხის წინადადების გამო. ხსენებულ გლეხმა გაილაშქრა ალიმენტებისა და ფაქტიურ ქორწინების წინააღმდეგ.

„თუ ამ გზით წავალთ, ამბობს ამხ. ვინოკუროვი, ჩვენ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ. ეს კულაკური, ბურჟუაზიული იდეოლოგიაა“.

ამხ. პრეობრაჟენსკიმ აღნიშნა, რომ ქორწინებისადმი გადამახინჯებულ დამოკიდებულებას უნდა ვებრძოლოთ კულტურულ რევოლიუციის საშუალებით. საქორწინო კანონთა ახალი პროექტი ალიმენტების გზით ებრძვის ასეთ დამოკიდებულებას.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კურსკიმ.

სესია ღებულობს სახ. კომისართა საბჭოს მიერ შემოტანილ პროექტს ქორწინების, ოჯახის და მზრუნველობის შესახებ. პროექტის დეტალური დამუშავება დაევალა კომისიას 34 კაცის შემადგენლობით. (ადს).

უკრაინის ცაკის სესია

ხარკოვი, 17 ნოემბერი. **16 ნოემბერს უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა უკრაინის ცაკის მეოთხე სესიის გახსნა.** მისალმების სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პეტროვსკიმ. სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ძერჟინსკის ხსოვნას. უკრაინის ცაკის წევრი კრუჩკო წინადადებას იძლევა დღიურ წესრიგში შეიტანონ მოხსენება „დნეპროსტროის“ შესახებ. სესია ერთხმად იღებს კრუჩკოს წინადადებას და ანდობს უკრაინის ცაკის პრეზიდიუმს გამოჰყოს მომხსენებელი ამ საკითხის შესახებ. ამხ. პეტროვსკიმ წაიკითხა ოდესაში მყოფ ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ტევფიკ რუშდი-ბეის დეპეშა, რომელიც ესალმება უკრაინის ცაკის სესიას. დეპეშას მქუხარე ტაშის ცემით შეხვდენ; გაისმის: გაუმარჯოს მმურ ოსმალეთის რესპუბლიკას“.

ამის შემდეგ მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ჩუბარმა. (ადს).

ახალი საბაჟო ტარიფი

მოსკოვი, 17 ნოემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ 9 ნოემბერს დაამტკიცა დადგენილება საბაჟო ტარიფის მთელ რიგ განაკვეთების შეცვლის შესახებ.

ამის გამო მთავარ საბაჟო სამმართველოს უფროსმა ამხ. პოტიაევმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა, რომ შემოზიდვის უკანასკნელი საბაჟო ტარიფი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა 1924 წელს. პირველი ცვლილება ტარიფში შეტანილი იყო 5 მარტს და მისი მიზანი იყო ზედმეტად განძვირებულ ამანათების გაცვლა - გამოცვლის შემცირება, ვინაიდან ამან მაშინ ძალიან ფართო ხასიათი მიიღო; მაგალითად ყოველთვიურად უცხოეთიდან 30,000 ამანათი მოდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველთვიურად ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ უნდა გასულიყო 10 მილიონ მანეთის ვალიუტა. აპრილიდან დაიწყო ამანათების მძლების სასტიკად შემცირება, ამჟამად თვიურად მხოლოდ 7.500 ცალი ამანათი მოდის.

შემდგომი ამოცანა იყო რენტაბელურ იმპორტის დაბეგვრა, რადგან ჩვენი მიზანი იყო ერთგვარი წილი მიგვეღო იმ ორგანიზაციების მოგებიდან, რომლებიც იმპორტს განაგებენ; განსაკუთრებით მოგება უნდა მიგვეღო წილად იმპორტის იმ წყაროებიდან, რომლებშიაც ზედმეტი მოგება შედეგია ჩვენი საიმპორტო კონტინგენტების სიმცირის და არა კომერციული „რაციონალიზაციის“.

სახალხო კომისართა საბჭოს 15 ივნისის დადგენილებით, გადიდებულ იქნა ბაჟები ხილზე, ტყავზე, კაკაოზე, სურნელოვან ნივთიერებაზე, ავტომობილებზე და რეზინზე, შემოღებულ იქნა ბაჟი პრობკის ხის ქერქზე. ამ ცვლილებების შემდეგ, მომავალი წლისათვის უნდა ველოდეთ ბაჟების მომატებას 15 მილ. მანეთით.

სახალხო კომისართა საბჭოს 9 ნოემბრის უკანასკნელი დადგენილება ნიშნავს იმ მუშაობის ნაწილობრივ დაჩქარებას, რომელიც სწარმოებს მთელი საბაჟო ტარიფის გადასასინჯავად. მეტი საბაჟო ტარიფის მიღების მიზნით, გადიდებულ იქნა განაკვეთები მთელ რიგ დარგებში, რომელშიაც მეტი იმპორტია. მოსალოდნელი. პირველ რიგში ბაჟი დაწესებულ იქნა ბამბაზე, რომელიც დღემდე საბაჟოდ შემოდიოდა მურმანსკიდან. დაწესებული ბაჟი 2 მ. 50 კაპეიკის რაოდენობით ფუთზე ზომიერია და სტოვებს საკმაო მარაგს იმპორტისათვის, თუ გაუარესდა კონიუნქტურა, აგრეთვე შესაძლებელს ხდის ფასების შემდგომ დაკლებას საფეიქრო პროდუქციაზე. გადიდებულია ბაჟი ჩაიზე 1 მ. 48 კაპეიკიდან 2 მან. კილოგრამზე, აგრეთვე სალებავებზე და ელექტრო - ტეხნიკურ ნაწარმოებზე. ტარიფის განაკვეთების ეს შეცვლა საბაჟო შემოსავალს დაახლოვებით 25—30 მილიონი მანეთით გაადიდებს. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა სიღნაღის მ ზრაში

გასული წლის განმავლობაში კომპარტიის სიღნაღის მაზრკომის მუშაობაში მთავარი მომენტები იყო I, მეთოთხმეტე პარტყრილობის შედეგების დამუშავება უჯრედებში, 2, ღარიბ გლეხთა ჯგუფების მოწყობა, 3, ივლისის პლენუმის შედეგების შესწავლა, 4, საბჭოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის მოწესრიგება, 5 ხელმძღვანელობის გაუმჯობესება კომკავშირზე, 6, პარტაღმზრდელობითი მუშაობის გამოცოცხლება, 7, ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგება და სხვა.

მაზრკომის აგიტპროპ - განყოფილებაში ზაფხულის პერიოდში მოწვეული იყო სპეციალურად ერთი ინსტრუქტორი, მეთოთხმეტე პარტყრილობის შედეგების დამუშავების სახელმძღვანელოდ უჯრედებში. მეთოთხმეტე ყრილობის შედეგებზე უჯრედებში ჩატარებული იქნა საუბრები. იქ, კი სადაც არსებობდა მოძრავი ან სტაციონალური სკოლა (ასეთი იყო 7 ადგილას) მის პროგრამას დაემატა მოხსენებები პარტყრილობის შედეგებზე.

განსაკუთრებით შესწავლილი იქნა უჯრედების მიერ პარტიის ახალი ხაზი სოფლად (მიწის იჯარა, დაქირავებული შრომის დაშვება, საგადასახადო პოლიტიკა, საკრედიტო პოლიტიკა, კოოპერაცია და სხვა).

მეთოთხმეტე ყრილობის დადგენილებათა საფუძვლებზე მოწყობილი იქნა აგრეთვე ღარიბ გლეხთა ჯგუფები თემსაბჭოებთან, ეპოებთან, საკრედიტო ამხანაგობებთან და გლეხკომებთან. წინასწარ, სანამ ხსენებულ ჯგუფების დასაარსებლად პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგმებოდა ღარიბ - გლეხთა ჯგუფების მნიშვნელობა და ამოცანები გარკვეული იქნა უჯრედებში. ზაფხულის დამდეგს მაზრკომი შეუდგა ჯგუფების მოწყობას.

ამჟამად ზემოხსენებულ ორგანოებთან მთელს მაზრაში დაარსებულია ოარობით ჯგუფები. მაზრკომმა მიიღო წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები ღარიბ - გლეხთა ჯგუფების საკითხში გაუგებრობების და მახინჯ გადახრების თავიდან ასაცილებლად.

განსაკუთრებული სერიოზულობით და ყურადღებით დამუშავდა უჯრედებში ივლისის პლენუმის რეზოლიუციები. მაზრის ორგანიზაციამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაკიცხა და დაჰგმო ახალი ოპოზიციის გამოსვლები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოპოზიციის გამოსვლას რომელიმე თანაგრძნობით შეხვედროდა არამც თუ უჯრედი, არამედ არც ერთი წევრ - კანდიდატიც—კი. ასეთივე სიმტკიცით და ერთსულოვნებით გამოვიდა კომკავშირის სიღნაღის მაზრის ორგანიზაცია ახალი ოპოზიციის წინააღმდეგ.

გასულ წლის განმავლობაში, მაზრკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომკავშირზე პარტ-ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით მიმდინარე წლის აპრილში სამაზრკომის პლენუმზე მოსმენილი იქნა კომკავშირის მაზრკომის მოხსენება. ამ პლენუმზე გამოირკვა ზოგიერთი დეფექტები (დისციპლინის შესუსტება, აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე, ორგანიზაციიდან გასვლა და სხვა.) რის აღმოსაფხვრელადაც პლენუმმა გამოიტანა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები.

დამუშავებული იქნა აგრეთვე პიონერ - ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები, მიღებულ იქნა ზომები მასწავლებლების და ექიმების გამოსაყენებლად პიონერ - კოლექტივებში სამუშაოდ. ამ დღეებში ჩატარებული იქნა პიონერთა საერთო შემოწმება. პიონერთა სამაზრო ბიუროს ხარჯები, სათანადო გადიდებით, შეტანილი იქნა განათლების განყოფილების ბიუჯეტში.

როგორც კომკავშირის ისე პიონერთა შორის პასუხისმგებელ მომუშავეებად წამოყენებული იქნა კომკავშირის ადგილობრივი ახალი აქტივი.

პარტ-განათლების ქსელი გასულ წელს შემდეგნაირი იყო: მაზრაში არსებობდა 6 მოძრავი და ერთი სტაციონალური სკოლა. ამ სკოლებმა გაატარეს 402 მსმენელი. მსმენელთა შორის 70 პროცენტი იყო პარტიის წევრ - კანდიდატები, 20 პროცენტი კომკავშირელები და დანარჩენი უპარტიო გლეხები და გლეხი ქალები.

ამჟამად მაზრაში არსებობს ერთი მოძრავი და სამი სტაციონალური სკოლა. მაზრის ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცების შემდეგ დაარსებული იქნება სამი სტაციონალური და სამი მოძრავი სკოლა.

ორგანიზაციის ზრდა მიმდინარეობდა ნორმალურად. ერთი წლის განმავლობაში მაზრის ორგანიზაციაში მიღებული იქნა 219 ახალი წევრი. ახლად მიღებულ წევრებში უმთავრესად ღარიბესი გლეხები და კომკავშირის აქტივია.

დევინი.

ქართულ დივიზიის პოლიტორგანიზაციის ზრდა

დივიზიის პარტორგანიზაციაში დიდი ლტოლვაა პარტიაში, რაც აიხსნება იმ დიდ ავტორიტეტით, რომლითაც სარგებლობს პარტიული ორგანიზაცია წითელარმიელთა ფართო მასებში. მაგალ. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში (1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე) შემოტანილ იქნა პარტიულ უჯრედებში 255 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. ამავე დროს მიღებულია პარტიის კანდიდატათ 114 კაცი. გადაყვანილია პარტიის წევრად 34 კაცი. მიღებულთა რიცხვიდან ოთხი მეხუთედი არიან გლეხები, რაც ამტკიცებს იმას, რომ ორგანიზაცია იზრდება უმთავრესად გლეხების ხარჯზე. მიღებულთა რიცხვში 12% არიან მუშები, რაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მუშების რიცხვი დივიზიის მთელ შემადგენლობაში შედარებით ნაკლებია.

პარტიაში მიღების საკითხში მეტად საყურადღებოა ის, რომ განსაკუთრებით მოდიან პარტიაში რიგის წითელარმიელები (78%), უმცროსი მეთაურები (18,5%) და მხოლოდ 3.5% დანარჩენ შემადგენლობიდან, როგორიც არის საშუალო და უფროსი მეთაურთა და საადმინისტრაციო შემადგენლობა. დივიზიის პარტიულ ორგანიზაციის მიერ თავიდან იყო აღებული ისეთი გეზი, რომ პარტიაში მიღება წარმოებდეს უმთავრესად რიგის წითელ-არმიელებიდან და როგორც ხედავთ ეს ამოცანა სწორედ სრულდება.

პარტიაში მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უპირატესობის მიცემას ახკომკავშირს და უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივაც გვაქვს მიღწევები. კომკავშირის წევრთა რიცხვი პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში თანდათანობით მატულობს.

1925 წ. მეოთხე მეოთხედში პარტიაში მიღებულთა რიცხვში ჩვენ გვყავდა მხოლოდ 28 პროც. ახკომკავშირის წევრებისა, 1926 წლის 1 მეოთხედში—33 პროც., მე-2 მეოთხედში—52 პროც. და მე-3 მეოთხედში—77 პროც. ეს გარემოება ხელს უწყობს კომკავშირის სამხედრო ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლების საქმეს და აძლიერებს პარტიულ ბირთვს კომკავშირში.

დივიზიის კომკავშირის ორგანიზაციაშიაც დიდი ლტოლვა არის უპარტიო წითელარმიელების მხრივ. 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე მიღებულ იქნა ახკომკავშირის წევრად 95 კაცი, რომლის რიცხვიდან თითქმის ყველანი რიგის წითელარმიელები არიან.

პარტიაში და ახკომკავშირში ლტოლვის საკითხს მეტად დიდი ყურადღება ექცევა როგორც პარტიულ ისეც კომკავშირის ორგანიზაციის მიერ, ახლად მიღებულნი ჩაბმული არიან აქტიურ მუშაობაში. შემოღებულია ინდივიდუალური მიმაგრება მომზადებულ პარტამხანაგებისა ახლად მიღებულების აქტივობის ამაღლების მიზნით. დიდი აღმზრდელობითი მუშაობა სწარმოებდა აგრეთვე პარტგანათლების სკოლების საშუალებით, რომლის დასწრება და მეცადინეობა სავალდებულო იყო ყველა პარტამხანაგებისათვის. დივიზიის პარტიულ ან კომკავშირის ორგანიზაციაში თითქმის არ მოიპოვებიან პარტიის კანდიდატები გადაცილებულ სტაჟით ან ახკომკავშირის წევრები გადაცილებულ წლოვანებით, რაც აგრეთვე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს დივიზიის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობაში.

ი. რუდოვსკი.

დელეგატ ქალთა არჩევნები

ქალთა სადელეგატო კრების საორგანიზაციო სხდომა

(მეოთხე რაიონში)

11 ნოემბერს შესდგა მეოთხე რაიონის ქალთა სადელეგატო კრების საორგანიზაციო კრება, ქალაქის რაიონის უჯრედების ქალთა ორგანიზაციების თანდასწრებით.

დელეგატ ქალების პრაქტიკულ ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ქალაქის რაიონის ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. თენეიშვილმა. მომხსენებელი შეეხო ქალთა სადელეგატო კრების მომავალ მუშაობის ამოცანებს და ამ ამოცანების განსახორციელებლათ საჭირო ღონისძიებებს.

წელს ქალთა სადელეგატო კრებები დაყოფილი იქნება მცირე ჯგუფებათ, სადაც მიმაგრებული იქნებიან კვალიფიციური მუდმივი ხელმძღვანელები. სადელეგატო კრების პროგრამა უნდა დამთავრებულ იქნას მაისამდე, რადგან შემდეგ ზაფხულის პერიოდი იწყება. და როგორც წარსული წლების გამოცდილებამ გამოაშკარავა მუშაობა ფერხდება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნდა სწარმოებდეს დელეგატ ქალების მომზადების შემოწმება. ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული დელეგატ ქალების კომპარტიასთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორანიზაციებთან დასაახლოებლათ. ამისთვის აუცილებელია: დელეგატ ქალების დასწრება კომუჯრედების ღია კრებებზე, პროფესიონალურ ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღება, კოოპერატიულ აღმშენებლობის შესწავლა, საბჭოთა უფლების შესწავლა და სხვ. აგრეთვე უნდა გაცხოველებულ იქნას დელეგატ ქალების მუშაობა თბილისის საბჭოს სექციებში.

დამსწრეებმა ბევრი შეკითხვები მისცეს, რის შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა მოხსენების გარშემო სათანადო რეზოლიუცია.

დელეგატი ქალები განაწილებული იქნენ სექციებში. არჩეულ იქნა ჯგუფების ტეხნიკური მდივნები.

უკანასკნელათ ბავშვთა მეგობრების საზოგადოების წარმომადგენელმა კიდაიშმა საინფორმაციო მოხსენება გააკეთა, ლენინაკანის ბავშვების სასარგებლოთ სამდღიურის ჩატარების შესახებ. ყველა დელეგატ ქალმა გულწრფელი სურვილი გამოსთქვეს მიიღონ მონაწილეობა ლენინაკანის უპატრონო ბავშვების დახმარების სამდღიურში. კრებას დაესწრო 133 დელეგატი ქალი და 23 ქალთა ორგანიზატორი.

პარტქრონიკა

— **პლენუმის მოწვევა.** სენაკის მაზრკომმა დაადგინა ამ მოკლე ხანში მოიწვიოს პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით: 1. მოხსენება მე-15 კონფერენციის შედეგებზე, 2. შინაპარტიული მდგომარეობა მაზრაში, 3. პროფბიუროს მუშაობის ანგარიში, 4. სამაზრო აღმასკომის ანგარიში, 5. მოხსენება სოფლის მეურნეობის შესახებ.

— **პარტკონფერენციებისათვის მზადება.** 4 ნოემბერს, შორაპნის მაზრკომმა დაადგინა შეუდგეს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას კონფერენციების ჩასატარებლად, თემკომებს მიეცათ სათანადო წინადადება.

— **მდივნების კურსები.** ქუთაისის მაზრკომმა დაადგინა მოწყობილ იქნას კომუჯრედების მდივნების კურსები,—მეცადინეობა გაგრძელდება 20 დღე.

— **საკანდიდატო ჯგუფების დაარსება.** თანახმად ქუთაისის მე-9 პარტკონფერენციის დადგენილებისა, მაზრკომმა დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას ეხლავე შეუდგეს უჯრედების და საკანდიდატო ჯგუფების ჩამოყალიბებას ისეთ სოფლებში, სადაც ასეთები არ არის. პირველ რიგში უჯრედებში შეყვანილი უნდა იქნას ლატაკები და მოჯამაგირეები.

— **უჯრედების გაერთიანება.** ქუთაისის მაზრკომმა დაადგინა, მუშაობის უფრო მეტნაყოფიერებისათვის გაერთიანებული იქნას ხაბუმის კომუჯრედი.

— **ღარიბი გლეხების მონაწილეობა გლეხკომების გადარჩევებში.** სენაკის მაზრკომმა დაუგზავნა ინსტრუქტორებს ვრცელი ცირკულიარი გლეხკომების გადარჩევის და ღარიბესი გლეხების მონაწილეობის შესახებ ამ გადარჩევებში. ინსტრუქტორებს დავალებული აქვთ ამ კამპანიის ჩატარების შესახებ წარმოადგინონ ვრცელი წერილობითი მოხსენებები.

— **პოლიტსკოლების გახსნა.** ბორჯომის პარტკომმა დაადგინა იქნას ჩამოყალიბებული 3 სტაციონალური პოლიტსკოლა—ახალდაბაში, წაღვერში, და ჩარხის წყალზე. თითეულ სკოლაში იმეცადინებს 30 მსმენელი. პროგრამა უნდა იქნას გავლილი სამ თვეში. უჯრედის ბიუროებს დაევალათ გამოყონ მსმენელები.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დღიურების შესახებ

მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით მივლინებების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ მივლინებები ზოგიერთ შემთხვევებში ფარულ ხელფასის ხასიათს ატარებენ. ამიტომაა, რომ შრომის ხელფასის საკითხს ხშირად უკავშირებენ მივლინებების ჯილდოსაც.

ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. რატომაა, რომ მივლინებებს ხალისით ეტანება თანამშრომელი? იმიტომ, რომ ის აქ უთუოდ მატერიალურ სარგებელს ხედავს. არსებულ წესების მიხედვით მივლინების ჯილდო იმდენად განსხვავდება თანამშრომლის ჩვეულებრივ ხელფასისაგან, რომ ცხადია, ყველა ყოველთვის ხალისით დათანხმდება მივლინებაზე.

ამჟამად მივლინებაში მყოფს ეძლევა დღიურად არა უმცირეს მისი თვიური ფაქტიური ხელფასის ერთი მეოცდაოთხედისა. ისეთი შემთხვევებიც ხომ ხშირია, როცა დღიურები უფრო მეტი საზომით რიგდება.

არის თუ არა ეს გამოწვეული რაიმე აუცილებლობით? რასაკვირველია, მივლინებაში მყოფს ხარჯი აქვს (ბინა, სმაჭამა და სხვა); რასაკვირველია, ამაზე მიდის უფრო მეტი ფული, ვიდრე ერთი სულის შენახვას სჭირდება ნორმალურ ცხოვრების პირობებში. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თანამშრომელი თავის ნორმალურ ხელფასით ირჩენს არა მარტო თავის თავს, არამედ ოჯახსაც. ის, რაც თანამშრომელს უნდება მთელი ოჯახის შესანახად, ნუ თუ საკმარისი არ იქნება მისთვის,ერთ კაცისათვის, როცა ის მივლინებაში იმყოფება.რატომ არ შეიძლება, რომ $^{1}/_{24}$ ნაცვლად ღირებულ. განისაზღვრა მოხდეს $^{1}/_{30}$. ამასთან ერთად შეიძლება დაწესებულ იქნას ერთგვარი მინიმუმი და მაქსიმუმი. რომ ახალმა საზომმა დღიურებისა დაბალი მუშა-მოსამსახურეები არ ჩააგდოს ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ საარსებო თანხაც არ შერჩეთ ხელში მივლინების დროს. მეორეს მხრით შეიძლება მაქსიმ. დაწესებაც, რადგან ამ ახალი საზომითაც ბევრს იმდენად დიდი დღიური მოუვა, რომ დღიურ ხარჯად ის, რა თქმა უნდა, არც კი დასჭირდება. გამოცდილებით ვიცით, რომ მივლინებებით უფრო ხშირად პასუხისმგებელი და მაღალი ხელფასის მქონე თანამშრომლები მიდიან.

ასეთ მინიმუმად და მაქსიმუმად შეიძლება მაგალითისათვის დავასახელოთ 2 მ. 50 კ.—10 მანეთი.ცხადია, ამ ღონისძიების გატარებით დიდ დაზოგვას მოვახდენთ. ჩვენმა სათანადო ორგანიზაციებმა ამ საკითხს უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

ლამპარი.

---

*) კამათის წესით. რედ.

კოოპერატივი გაკოტრდა

(გამოჩ. თემი, ქუთ. მ.)

გამოჩინებულის რაიონის კოოპერატივს ამ ერთი წლის წინათ დიდი საფრთხე მოელოდა. მას ემუქრებოდა ლიკვიდაცია, მაგრამ ცეკავშირის დახმარებით და ახალი გამგეობის გეგმიანი მუშაობით კოოპერატივი გამოჯანსაღდა. მას დღეს აქვს 7 განყოფილება სოფლებში, თვით საჯევახოში კი ერთი ცენტრალური მაღაზია და 1 კიოსკი. კოოპერატივი აქვე ჰყიდის პურსაც.

ამას გარდა შესამჩნევად იმატა ბრუნვამ. თუ შარშან ბრუნვა აღწევდა 100 ათას მანეთს, წელს ის ავიდა 140.000-მანეთამდე.

კოოპერატივს შემატა 65 ახალი წევრი, აგრეთვე ძველმა წევრებმაც შეავსეს თავისი საპაიო გადასახადი.

დღეს კოოპერატივს ჰყავს 1.567 წევრი—4.770 მანეთი საპაიო თანხით. კოოპერატივის გამგეობამ დაასრულა წარსული საანგ. წლის ანგარიში, სადაც წმინდა მოგება კოოპერატივს დარჩენია 11.300 მანეთამდე. აქედან სჩანს, რომ გამგეობას შესაფერი ენერგიული მუშაობა უწარმოებია.

ერთი.

ეს მუშაობა არაა

(სად. თბილისი)

სად. თბილისში დღისაც არ არის მოწესრიგებული საქმე ისე, რომ საყუდიდან გამოყვანილი ორთქლმავალი სადგურის ლიანდაგზე უნაყოფოდ არ ჩერდებოდეს. ამის შესახებ რამოდენიმეჯერ დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ თითიც არავის გაუნძრევია. მდგომარეობა ისევ უცვლელია.

აი მაგალითად. 20 ოქტომბერს სად. თბილისში უნაყოფოდ იყო გაჩერებული შემდეგი ორთქლმავლები: ორთქლმავალი № 7.601 გაჩერდა 1 საათი 30 წუთი; ორთქლმავალი № 1029 გაჩერდა 1 საათი და 10 წ.; ორთქლმავალი № 1021 გაჩერდა 2 საათი და 15 წ.; ორთქლმავალი № 1037 გაჩერდა 1 საათი და 20 წუთი; ორთქლმავალი № 4324 გაჩერდა 1 საათი და 20 წუთი; ორთქლმავალი № 1007 გაჩერდა 1 საათი და 20 წუთი; ორთქლმავალი № 1040 გაჩერდა 0—55 წ.; ორთქლმავალი № 1035 გაჩერდა 0—50 წუთი.

ეს მოხდა მხოლოდ 20 ოქტომბერს. ეს ერთი დღე მე მოვიყვანე მხოლოდ მაგალითისათვის. რასაკვირველია, ასეთივე მოვლენა არის ყოველ დღე, საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ ხდება ეს?

საქმე შემდეგშია. სადგურს გამოჰყავს ორთქლმავალი საყუდიდან იმ დროს, როდესაც მას მატარებელი არ ჰყავს მზად, რის გამო უხდება ორთქლმავალს ცდა სადგურის ლიანდაგზე.

რომ ეს ზარალი თავიდან ავიცილოთ, საჭიროა შემდეგი ღონისძიებები. როდესაც საყუდი ორთქლმავალს უშვებს მატარებელისათვის და სადგურს არ ჰყავს მატარებელი მზად, სადგური ვალდებულია ორთქლმავალი დააბრუნოს საყუდში.

იმ შემთხვევაში, როდესაც მატარებელი თანახმად განრიგებისა არ არის მზად გასაგზავნად, სადგურმა უნდა შეატყობინოს საყუდის უფროსს, ორთქლმავალი ამა და ამ მატარებლისათვის შეჩერებული იქნეს, ვინაიდან მატარებელი არ არის მზად.

ასეთი გზით შესაძლებელია ორთქლმავლების გაცდენას არ დაურჩეს ადგილი.

საჭიროა ამას დროზე მივაქციოთ ყურადღება და ეს ზარალი რკინის გზას თავიდან ავაცილოთ.

თ. არუსპირელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ქარხნის მოწყობა

ქუთაისი, 17 ნოემბერი. რაჭის აღმასკომის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ქუთაისში იდგმება ახალი მანქანები, რაც ქარხნის ნაყოფიერებას 30 პროც. გაზრდის. (ადს).

არყის ახალი ქარხანა

ოზურგეთი, 17 ნოემბერი. ჩოხატაურის საკრედიტო ამხანაგობამ ააშენა და აამუშავა არყის და ღვინის ახალი ქარხანა. ქარხნის საწარმოო პროგრამა ნავარაუდევია წლიურად 5—6 ათასი ვედრის გამომუშავებით. (ადს).

დაიწყო მოსახლეობის აღწერა

ქუთაისი, 17 ნოემბერი. დასრულდა მოსახლეობის აღწერის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა. შევსებულია ინსტრუქტორთა და კონტროლიორთა შტატი. დღეს ქალაქსა და მაზრაში დაიწყო მოსახლეობის აღწერა. (ადს).

სკოლები

ქუთაისი, 17 ნოემბერი. ქუთაისის მაზრაში გაიხსნა გლეხური ახალგაზრდობის 4 ახალი სკოლა და 1 ოთხწლედი საბჭოთა სკოლა. (ადს).

აჭარისტანში

მზადება აღწერისათვის

ბათომი, 17 ნოემბერი. აჭარისტანის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაამთავრა სამზადისი მუშაობა საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად. ბათომი დაყოფილია ასაწერ უბნებად.

აჭარისტანის რუკები

ბათომი, 17 ნოემბერი. ჩამოვიდა ჰიდროგრაფიული გემი „სმისი". რომელიც დაათვალიერებს ზღვის განაპირა ადგილებს სარპიდან ქობულეთამდე და გადაიღებს სურათებს. ექსპედიციის მიზანია აჭარისტანის სანაპირო ადგილების ახალი რუკის შედგენა.

კახეთი შენდება

(თელავი)

ამჟამად მაზრაღმასკომის ხელმძღვანელობით მთელ მაზრაში მიმდინარეობს გზების საფუძვლიანი შეკეთება. ბევრგან უკვე გაათავეს გზის აქეთ-იქით თხრილების გაჭრა. ეხლა ქვიშის დაყრა და შესწორება სწარმოებს. კეთდება პატარა ხიდები და ბოგირები. კეთდება ტქარის ხიდი, რომელიც დიდი ხანია საჭიროებდა აშენებას.

არც მეორე სახის აღმშენებლობაა ჩამორჩენილი. ეს არის სახლების აგება. სოფელი შენდება, სოფელი წინ მიდის, მაგრამ სამწუხაროდ ეს უფრო ხშირად მახინჯ სახეს იღებს.

ჯერ ერთი თვით სახლები უგეგმოდ იდგმება. არავითარი აღმშენებლობითი მხარეები არ არის დაცული. ერთი ან ორი ოთახი დაბლა მარანით და გარშემო აივნით, პატარ-პატარა ფანჯრებით თითქმის ყოველ მხრიდან, აი მოკლედ კახეთის სახლის ტიპი.

გეგმით, რომ ყოფილიყო სახლები აშენებული, ნაკლებიც დაჯდებოდა და ჰიგიენურ - სანიტარული პირობებიც დაცული იქნებოდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახლები პირდაპირ გზებზე შენდება და სოფლის გზები უფრო მახინჯდება.

რასაკვირველია, ყველაფერს მაზრის აღმასკომს ვერ მოვთხოვთ. შეუძლებელიც არის ყველა სოფელზე მაზრიდან თვალყურის ჭერა. ეს თვით თემ-აღმასკომის თავმჯდომარეებმა უნდა მოაგვარონ.

გეგმაზე აშენება თუ არა, გზებზე და ქუჩებში სახლების აშენება მაინც უნდა აკრძალოს, ეს სულ ადვილი საქმეა და არც რაიმე ტექნიკურ ცოდნას მოითხოვს.

ვან—ლი.

ორი კურდღლის მდევარი გამგე

(დ. ჯიხაიში, ქუთ. მ.)

ჩვენს თემში სხვა სასწავლებლებთან ერთად წარსულ წელში დაარსდა სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც გადასცეს ყოფილი ნიკოლაძისეული მამული. გამგეთ სამეურნეო სასწავლებელს წარსულ წელს დაუნიშნეს 7 წლ. სკოლის გამგე არა სპეციალისტი. ვფიქრობდით წელს მაინც დაუნიშნავდენ ჩვენს სკოლას აგრონომ გამგეს, მაგრამ მოვტყუვდით.

გამგე კი წელსაც ფიქრობს ორივე სკოლას (7 წლედი და სამეურნეო სასწ.) გაუძღვეს, მაგრამ, როგორც ნათქვამია, „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს დაიჭერსო", მასაც ისე მოსდის. უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც სწავლა დაიწყო. სას.-სამეურნეო სასწავლებელში კი მაცადინეობის საქმე არეულ დაღეულია გამგის მეოხებით. გამგეს სამსახურის გამო ხშირად უხდება თბილისში თუ ქუთაისში მგზავრობა, სადაც ის ორ კვირაობით რჩება. ამ ხნის განმავლობაში სკოლები „ღვთის" ანაბარათ არიან მიტოვებული. მართალია სამ. სკოლის გამგებლობას გამგე თავის ცოლს უტოვებს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოწაფეებს სკოლის მამულში კი არ ატარებს პრაქტიკულ მუშაობაზე, არამედ კერძოთ თავის ყანაში ამუშავებს.

სკოლის მამული არა სპეციალისტ გამგის ხელში საცოდავ მდგომარეობაშია. გამგეს უფრო მეტად თავისი მეურნეობა აინტერესებს, ვინემ სკოლის მამული. სკოლის გამგე მამულის მუშებს ხშირად ამუშავებს თავის ოჯახში და ეს მაშინ, როდესაც მუშები მამულის მუშაობასაც ვერ აუდიან. მრავალ სხვა არანორმალობას აქვს ადგილი ამ სკოლების ცხოვრებაში, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების სამაზრო განყოფილებამ და მიწა-ტყის კავშირმაც.

მეთვალყურე.

სოფლის ქრონიკა

— **კამპანია**. გორის აღმასკომმა მაზრაში დაგზავნა პასუხისმგებელი ამხანაგები სას.-სამ. გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად.

— **ქსანის ქარხანა**. დუშეთის აღმასკომი შეუდგა ქსანის აგურ-კრამიტის ქარხნის გაფართოება-შეკეთებას.

— **სესხი**. გორის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გორის მაზრიდან ტირიფონის ველზე გადასახლებულ უმიწაწყლო გლეხებს სესხად მიეცეს თითოს 500 მან.

— **საფერშლო პუნქტი**. დუშეთის აღმასკომმა დაადგინა აღადგინოს მლეთში საფერშლო პუნქტი.

წერილები

მოთმინებამ არ გასჭრა

(ზუგდიდის მაზრა)

ხე-ტყის მრეწველობას ენგურის ხეობაში 50 წლის ისტორია აქვს. დაახლოვებით ამდენივე ხნის ისტორია აქვს ზუგდიდის მაზრის გლეხობის დაუზოგავ ყვლეფას კერძო მოიჯარადრეების მიერ, რომელთაც სვანეთის სატყეოდან მდინარე ენგურის საშუალებით ჩამოჰქონდათ ტყის მასალა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების ემარჯვების პირველ ხანებში გლეხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. წელში გამოსწორდენ. სახლ-კარი შეიკეთეს, ახალი ყავარით გადაათეთრეს ნიკოლოზისა და ნოეს დროინდელი სახლების გაცრეცილი სახურავები.

მაგრამ საქმე მალე უკუღმა შეტრიალდა. სატყეო კომიტეტის ნაცვლად, რომელიც გასაბჭოების პირველ ხანებიდან არსებობდა, მოეწყო „სატყეო ტრესტის სვანეთის ხე-ტყის დასამზადებელი რაიონი". ეს ორგანიზაცია სულ მოკლე ხნის განმავლობაში ხე-ტყის მწარმოებელ დიდ ორგანიზაციათ გადაიქცა. დაიწყო ტყის ფართე ექსპლოატაცია. გლეხებს სიხარულით ფრთა შეესხათ. ფიქრობდენ. მოგვეხედა ბედმა, სამუშევარსაც ვიშოვნით და მასალასაც აბა ვინ დაგვიკავებს საყიდლათო.

ასე ფიქრობდენ გახარებული გლეხები. მაგრამ სხვა აზრის იყო ხე-ტყის დასამზადებელ რაიონის ხელმძღვანელები. მათ, ასე ვთქვათ, მუშაობის დიდი მასშტაბი აიღეს. იმდენად დიდი, რომ უკან მოიტოვეს ზუგდიდის მაზრა, საქართველო და მგონია მთელი საბჭოთა კავშირიც.

გავიდა პირველი სეზონი, ხე-ტყე არ მიყიდეს გლეხებს. გახარებული გლეხები იმედს არ კარგავდენ: „ნორჩი ორგანიზაციაა, ცდილობს გარეშე ბაზრის მოპოებას, რა უყოთ თუ ჩვენთვის ვერ მოიცალაო". გავიდა მეორე სეზონი, მდგომარეობა უცვლელი დარჩა. გავიდა მესამე სეზონი—იგივე სურათი იყო. გლეხები მაინც სინდისს იმშვიდებდენ, ბოდიშს ხდიდენ ტრესტს. „ნორჩი ორგანიზაციაა".

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და მით უფრო სინორჩესაც, როგორც მოგეხსენებათ. მეოთხე სეზონიც გავიდა. ტრესტი წამოიზარდა. მოღონიერდა, „დაწვერ-ულვაშიანდა", გაჰქრა მის სახეზე ყოველგვარი სინორჩის ნიშან-წყალი. თან ნორჩობის ჰასაკ გადასულმა ტრესტმა მის მოამაგე გლეხებს არ დაუფასა სამსახური და პირიქით შეუტია. მან გლეხებს ენგურის რიყეში გავლაც კი აუკრძალა.

შეიქნა ჩოჩქოლი, ბევრი იკბინეს გლეხებმა თითებზე, მაგრამ ტრესტის განყოფილება ბოდიშსაც აღარ იხდიდა. უკვე მეხუთე ზამთარი დგება. სასიმინდეები, ბეღლები და სახლ-კარი გლეხებს გადაუხურავი და ზოგს აუშენებელი აქვს. საით წავიდეს ზუგდიდის მაზრის გლეხკაცობა, სად იშოვნოს ტყე? მოთმინება დაკარგული ერთი გლეხი წავიდა ღამით რიყეში, დახერხა ტრესტის ხე., დახსნა ყავრად და გადახურა ნალია. ეს მას, რა თქმა უნდა, გაუგეს, ოქმი შეუდგინეს და სასამართლოში გადასცეს. სასამართლომ მას ორი თვით გამსახლში ჯდომა მიაკრა ზურგზე, ხის ფასი გადაახდევინა და ზედ კიდევ ჯარიმა დაუმატა.

რასა ჰგავს ტრესტის სვანეთის რაიონის ასეთი მუშაობა? მოსათმენია თუ არა ის საბჭოთა წყობილების პირობებში და მით უფრო ეხლა, როცა ჩვენ სოფლად მუშაობის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ? ნუ თუ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდება.

მ. კოჭლაძე.

ფარნაოზის ჩივილი

(ზემო გურია)

კაცი რომ იყოს პატრონი—ამბობდა ფარნაოზ ციხური, ამ ჩვენს გაჭირვებას გაზეთში ჩააგდებდა და ჩვენს საქმეს უეჭველად რამე ეშველებოდაო. რვა სული სარჩენი მყავს და მიწის უქონლობის გამო ვინ იცის სად არ მიხდება სიარული ყანის სამუშაოთ. ზაფხულში კიდევ დავიარები, გზები მშრალია, მაგრამ შემოდგომაზე და ზამთარში ჩემისთანა საცოდავი ადამიანი არ არის. შენ ხომ იცი, მითხრა, ჩვენი სოფლიდან „ანჯელამდი" (საყანე ჭალაა) ოცდა ათი ვერსია და ზურგით ვზიდავ დღიურ ხარჯისთვის სიმინდს. რვა სულის სარჩენ სიმინდის ზურგით ზიდვა ოცდაათ ვერსის მანძილზე, იცი რა გაჭირვება იქნებაო.

— რა დახმარებას თხოულობ ფარნაოზ? შევეკითხე მე.

— რავა რა დახმარებას კაცო, ფულს კი არ ვთხოულობ. აი, საჯავახოს მოკენჭული*), რომ პალიასტომამდის**) გადაქცეული ამას მიაქციონ ყურადღება.

— ამ გზის შესახებ, ჩემო ფარნაოზ, ბევრჯერ დაწერილა გაზეთში და მალე გააკეთებენ, ნუ გეშინია-მეთქი უთხარი.

— თუ კაცის ნამუსი გაქვს, ერთი კიდევ ჩააგდე გაზეთში ჩვენი გაჭირვება და ორ დღეს მოგეხმარები, სადაც კი მეტყვი. ამას შენ იმიტომ გეხვეწები, რომ შენ ჩვენი კუთხის შვილი ხარ —ციხელი კაცი ხარ. შენც კი გქონდა ყანა ანჯალაში და ნუ თუ დაგავიწყდა, როგორ იხრჩობოდი ტალახში? მას შემდეგ თუ უფრო წახდა და ბოლო მოეღო ამ გზას, თვარა არ გაკეთებულაო.

მართლაც, საჯავახოდან ჩოხატაურამდე მიმავალი გზა, რომ გზას აღარა გავს ეს უდავოა, ისიც უდავოა, რომ ზემო გურია ვერ იარსებებს უამგზოდ. ძალიან რომ სიტყვა არ გავაგრძელო, ვიტყვი, რომ აქ მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ამ გზით ეზიდება სარჩოს ზემო გურიის 20—25 სოფელი. ეს გზა კი 1924 წლის შემდეგ ინგრევა. ადვილი მისახვედრია რა მდგომარეობაში იქნება როგორც ეს გზა, ისე ამ გზის შემხედვარი გლეხობა. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ს. ქორიძე.

---

*) გზა-ტკეცილი.
**) პალიასტომის ტბა.

მუშათა ცხოვრება

რკინისგზელები „ზაჰესში"

ამ დღეებში მოეწყო რკინისგზელთა მასიური ექსკურსია „ზაჰესში" თბილისის უბნის პროფკავშირის კულტგანყოფილების გამგის ამხ. გვარამიძის ხელმძღვანელობით.

დილის 7 ნახევარ საათიდან რკინისგზის მუშებმა თავი მოიყარეს თბილისის სადგურზე. უკვე დილის რვა საათია. ხალხი ბუზივით ირევა. ადგილკომები არიგებენ ბილეთებს.

მუშებს თანდათან ემატებათ. აი კიდეც ჩამოჰკრა მეორე ზარმა. მუშები გაფაციცებით ადიან რონოდებში. თერთმეტი რონოდა გაიჭედა რკინისგზელი პროლეტარიატით. მემანქანემ მისცა საყვირი და ჩვენი მატარებელიც გაუდგა გზას. მატარებელში ისმის მუშათა მხიარული სიმღერა; გრიალებს სამმართველოს სასულე ორკესტრი, სიმებიანი ორკესტრი მეათე დამცველი რაზმის ორკესტრი. ყოველ მხრიდან ისმის მუშების ხმაური, მხიარული ყიჟინა, სიცილ ხუმრობა.

ამაყად დასცქერიან მცხეთას მისი უშველებელი მთები. მშრომელთა ხალისი ბუნების მშვენიერებამ გაიტაცა.

უკვე დილის 9 საათია და ჩვენც დანიშნულ ადგილას ვართ. მუშები ელვის სისწრაფით ჩამოვიდენ რონოდებიდან.

დღეს 1000-ზე მეტი რკინისგზელი მუშა-მოსამსახური ღებულობს მუშათა მასიურ ექსკურსიაში მონაწილეობას. დღეს მათ სურთ დაინახონ თავიანთი თვალით, თუ რა აღმშენებლობა სწარმოებდა მიმდინარე წელს „ზაჰესში".

— მტკვარი უკვე დაუგუბებიათ.—ამბობენ კმაყოფილების ნიშნით მუშები. სამუშაოებისადმი მუშებში ინტერესი თანდათან იზრდება. „ზაჰესს" დიდი აღმშენებლობა ეტყობა.

გაიჭედა დასაგუბებელი ხიდი რკ.-გზელებით. ყველანი გაკვირვებული არიან აქაურ აღმშენებლობით.

გიჟმაჟი მტკვარი და არაგვი დაგროვილა ერთ ადგილას [illegible]. მუშები ელვის სისწრაფით ჩა- ტალღები ემუქრებიან დამაგუბებელ ხიდს, მაგრამ ამაოდ. ადამიანის მძლავრმა გონებამ გაიმარჯვა მაზე და გაიმარჯვა ისე, რომ დრო გამოშვებით ამ ზვირთების პატარა ნაკადულებს უშვებს თხრილში, რომ არ დაზიანდეს იგი.

ნავები უკვე ამუშავებულან. დაარსდა წყალში დახრჩობის თავიდან ასაცილებლად გამოცდილ მეზღვაურთა პუნქტი.

მტკვარი და არაგვი განუყრელად ერთ საწოლში შეერთებულან და ოთხ საენიანი ბოძები უკვე დამალულან.

დაიშალენ მუშები ამ სანახაობის დათვალიერების შემდეგ. მუშათა ცალკე ჯგუფებმა გააბეს ბაასი აქაურ აღმშენებლობის შესახებ.

— ნეტავ, რა ხელმა შესძლო ამის გაკეთება! ამბობენ ზოგიერთი მუშები, გაკვირვებულით გონცვიფრულნი.

ჯვარის მონასტერის მაღალი მთაც გაივსო რკინისგზელებით. ათვალიერებენ ისტორიულ ნაშთს.

მუშების ერთი ნაწილი საუზმობს; მეორე მღერის; უკრავს ორკესტრი. ხალხი აღფრთოვანებულია.

ლოდკებში გამოწყობილი ქალები ვარჯიშობენ.

გაფანტულან სხვადასხვა ადგილებში მუშები. უცბად საყვირი უწოდებს ყველას ერთ ადგილას. გაიხსნა საზეიმო მიტინგი.

„ზაჰეს"-ს ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ინჟ. ჭიჭინაძე.

ამხ. ე. ქშონძერიც ამბობს სიტყვას ექსკურსიის ნაყოფიერების შესახებ.

თბილისიდან ჩამოსული სხვადასხვა კლუბების სხვადასხვა წრეები ასრულებენ „ცოცხალი გაზეთი"-ს სხვადასხვა ნომრებს.

იხურება მიტინგი. მუშები მხიარული ჟრიამულით მიდიან სადგურისაკენ.

უკვე ბინდმა ჩამოჰკრა. ხალხი მაინც არ შორდება მას. მცხეთის ლამაზი ბუნება გახვია ღამის საოცარ ბინდებში.

წარუხოცელი შთაბეჭდილება ეტყობა ყველას. ყველა კმაყოფილებას გამოსთქვამს ნახულით.

მადლობას უძღვნით ამხ. გვარამიძეს ექსკურსიის მოწყობისათვის. მადლიერი ვართ აგრეთვე ამხ. ქშონძერის.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

მეც მასწავლეს წერა - კითხვა

სწავლას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სადავო არ არის არავისათვის. სწავლა ხელმისაწვდომი გახდა მშრომელ ხალხისათვის მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამის დასამტკიცებლად ვიტყვი ჩემს შესახებ. საოპერო თეატრში შეადგინეს სია მუშა - მოსამსახურეებისა, რომლებმაც არ იცოდენ წერა - კითხვა. ამ სიაში მეც მოვყევი. ერთი კვირის შემდეგ დაგვაწყებინეს მეცადინეობა მიუხედავათ იმისა, რომ ვიყავი ოჯახის პატრონი და ვცხოვრობდი შორს, მაინც სისტემატიურად ვესწრებოდი მეცადინეობას. სამი თვის განმავლობაში ვისწავლე წერა-კითხვა. ეხლა უკვე მეორე საფეხურის სკოლაში გადავდივარ. აგერ უკვე 15 წელია ვმსახურობ და ასეთი ყურადღება ჩვენთვის სხვა ხელისუფლებას არ მოუქცევია.

ეფემია მარგიშვილი.

ლექცია მუშებისათვის

2 ნოემბერს ა.-კ. პოლიტ. სამმართველოს მერვე ლეგიონიდან კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში" მოაწყვეს (წითელ კუთხეში) ლექცია ქიმიური ომის მნიშვნელობაზე. ლექტორად გამოვიდა ამავე ლეგიონიდან ამხ. დურუხანოვი, რომელიც მკაფიოთ და გარკვევით უხსნიდა მუშებს დასავლეთ ევროპის ქიმიურ მზადებას სხვადასხვა სახით.

ლექტორმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირიც ქიმიურ ტეხნიკის განვითარებას უდიდეს ყურადღებას აქცევს. ლექტორი ხსნის აგრეთვე ქიმიურ თავდაცვის საშუალებებს ჩვენში.

ლექცია მიმდინარეობდა ცოცხალი სურათებით, რაზედაც მსმენელი მუშები კარგად ერკვეოდენ წამოყენებულ საკითხებში.

სასურველია ასეთი ლექციები მოეწყოს სხვა ფაბრიკა-ქარხნებშიც.

ა.-კ. პოლიტ. სამმართველოს მე-8-ეე ლეგიონს—მუშური მადლობა.

მუშკორი ვანო.

პროფმუშაკიც ასეთი უნდა

შორაპნის მაზრის განათლების კავშირის გამგეობას თავმჯდომარეობს მოქ. ნ. ჯორბენაძე. ტყვილად გვქონდა მისი იმედი. კავშირის საქმეს იგი ძალზე გულგრილად ეკიდება. მთხოვნელები მას კავშირში ვერ ნახულობენ. იგი იმყოფება მხოლოდ კლუბთან არსებულ ან სხვა რომელიმე სასადილოში და ქეიფობს, ამ დროს კი კავშირში მასწავლებლებია თავმოყრილი და მას უცდიან.

თუ რამდენად ნაყოფიერია მისი მუშაობა ეს ჩანს შემდეგიდან: შემთხვევით შეველ ივნისის ბოლო რიცხვებში კავშირში და რადგან განცხადება მქონდა შეტანილი, დავინტერესდი, თუ სად ინახებოდა იგი. გადავათვალიერე სარეზოლიუციო ქაღალდები და აღმოჩნდა, რომ მრავალი განცხადებები, მიღებული კავშირში მაისის პირველ რიცხვებში, ჯერ კიდევ რეზოლიუცია დაუდებელი და პასუხი გაუცემელია (ასეთებია სხვათაშორის ვიღაც ციცქიშვილის, გაჩეჩილაძის და სხვათა განცხადებები და საქმეები).

საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ გულგრილობას. საჭიროა ჩ.-კავშირმა იზრუნოს თავის წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესება-დახმარებაზე, თორემ მუდამ უარით კავშირი სამუდამოდ დაკარგავს გავლენას თავის წევრებზე.

მეზობელი.

ჩვენი შეფები გლეხებს ეხმარებიან

24 ოქტომბერს ქარხანა „თემქის" და მომარაგების განყოფილების შეფბიუროს მიერ ვიქენით გაგზავნილი ორი კაცი ჩვენ საშეფო სოფ. პრიუტში დღესასწაულის ჩასატარებლად. თან წავიღეთ კინო-აპარატი გლეხებისათვის სურათების საჩვენებლად. დაახლოვებით სამი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენ იქ ჩავედით. ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარეს ქონდა გლეხთა საბჭოს კრება, სადაც იდგა რამოდენიმე საკითხები, მათ შორის კოოპერატივის მუშაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. საღამოს 7 საათზე გლეხებს უჩვენეთ კინო-სურათი „იმის (ამხ. ლენინის) მოწოდება", რომელმაც საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა გლეხობაზე.

ამ სურათში გლეხებმა ცოცხლად დაინახეს ტრიბუნაზე ასული ძვირფასი მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

გათავდა კინო-სურათის ჩვენება. გლეხები მეტად ნასიამოვნები დარჩენ და ამავე დღეს ჩვენი შეფები კვლავ დაუბრუნდენ თავიანთ დაზგებს.

მუშკორი ვ. მე—გია.

სალაროს შენობა უნდა გაფართოვდეს

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი დამზღვევი სალარო მუშა-მოსამსახურეთ და პენსიონერებს ხელს უწყობს, რაც კი შეიძლება, ბიულეტენით, ხელფასის და პენსიის მიღების გაადვილების საქმეში.

თითქმის ყველა უბნებში მოწყობილია განყოფილებები და თავის დროზე, წესიერად, აკმაყოფილებენ ყველას; პენსიონერებს აღარ უხდებათ რიგში დგომა და დიდი ლოდინი. ვერის უბნის განყოფილებაც სასურველადაა მოწყობილი, მხოლოდ შენობა ფრიად პატარაა და ვერ იტევს ყველა მთხოვნელებს. ამის გამო ბევრს გარეთ უხდებათ დგომა. როცა აცივდება, თოვლ-ჭყაპში და ტალახში გარეთ რიგში დგომა ძალზე მძიმე იქნება. სალაროს გვერდით არის ოთახები, უნდა შეუერთონ სალაროს შენობას ერთი ოთახი და სალაროც გაფართოვდება. სანამ კარგი ამინდია, უფრო იაფად დაჯდება შეკეთება და ამიტომ საჭიროა ეხლავე მოაწყოთ ეს საქმე.

მალარა.

წითელ ჯარში

ცხენოსანი ლეგიონი

სამზადისი მუშაობა ახალი ცვლის შესახვედრათ უკვე დამთავრდა. მოწყობილია ყველა ესკადრონებში ლენინის კუთხეები, ყაზარმა მორთულია სურათებით და პლაკატებით.

ახალი ცვლა უკვე მოდის. ძველი მსახური წითელი არმიელები ხვდებიან მათ და ესაუბრებიან ამხანაგურად, უხსნიან მათ მოვალეობას, მომავალ ცხოვრების პირობებს და სხვა. ყველა ძველი მსახური ვალდებულათ რაცხს თავისთავს გადასცეს ყაზარმაში შეძენილი ცოდნა ახალწვეულებს და ხელი შეუწყოს მათ გაწვრთნისა და მომზადების საქმეს.

საკონსულტაციო კომისია

ქართული დივიზიის სამხედრო პროკურატურასთან არსდება და ამ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას იურიდიული საკონსულტაციო კომისია.

საკონსულტაციო კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს სამხედრო პროკურატურა თავისი წარმომადგენლის სახით. კომისიაში შედიან: სამხედრო პროკურატურის, დამცველთა კოლეგიის, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის, ფინსახკომს, მე-2-ე ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილების და ამავე დივიზიის მომარაგების წარმომადგენლები.

საკონსულტაციო კომისიის მიზანს შეადგენს თბილისში მდგომ ქართულ ნაწილებში პერიოდიულათ მოწყობა კითხვა-პასუხის საღამოებისა. ამ საშუალებით იგი გაუწევს დახმარებას ყველა დაინტერესებულ პირს ცნობების მიწოდებით ამა თუ იმ წამოყენებულ საკითხებზე.

საკონსულტაციო კომისია მუშაობას აწარმოებს თვით სამხედრო ერთეულში. წლის დამლევამდე მოწყობილ იქნება სულ 12 საღამო 9 სამხედრო ნაწილში.

გ—რი.

დახმარება უმუშევრებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განაწილებული იქნა უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად დანიშნული ფონდი. ფონდი განაწილდა თბილისის, ბათომის, სოხუმის, ქუთაისის, შორაპნის მაზრებსა და ფოთის შორის.

ამ ფონდიდან შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში დატოვებული იქნა 11.115 მანეთი; აქედან 4.000 მანეთი საორგანიზაციო, ხოლო დანარჩენი 7.115 მანეთი მოულოდნელი ხარჯების გასაწევად.

შორაპნის მაზრის და ფოთისათვის გადადებული თანხები სავსებით მოხმარდება საზოგადო სამუშაოების მოწყობას. დანარჩენი ადგილების ფონდი განაწილებულია შემდეგნაირად:

50 პროც. კოლექტივებისათვის, 25 პროც. საზოგადო სამუშაოებისათვის, 15 პროც. უმუშევართა გადასამზადებლად, 5 პროც. ექსპერტიზისათვის და 5 პროც. უმუშევართა სხვა ადგილებზე გადასაგზავნად.

ქუთაის-წყალტუბოს გზა

ქუთაის - წყალტუბოს გზა-ტკეცილი ვერ აკმაყოფილებს სავსებით მიმოსვლის მოთხოვნილებებს. გზატკეცილი ვიწროა; ამას გარდა შემჩნეულია მრავალი დეფექტები მის ექსპლოატაციის საქმეში. ამის გამო, საქართველოს სახკომსაბჭომ გამოჰყო სპეციალური კომისია ა.-კ. გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოადგილის ინჟ. ბეს. ჭიჭინაძის, ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სოლქო სამმართველოს უფროსის ინჟ. ჯორჯაძის, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ინსპექტორის—ხელთუფლიშვილის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რევიზორის, საკურორტო სამმართველოს და ქუთაისის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელსაც დაევალა ქუთაის - წყალტუბოს გზატკეცილის გასაყვანად წარმოებულ მუშაობის და ამ გზატკეცილზე შემჩნეულ დეფექტების დაწვრილებითი გამოკვლევა. კომისიამ უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს აგრეთვე ის მიზეზებიც, რომლებმაც გამოიწვია ეს დეფექტები. კომისიას ევალება აგრეთვე გამოარკვიოს ქუთაის - წყალტუბოს გზატკეცილის შესანახად საჭირო ფონდის შექმნის საკითხი, წყალტუბოს კურორტზე მომსვლელთა და საერთოდ გზატკეცილით მოსარგებლეთა დაბეგვრის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრა ინჟ. ბ. ჭიჭინაძეს.

კომისია დღეს მიემგზავრება ქუთაისში გამოკვლევ მუშაობის საწარმოებლად.

კატასტროფა სად. წიფასთან

კომისიის მუშაობა

17 ნოემბერს, დილის სხდომა კომისიამ მოანდომა დამატებითი მოწმეების დაკითხვას და დამტვრეულ ორთქლმავლებიდან მოხსნილ მუხრუჭების ნაწილების გამოცდას.

მთელი რიგი ინჟინერებისა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ კატასტროფის მიზეზების გამომრკვევ კომისიაში, იკვლევენ საკითხს, თუ როგორი სისწრაფის განვითარება შეეძლო მატარებელს კატასტროფის მომენტამდე.

არსებობს აზრი, თითქოს მატარებელი, რომელიც დაიმტვრა წიფაში, არ იყო საცდელი. სინამდვილეში ეს მატარებელი საცდელი იყო. თბილისიდან—ბათომამდე იგი გაიგზავნა, როგორც ჩვეულებრივი სამარშრუტო მატარებელი. ცდები უღელტეხილზე უნდა ეწარმოებიათ უკან გამობრუნებისას.

აღნიშნულ მატარებელში გამომცდელ კომისიის ყოფნა აიხსნება იმით, რომ იგი მიემგზავრებოდა სახალხო მატ. № 3—4 შესახვედრათ, რომლებიც პირველად იყო მოწყობილი კაზანცევის და ვესტინგაუზის შერეულ მუხრუჭებით. კომისიის მიზანს შეადგენდა გამოერკვია, შესაძლებელია თუ არა გამოყენება ასეთი შერეული დამუხრუჭებისა.

მუხრუჭების ყველა ნაწილები მოთავსებული იყო მხოლოდ ერთ ორთქლმავალზე და მათმა გამოცდამ წიფაში კარგი შედეგები გამოიღო.

შემდეგ, როგორც ეს ნაწილები, ისე სხვა ხელსაწყოები ორთქლმავლიდან მოხსნილ და დაბეჭდილ იქნა. ისინი განმეორებით გამოსცადეს ყოველ მხრივ ხაზურში. გასინჯვამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. ამის გამო კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუხრუჭების ნაწილები კარგია და ისინი ჩვეულებრივად მუშაობდენ.

ამ გამოცდებით კომისია მაინც არ დაკმაყოფილდა და გუშინ, მოხსნილი ნაწილები მესამეთ გამოცდილ იქნა თბილისის მთავარ სახელოსნოების საგამოცდო სადგურში. მატარებლის სიგრძე, რომელზედაც დადგმულ იქნა ეს ნაწილები არ იყო ნაკლები იმ მატარებლის სიგრძეზე, რომელიც დაიმტვრა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ბოლო რონოდი მატარებელში დამუხრუჭებულ იქნა 20 წამში.

გამოცდის დროს კომისიამ მოახდინა მაგისტრალური ონკანის გადაკეტვა, მაგრამ ამან გავლენა ვერ იქონია დამუხრუჭებაზე.

ამგვარად კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ მოხსნილი ნაწილები კარგ მდგომარეობაში იყვნენ კატასტროფამდეც.

ყოველივე ეს კი ამტკიცებს იმას, რომ კაზანცევის მუხრუჭების მიზეზით არ მომხდარა კატასტროფა წიფაში.

— მაშ ვინაა დამნაშავე?

— კომისიას ჯერ მუშაობა არ დაუმთავრებია, იგი მუშაობას განაგრძობდა გუშინ საღამოსაც. კომისიის თავმჯდომარის ინჟ. გვერდწითელის სიტყვით საბოლოო შედეგები გამორკვეულ იქნება დღეს და გამოქვეყნდება პრესაში.

დეპეშა

კომისიამ დეპეშით აცნობა გზათა მიმოსვლის კომისარიატს, რომ მას ჯერ მუშაობა არ დაუმთავრებია და საბოლოო შედეგებს აცნობებს მუშაობის დამთავრებისათანავე.

გონებრივი მუშაკები ბირჟაზე

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც მოხდა შრომის ბირჟის რეორგანიზაცია რამაც სასურველი შედეგი მოიტანა. ერთი რომ შრომის ბირჟები განიტვირთა იმ ელემენტებიდან, რომლებსაც თავის დღეში არ უმუშავიათ დაქირავებული შრომით. მხოლოდ ეწერებოდნენ შრომის ბირჟაში სხვადასხვა შეღავათების მისაღებათ და მეორე, საშუალება, მიეცათ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებს მუშა ხელის დაქირავების დროს, ეწარმოებინათ შერჩევითი პრინციპით შრომის უნარიანობის და ვარგისობის მხრივ — რასაკვირველია ამ მოვლენამ წარმოება - დაწესებულებებში ასწია შრომის ნაყოფიერება და ბოლო მოუღო ყველა არასასურველ მოვლენებს. შრომის ბირჟასთან სხვადასხვა კვალიფიციურ მომუშავეებისათვის მოწყობილია შესაფერისი სექციები, თანახმად ორგანიზაციული სტრუქტურისა, რომელიც დამტკიცებულია, საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მიერ ცირკულიარით ა.-წ. 23 მარტის თარიღით 641. აღნიშნული სექციები ასრულებენ მხოლოდ საშუამავლო როლს მუშა ხელის შერჩევაში და მოწოდებაში, რაც ხდება დაუყოვნებლივ და შეუფერხებლათ. ამ მხრივ საშუამავლო ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ზოგ შემთხვევაში აქვს ადგილი გაუგებრობას სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებთან, რაც უმეტეს შემთხვევაში დადებითად იჭრება უმუშევართა სასარგებლოთ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ის არასასურველი მოვლენა, რომელსაც ეწოდება „პროტექციონიზმი". საუბედუროთ „პროტექციონიზმმა" ამ ბოლო დროს ღრმად გაიდგა ფესვები. ეს უშლის ხელს საშუამავლო ბიუროს მიზანშეწონილ და ნორმალურ მუშაობაში. შრომის ბირჟა ერთ წუთსაც არ ივიწყებს ამ მოვლენას და შეძლების და გვარად ებრძვის მას. ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლების, პარტორგანოების, პროფორგანოების და მუშა კორესპონდენტების აქტიურ დახმარებით, მალე მოვსპობთ ყოველგვარ „მამიდაშვილობას", რასაც ადგილი აქვს ჩვენ სინამდვილეში.

პირველ ნოემბერს გონებრივ მუშაკთა სექციაში ირიცხებოდა 3.739 უმუშევარი, ამათ შორის კაცი 1855, ქალი 1884, კავშირის წევრნი 2538, უნდა ითქვას, რომ უმუშევართა რიცხვი შედარებით გასულ საანგარიშო თვესთან გაიზარდა 15%-ით. უმუშევართა რიცხვის გადიდება გამოწვეულია საზაფხულო სეზონის დამთავრებით. და ნაწილობრივ სხვადასხვა ქალაქებიდან უმუშევართა ჩამოსვლით.

ვ. სიხარულიძე.

ძველი არალეგალური სტამბის აღმოჩენა

სარევოლიუციო მუზეუმმა 16 ნოემბერს ბაიაზეთის შესახვევი № 7 მოქ. **მარიამ ბირიამიძის** სახლში აღმოაჩინა არალეგალური სტამბა.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი გუშინ გაემგზავრა აღნიშნულ ადგილზე და ესაუბრა სტამბის დამალვის ზოგიერთ მომსწრეებს.

როგორც მათი სიტყვებიდან გამოირკვა, საბეჭდი მანქანა „ამერიკანკა", შრიფტი, სალებავები და სხ. მასალები მოტაცებული ყოფილა მოქ. მიხეილ გაჩეჩილაძის სტამბიდან (მადათოვის კუნძულიდან) 1907 წელს. გატაცება მომხდარა შემდეგნაირად: 1907 წელს ერთ წვიმიან დღეს, დაბინდებისას, გაჩეჩილაძის სტამბაში შესულა რამოდენიმე შეიარაღებული პირი, დაუშლიათ მანქანა და სხვა მასალებთან ერთად ჩაულაგებიათ სპეციალურათ მოტანილ ყუთებში და მიმალულან. მოწმეების ფიქრით, სტამბის გამტაცებელთა შორის უნდა ყოფილიყო ამხ. **კოტე ცინცაძე**. სახლის პატრონის მარიამ ბირიამიძის ქალიშვილი თამარ ბირიამიძე გვიამბობს, რომ მათ სახლში სტამბის მოტანა არ ახსოვს, მხოლოთ ახსოვს სახლის გაჩხრეკა ჟანდარმების მიერ სტამბის აღმოსაჩენად. 1911 წელს (მაშინ ის ყოფილა 17 წლის) მათ სახლში მოსულან ჟანდარმები. მანქანა მოთავსებული ყოფილა სამზარეულოში ფარულ ადგილას, ხოლო შრიფტი, დაახლოებით 9 ფუთამდე, სალებავები, ქაღალდი, გრიმი და სხვა მასალები —იატაკის ქვეშ. ჟანდარმებმა სახლი გულდასმით გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, უკან გაბრუნებისას ერთმა ჟანდარმმა შეამჩნია ერთმანეთს საგრძნობლად დაცილებული იატაკის ფიცრები და მათი აყრის შემდეგ აღმოაჩინეს ქვეშ დამალული მასალები. ეს მასალები აღმოჩენილი იქნა იმავე სახლში მცხოვრებ **ესტატე ტოლობაშვილის** ოთახში. ჟანდარმებმა დააპატიმრეს როგორც ტოლობაშვილი, ისე სახლის პატრონი მარიამ ბირიამიძე. დაკითხვის დროს ტოლობაშვილმა განაცხადა, რომ ის არის ჯიბგირი და სტამბის ეს ნაწილები მოიტაცა ქუჩიდან, სადაც მან ეს მასალები იპოვა მიტოვებულ ტაჩკაზე, რომ მან ეს მასალები მოიპარა გასაყიდათ და ფულის საშოვნათ. ტოლობაშვილის ამ ამბავმა „ჯიბგირობის" შესახებ სამსახური გაუწია მხოლოდ მარიამ ბირიამიძეს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გაანთავისუფლეს ხოლო თვით ე. ტოლობაშვილი კატორღაში გააგზავნეს 4 წლით.

მათი დაპატიმრების შემდეგ საჭირო შეიქნა გადარჩენილ მანქანის გადამალვა.

1912 წელს, 25 მარტს, ღამით საბეჭდი მანქანა ყუთში კარგათ ჩალაგებული ჩაავდეს ფეხსალაგის ორმოში, სადაც ინახებოდა დღემდე.

მანქანა ამ დღეებში გადმოტანილი იქნება სარევოლიუციო მუზეუმში.

თამარ ბირიამიძე ამჟამად მასწავლებელია, ხოლო ესტატე ტოლობაშვილი მუშაობს რკინის გზის სახელოსნოში.

რადიო-ქსელი

უკვე დამთავრდა რადიო - გადამცემი სადგურის მოწყობა თბილისში. ამას გარდა საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან მოწყობილია რადიოსტუდია, რომლის კურს დამთავრებულები შემდეგ იმუშავებენ პროფსაბჭოს მიერ მოწყობილ რადიო - ქსელზე.

რადიო - ქსელი მოწყობილი იქნება როგორც თბილისში, ისე პროვინციაში. თბილისში რადიო - აპარატები დადგმული იქნება ყველა მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში, პროვინციაში კი—სამაზრო ცენტრებში.

სულ გახსნილი იქნება 35 პუნქტი, რომლებითაც ერთი საღამოს განმავლობაში ისარგებლებს 20.000 კაცი.

აპარატების შეძენა დაჯდება 20.000 მანეთამდე. პროფსაბჭოს უკვე შეკვეთილი აქვს ყველა საჭირო აპარატები და მოწყობილობა.

აპარატების მისაღებათ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა პროფსაბჭოში უნდა შეიტანონ მათი ღირებულების 25 პროც., დანარჩენი ვალი კი გასტუმრებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში.

ზეთის სახდელი ქარხანა

ს. მ. უ. ს. ინიციატივით თბილისში მოეწყო საპონ-ზეთის ქარხანა, სადაც „სააქციონ. საზ-ბა ლ. გროვეს" ფირმამ დადგა ახალი მანქანები.

დღეს დილიდან დაიწყება ახლათ დადგმულ მანქანების გამოცდა. მთელი აპარატურის გამოსაცდელათ იწარმოებს სხვადასხვა თესლეულობიდან ზეთის გამოხდა და საპნის კეთება. გამოცდამ უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენი რაოდენობის თესლიდან რა რაოდენობის ზეთი შეიძლება იქნეს მიღებული, რამდენი სათბობი მასალა იხარჯება ან რა ნაკლი აქვს ახალ მოწყობილობებს.

მანქანების გამოცდას და ქარხნის ამუშავებას დაესწრებიან: ა.-კ. საბამბო კომიტეტის, საქართველოს საბამბო კომიტეტის, „მასლოჟირსინდიკატის", მიწათმოქ. სახალხო კომისარიატის და ინდუსტრიალურ ტექნიკუმების წარმომადგენლები.

მეურნეობის აღსადგენად

ეკონომიურმა საბჭომ დამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის სექტემბრის კონიუნქტურული მიმოხილვა. სახალხო მეურნეობის მდგომარეობასთან დაკავშირებით საბჭომ საჭიროთ სცნო შემდეგი ღონისძიებათა გატარება: ა) რადგან სიმინდის მოსავალი ნავარაუდევზე ნაკლები აღმოჩნდა, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს საექსპორტო გეგმის შესრულებას, დაევალა საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს სასწრაფოდ წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს პურეულის ბალანსი და აგრეთვე გამოარკვიოს საექსპორტო სიმინდის რაოდენობა; ბ) წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს საჩქაროდ წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს თავისი მოსაზრებანი საქონლის ეპიზოოტიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ; გ) წინადადება მიეცა საგეგმო კომისიას დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეისწავლოს თამბაქოს მრეწველობის და საპნის ქარხნის ნედლი მასალით მომარაგების საკითხი; დ) რადგან ქალაქად კვლავ იზრდება უკვალიფიკაციო უმუშევართა რიცხვი, ხოლო კვალიფიკაციურ მუშახელის მოთხოვნილება თანდათან ფართოვდება, დაევალა სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილ კომისიას მიიღოს სათანადო ზომები, რათა კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების საქმე რაც შეიძლება საჩქაროდ მოეწყოს და ე) წინადადება მიეცა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს სათანადო ყურადღება მიაქციოს—არსებულ გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო საგნების შემოტანის გაძლიერებას და იმ სამრეწველო ფასების მოწესრიგებას, რომელთათვის თუმცა გამომუშავებულია საგანაკვეთო ზედნადები ხარჯის ნორმები, მაგრამ ეს ნორმები ცხოვრებაში არ ტარდება, რაც იწვევს აღნიშნულ საგნებზე ფასების შეუფერხებელ ზრდას.

კომისია

ახალი ჰიდრო-ელსადგურების ასაგები ადგილების დასათვალიერებლათ

ს. მ. უ. ს. მიერ მიღებულ ცნობებით მოსკოვიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა საკავშირო საგეგმო კომისიის მიერ გამოგზავნილი სპეციალისტთა კომისია ამიერ-კავკასიაში ჰიდრო-ელსადგურების ასაშენებელ ადგილების დასათვალიერებლად.

კომისია პირველ რიგში დაათვალიერებს ქუთაისის ჰიდრო-ელსდგურის ასაგებ ადგილს, ტყიბულის თბოსადგურის ასაგებ ადგილს და კამენკის ჰიდრო-ელსადგურის ასაშენებელ ადგილს.

კომისიას დავალებული აქვს გამოიტანოს დადგენილება, თუ რომელი უნდა იქნეს აგებული პირველ რიგში ამ სადგურთა შორის. კომისიას თბილისში მოელიან ამ დღეებში და მას თან გაჰყვება ადგილების დასათვალიერებლად ს. მ. უ ს. წარმომადგენელი.

ექიმთა კონფერენცია

17 ნოემბერს მედსანშრომის მუშათა კლუბში გაიხსნა თბილისის ექიმთა საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა მედსანშრომის კავშირის საექიმო სექციის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯიჯაძემ.

კონფერენციაზე პირველად მოსმენილ იქნა ექ. ქიქალეიშვილის მოხსენება კავშირის საექიმო რესპუბლიკანურ ბიუროს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ექიმების ერთ ორგანიზაციაში დარაზმვა, რისთვისაც საჭიროა ერთი მტკიცე საორგანიზ. ცენტრის მოწყობა. ამის გამო განზრახული იყო მედსანშრომის კავშირის პრეზიდიუმთან დაექირავებიათ ერთი ექიმი, რომელიც გაუძღვებოდა საორგანიზაციო საქმეებს, მაგრამ საშუალებათა უქონლობამ განხორციელება დააბრკოლა.

რესპუბლიკანურ ბიუროში შედიოდა სულ 17 კაცი. აქედან 4 იყო პროვინციიდან და 13 თბილისიდან. რესპუბლიკანურმა ბიურომ გადაწყვიტა მოეწყო ადგილებზე საექიმო სექციები და ამ მიზნით მოწვეულ იქნა სამაზრო პროფბიუროების წარმომადგენელთა თათბირი. რესპუბლიკანური ბიურო შეუდგა აგრეთვე რესპუბლიკაში მომუშავე ექიმთა აღრიცხვას. გამოირკვა, რომ სულ რესპუბლიკაში მუშაობს 501 ექიმი. საექიმო სექციები მოწყობილია ჯერ-ჯერობით შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, გორში, სოხუმში და ბათომში. სექციები ეწყობოდა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ექიმთა რიცხვი ადიოდა 30-მდე, მაგრამ უკანასკნელად გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ სექციის მოსაწყობათ საჭიროა მინიმუმ 25 ექიმი.

რესპუბლიკანურ ბიუროს ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა აგრეთვე ექიმების ფართო მასების ჩაბმა პროფესიონალურ ხასიათის და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ექიმების შრომის პირობების გამოკვლევას და მედსანშრომის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. ამ მიზნით რესპუბლიკის ბიურომ გამოჰყო სამი კომისია და დაავალა მათ სათანადო მუშაობის ჩატარება.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი ჩატარებული მუშაობის შემდეგ, მომავალში უფრო გაადვილდება დასახული ამოცანების შესრულება და ერთი წლის შემდეგ რესპუბლიკის ექიმებს ექნებათ მტკიცე კავშირი, რომელიც ყოველთვის მზად იქნება დაიცვას მათი პროფესიონალური ინტერესები.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენციამ აირჩია დელეგატები ექიმთა სრ. საქართველოს ყრილობაზე დასასწრებლად.

სრ. საქ. ექიმთა ყრილობა გაიხსნება თბილისში 21 ნოემბერს.

საგეგმო კომისიაში

პატენტი სასმელებზე და თამბაქოზე

ა.-კ. ფინსახკომმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ სახკომსაბჭოს წინაშე, რათა გადიდებული იქნეს დანართი სასმელების და თამბაქოს სასმელებზე იმ ნორმამდე, რომლებიც დაწესებულია საბჭოთა კავშირში, ე ი. სასმელების პატენტზე 25 პროც. და თამბაქოს პატენტზე—10 პროც.

ეს საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს საგეგმო კომისიას, რომელმაც ა.-კ. ფინსახკომის დადგენილება სწორად სცნო.

მუშა-ახალგაზრდობის ჯავშანი

საგეგმო კომისიამ შეიმუშავა მუშა-ახალგაზრდობის ჯავშნის სავალდებულო და მინიმალური ნორმები საქართველოს მრეწველობის ცალკე დარგებისათვის.

დაწესებულია: სოფლის მეურნეობაში—მუშა-მოსამსახურეთა—10 პროც., ქვანახშირის, შავი ქვის, რკინის და სპილენძის მრეწველობაში—5 პროც., ლითონის დამამუშავებელ მრეწველობაში—6 პროც., მანქანების საამშენებლო მრეწველობაში—6 პროც., ხე-ტყის ქარხნებში—6 პროც., ქაღალდის წარმოებაში—6 პროც., საკონდიტერო წარმოებაში—10 პროც., ქიმიურ წარმოებაში—5 პროც., სააღმშენებლო დარგში—5—15 პროც., ავტოტრანსპორტზე—6 პროც., ტრამვაი, წყალსადენი, კანალიზაცია—6 პროც., ბეჭდვითი- სიტყვის წარმოებაში—5 პროც., და შინა-მრეწველთა სახელოსნოებში და წვრილ წარმოებებში 5 კაცზე ერთი მოზარდი.

ყველის და კარაქის ქარხანა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მოახდინა საგანგებო გამოკვლევა ყველის და კარაქის ქარხნის გასახსნელად გომბორის რაიონის სოფელ თეთრის წყალში გამოირკვა, რომ ამ რაიონში არის საკმაო საქონელი და საძოვრები, რომლებიც საჭიროა ქარხნისათვის.

საკითხი განსახილველად გადაეცა საგეგმო კომისიას, რომელმაც დაადგინა გაგზავნილი იქნეს გომბორის რაიონში სპეციალისტები საკითხის ყოველმხრივ შესასწავლად.

ბამბის ფასები

ა.-კ. მებამბეობის მთავარი კომიტეტის დაწესებული ტარიფის თანახმად, მებამბეობის ორგანიზაციები მებამბე გლეხებისაგან ბამბას ღებულობენ შემდეგ ფასებში: ამერიკულ ჯიშის გადარჩეული ბამბა პირველი ხარისხისა—5 მან. 20 კაპ. ფუთი, ნორმალური ბამბა პირველი ხარისხისა — 5 მან. 10 კაპ. პირველი ხარისხის ნარევი ბამბა—4 მან. 50 კაპ. მეორე ხარისხის — 3 მან. 50 კაპ. ეს ფასები არიან დაწესებული აზერბეიჯანისა და სომხეთის ბამბაზე.

საქართველოს და აფხაზეთისათვის, სადაც უმთავრესად გავრცელებულია ადგილობრივი ჯიშის ბამბა, დაწესებულია შემდეგი ფასები. პირველი ხარისხის ჩვეულებრივი ბამბა — 4 მან. 15 კაპ. ფუთი, პირველი ხარისხი დაწუნებული ბამბა — 3 მან. 95 კაპ. მეორე ხარისხის—3 მან. 75 კაპ. და მესამე ხარისხის—2 მან. 45 კაპ.

კომუნალ. აღმშენებლობა

ახლო ხანში მაზრებში დაიწყება კამპანიის ჩატარება კომუნალური აღმშენებლობის შესახებ. სამაზრო აღმასკომებს დავალებული აქვთ შეიმუშაონ მაზრის ფარგლებში ჩასატარებელ კომუნალურ აღმშენებლობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმები.

აღნიშნული გეგმების შემუშავებას საფუძვლათ დაედება ყოველ ცალკე თემების თუ სოფლების მოთხოვნილებანი აღმშენებლობის დარგში (ახალი გზა, ხიდები, სასკოლო შენობები, სახალხო სახლები და სხვ.).

სათესი მასალა

უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ფეხს იკიდებს სასოფლო მეურნეობის რაციონალური წარმოება. ქართლის და კახეთის იმ რაიონებში, სადაც მარცვლეულ კულტურას მისდევენ, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გლეხი უკვე აღარ სთესავს გაუწმენდელ და გაუსუფთავებელი თესლით ყანას. გლეხს მიაქვს სათესი მასალა თესლის გასაწმენდ პუნქტებზე, სტოვებს იქ და ორი - სამი დღის შემდეგ უკანვე ღებულობს სასოფლო მცენარეების თესლისაგან გასუფთავებულ სათეს მასალას. თესლის გაწმენდისთვის გლეხს ფულად ან ნატურით ხდება მცირეოდენი ქირა. ამჟამად ყველგან, სადაც კი თესლის გასაწმენდი პუნქტები არსებობს სავსებით დატვირთულნი არიან შეკვეთებით. განსაკუთრებით დიდ ნაყოფიერებას იჩენენ გორის სამაზრო აღმასკომის აგრონომიულ განყოფილების მიერ მოწყობილი თესლის საწმენდი პუნქტები. განყოფილებას მთელს მაზრაში მოწყობილი აქვს 11 ასეთი პუნქტი. პუნქტები უმთავრესად მოწყობილი არიან ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის საქმიანობის მთავარ დარგს მარცვლეული კულტურის თესვა წარმოადგენს. თუ რამდენად ნაყოფიერია ქართლის თესლის გამწმენდი პუნქტების მუშაობა მოწმობენ შემდეგი ციფრები. აგვისტოდან პირველ ოქტომბრამდე გაწმენდილი და დახარისხებული იქნა 35 ათასი ფუთი თესლი.

ოქტომბერში, ხვნა - თესვის ალოს გაძლიერების გამო, პუნქტების დატვირთვა კიდევ უფრო გაიზარდა. ერთი თვის განმავლობაში გაწმენდილ და დახარისხებულ იქნა 40 ათასს ფუთზე მეტი თესლი.

სამდღიური

უპატრონოთ დარჩენილ ბავშთა დასახმარებლათ

ვისაც ქალაქში ტრამვაით გიმოგზაურიათ, ალბათ გინახავთ დაფლეთილი კონჭებში გამოხვეული პატარა ბიჭუნა ანუ გოგონა ტრამვაიზე შემომხტარი დახმარების სათხოვნელად. როდესაც ღამე გაგივლიათ ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე და ქუჩების შესახვევში—ალბათ აქაც გინახავთ ქვაფენილებზე და ქუჩის ბნელ კუთხეებში სიცივისაგან გალურჯებული, სიმშილისაგან ფიალებ ჩაცვენილი, გაშიშვლებული პატარა ბიჭუნები და გოგონები. ყველა ესენი—უკუღმართი ჩვენი წარსული ცხოვრების მსხვერპლი არიან. იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა, თავადების, მენშევიკების და ესერების ხშირ-ხშირი ავანტიურისტულმა გამოსვლებმა სამემკვიდრეოდ ჩვენ ბევრი უპატრონო და დაობლებული ბავშვები დაგვიტოვა.—საბჭოთა ხელისუფლება არ ზოგავს ენერგიას, შრომას და საშუალებებს—მოუაროს ობლებს და უპატრონოთ დარჩენილ ბავშვებს.—როგორც ეს არის დიდ კავშირში და ამავალ დანარჩენ რესპუბლიკებში. ისე საქართველოც საბავშო სახლებითაა დასერილი. მთავრობა ბევრ უპატრონოთ დარჩენილ ბავშებს საბავშო სახლებში უვლის თავს; ის აქ ამათ ასმევს, აჭმევს, ახურავს და ასწავლის, მაგრამ ჯერ კიდევ, სამწუხაროთ, ბევრია დარჩენილი ისეთები, რომელთაც ჩვენი მზრუნველობა აკლია.

საზოგადოება „ბავშთა მეგობარი" უპატრონოთ დარჩენილი ბავშვების მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით თბილისში სამ დღიურს მართავს.

უპატრონოთ დარჩენილი ბავშთა დამხმარე სამდღიური ქალაქში ხვალ [illegible] იწყება. ამ სამდღიურის დანიშნულებაა—ნორჩი თაობის ის ნაწილი, რომელიც უკუღმართ ცხოვრებას ქუჩაში [illegible] და მშობლიურ მზრუნველობას მოშორებული დაუკავშიროს სახელმწიფოს და საზოგადოების მშობლიურ ალერსს.

ჩვენ გვჯერა ამ კეთილ საქმისათვის თავის წვლილს არავინ არ დაიშურებს. ჩვენ ვიცით, როგორც სპეტაკი სათუთი გრძნობს ხალხი ყველაზე მტკიცეთ და ენერგიულათ ამ სამდღიურს ბავშვები გამოეხმაურებიან და აიძულებენ თავიანთ მშობლებს ქურ. უპატრონოთ დარჩენილ თავიანთ პატარა ძმებს და დებს დახმარების ხელი გაუწოდონ. ისიც გვჯერა, რომ არც მოსწავლე ახალგაზრდობა, არც წითელარმიელები და არც დანარჩენი სხვა მოქალაქეები არ ჩამორჩებიან სხვას და არ დაიშურებენ თავიანთ წვლილის გაღებას უპატრონო ბავშვების სასარგებლოთ. სამდღიური დაიწყო,—ქუჩებში უპატრონოთ დარჩენილ შიშველ-ტიტველ ბავშვებს ხელები აქვთ ჩვენსკენ გამოწვდილი და დახმარებას ითხოვენ, ნუ დავტოვებთ მათ უყურადღებოთ,—ყველამ დავეხმაროთ.

ქ. ხომერიკი.

ლენინაკანის რაიონის აღსადგენათ

„კომუნისტი"-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 34) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ

500 მანეთი რეშტიდან

საბჭოთა სომხეთის დამხმარე კომიტეტმა რეშტში—„ჰოკ"-მა საბჭოთა კავშირის გილიანის საკონსულოს საშუალებით ლენინაკანის რაიონში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადმოგზავნა 500 მანეთი. ეს—„ჰოკ"-ის პირველი დახმარებაა დაზარალებულთათვის.

წერილში საკონსულო რეშტის მთელი საბჭოთა კოლონიის სახელით სამძიმარს უცხადებს ამიერ-კავკასიის მთავრობას და საბჭოთა სომხეთს იმ სტიქიური უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა ლენინაკანის რაიონს.

ზარალის გამორკვევა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ლენინაკანის მაზრაში გაგზავნა ინსტრუქტორი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მიწისძვრისაგან სოფლის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი.

ცენტრალური სასოფლო - სამეურნეო ბანკის წინადადებით, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა კრედიტი იმ გლეხთა მეურნეობების სახლების და სასოფლო-სამეურნეო შენობების აღსადგენად, რომლებიც დაზარალდენ მიწისძვრისაგან ლენინაკანის რაიონში.

საკავშირო აღწერის წინ

ა.-კ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველომ ცენტრიდან მიიღო ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ჩატარდეს აღწერა უცხოელთა საკონსულოებში, წითელ არმიაში და რკინის გზებზე.

განსაკუთრებული პირობები საელჩოებში აღწერის შესახებ, გამოიხატება იმაში, რომ ეს საკონსულოები თვითონ მიიღებენ სტატ. სამმართველოდან ფორმულიარებს და თვითონვე მოახდენენ აღწერას.

წითელ არმიასა და აღწერის ჩამტარებელ ორგანოების შორის დამყარებული იქნა აღწერის ნიადაგზე მჭიდრო კავშირი. სტატ. სამმართველოსთან არსდება შერეული კომისიები წითელ-არმიისა და სამართველოს წარმომადგენლების შემადგენლობით. ნაწილებში დაინიშნება აღწერის ინსტრუქტორები, რომლებიც სტატისტ. სამმართველოდან მიიღებენ სათანადო ინსტრუქციებს.

საკავშირო აღწერის ცენტრალურმა კომისიამ უარყო წინადადება რკინის გზებსა და რკინისგზის სადგურებზე ცალკე აღწერის ჩატარების შესახებ.

ის პირები, რომლებიც 17 დეკემბერს მოხვდებიან გზაში—რკინისგზებზე, ან ხომალდებზე, აღწერაში გატარდებიან იმ ადგილებზე, სადაც ჩავლენ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების აღწერა მოხდება მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე.

საჰაერო ლატარია

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ, საკავშირო ავიაქიმს ნება მისცა, 1926-27 წელში მოაწყოს პირველი, სრულიად საკავშირო საავიაციო ლატარია, რომლის მიზანია: საბჭოთა კავშირის საჰაერო და ქიმიურ მრეწველობისათვის —საერთოდ და კერძოთ 1927 წელს დიდი საბჭოთა გადაფრენების მოწყობისათვის ხელის შეწყობა.

სულ გამოშვებული იქნება მთელს კავშირში ორი მილიონი ცალი ბილეთი. თითოეული ბილეთი ეღირება 50 კაპ.

მოგებათა რიცხვში შედის: 1) სამი მოგება —დედა-მიწის ირგვლივმგზავრობა, შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი-ნიუიორკი (ამერიკა)—ტოკიო (იაპონია)—მოსკოვი. მგზავრობისათვის გამოყენებულ იქნება აეროპლანები, ჩქარი მატარებლები, გემები და ავტომობილები. 2) 15 მოგება—მგზავრობა ევროპაში:—გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ოსმალეთის, საბერძნეთის და სხვა სახელმწიფოთა დედა-ქალაქების ნახვით. 3) 45 მოგება—გადაფრენები საბჭოთა კავშირის ფარგლებში: კავკასიის, უკრაინის და ყირიმის ქალაქებში გავლით. 4) 7.939 მოგება ადგილობრივ გაფრენებში მონაწილეობის მისაღებათ, ადგილობრივი გაფრენები მოეწყობა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ნოვოსიბირსკში, ბაქოში, თბილისში და სხვ.

ლატარიის ჩასატარებლად შექმნილია სპეციალური კომიტეტი—ამხ. ს. ს. **კამენევის** თავმჯდომარეობით.

ბილეთების გაყიდვა დაიწყება 1926 წლის 15 დეკემბრიდან. გათამაშება მოხდება მოსკოვში 1927 წელს.

საკავშირო ავიაქიმი უკვე შეუდგა ლატარიის ჩატარების კამპანიას.

პროფგანათლება

საქართველოს პროფსაბჭომ მიმართა ყველა პროფკავშირებს ცირკულიარული წერილით, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ მიმდინარე წლის საშემოდგომო და საზამთრო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფგანათლების საქმის სათანადოთ დაყენებას.

პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ პროფესიონალური განათლება მიმდინარე წელში პროფმოძრაობის საკითხების მასიურ პროპაგანდისა და პროფორგანიზაციების საკავშირო მასასთან დასაახლოვებლად ლექციების საუბრების, პროფდღეების, პროფწრეების და სხვ. მოწყობასთან ერთად, თავის ამოცანად უნდა ისახავდეს აქტიურ პროფმუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამ მიზნით, გადაწყვეტილია პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მოაწყონ პროფცოდნის სკოლები პროფაქტივის გადასამზადებლად. პროფცოდნის სკოლებში მიღებული იქნება 30—35 კაცი.

თბილისში პროფსკოლები იხსნება ცალკე კავშირებთან. მაცადინეობა იწარმოებს ერთხელ ან ორჯელ კვირაში.

საქონლის ბირჟაში

ხორცეულის სექცია

სექციამ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მოუწესრიგებელია საკითხი თბილისის ბაზარზე შემოზიდულ ხორცის შესანახი ადგილების მოწყობის შესახებ. ამის გამო გლეხების მიერ შემოტანილი დაკლული საქონელი გაუსაღებელი რჩება.

სექციამ დაადგინა—სთხოვოს მიკროსკოპიულ სადგურს, ნება დართოს გლეხებს, რათა მათ მიერ შემოტანილი ხორცი გასაღებამდე შეინახონ იქ.

სამრეწველო სექცია

გამოირკვა, რომ კალოშების შემოზიდვის გეგმა წელს გადიდებულია და განზრახულია სულ 236.000 წყვილ კალოშის შემოტანა.

საპროდუქტო სექცია

ახლო ხანში თბილისში მოწვეულ იქნება ყრილობა, რომელიც გაარჩევს საკითხს საქონლის შემოზიდვის ტარიფის დაკლების შესახებ.

მანუფაქტურით მოვაჭრენი

თბილისში დაარსდა ფართლეულით წვრილად მოვაჭრეთა კომიტეტი. კომიტეტში შედიან ვაჭრები: ადამიანი, ახვერდოვი, დავითაშვილი, მიქელაძე, ცინცაძე.

განათლების ფრონტზე

დუშეთის მაზრის სკოლების გამოკვლევა

დუშეთის მაზრაში მოგზაურობიდან დაბრუნდა განათლების სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **მარიამ ორახელაშვილი**, რომელმაც იქ გამოიკვლია სამოსწავლო-აღმზრდელობითი საქმის დაყენება.

ამხ. მარიამ ორახელაშვილი გამოკვლევას ახლდა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილ კომისიასთან ერთად.

გამოკვლევის შემდეგ დუშეთის მაზრის სასოფლო-სკოლების გადაუდებელ საჭიროებისათვის გადადებული იქნა 2.000 მანეთი. ყაზბეგის და შოკოლის სკოლებთან მოწყობილია შენობები შორეულ სოფლებში მცხოვრებ მოწაფეთათვის

განათლების სახალხო კომისარიატი დუშეთის მაზრაში ხსნის პირველი საფეხურის სამ ახალ სკოლას: ბაკურ-ხევში, კაიშაურში და ჩირკში.

შემოსავალი ტყეებიდან

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ დაამუშავა მასალები 1925—26 საბიუჯეტო წლის განმავლობაში შემოსული თანხების შესახებ.

წლის განმავლობაში სატყეო წესდების დარღვევის გამო ხაზინას ჰქონია შემოსავალი 23.546 მან. და 61 კაპ.; სამონადირო შემოსავალი უდრის—2.194 მ. 50 კ.; ტყის ძირზე გაყიდვით შემოსულა 918.694 მ. 54 კ.; არაპირდაპირი სარგებლობისაგან შემოსავალი უდრის 31.201 მ. 75 კ.; საურავი—5.482 მ. და შემთხვევითი შემოსავალი—183 მან.; საღერბო გადასახადისაგან შემოსავალი უდრის 9.419 მანეთს.

სულ შემოსავალი უდრის 1.118.879 მანეთს და 21 კაპ.

ხანძართან ბრძოლა

ქარხნებში

რესპუბლიკის სახანძრო ინსპექციამ წინადადება მისცა ყველა ქარხანა-წარმოებებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები წარმოებებში ხანძრის გაჩენის თავიდან ასაცილებლათ.

ასეთივე წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. წარმოებასაც.

ხანძართან ბრძოლის საქმის დაყენებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლათ აგებულ ქარხნებში. ამ მიზნით წინადადება მიეცა ყველა იმ ქარხნების ამგებ კომიტეტებს, რომლებიც ეხლა შენდებიან, რომ ქარხნების მოწყობის დროს მშენებლობაში მიიღონ აგრეთვე ხანძართან ბრძოლის ზომებიც.

ხანძართან საბრძოლველი მანქანები უკვე შეიძინეს და მოაწყვეს მარელისის გრეხილ ავეჯეულობის და ბორჯომის სატყეო ქარხნებში.

რკინისგზაზე

ნავთის პროდუქტების გადაზიდვა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველომ, საექსპორტო ნავთის ნორმალური ჩასხმის შესახებ გაუგზავნა გზათა-მიმოსვლის კომისარიატს შემდეგი ცნობა:

წიფაში მომხდარმა კატასტროფამ საექსპორტო ნავთის პროდუქტების ჩასხმა და მისი ბაქოდან—ბათომში გადაზიდვა ძლიერ შეაფერხა. კატასტროფის გამო 2½ დღე-ღამის განმავლობაში საექსპორტო ნავთის ჩასხმა სწარმოებდა მინიმალური რაოდენობით—40 ცისტერნა დღეში. ამ შემთხვევამ გამოიწვია აგრეთვე მთელ რიგ სამარშრუტო მატარებლების თავის მოყრა ბაქო—თბილისს შორის.

მოძრაობის განახლებისა და მატარებლების ჯაშვების მოწესრიგების შემდეგ საუღელტეხილო უბანზე, პირველ რიგში გაშვებულ იქნენ მხოლოდ თავმოყრილი მატარებლები.

ამჟამად გზების სამმართველოს მთელი ყურადღება მიქცეულია ნავთის პროდუქტების გადაზიდვის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისაკენ.

მატარებლის ქვეშ

გუშინ დილის 9 საათზე ჩქარი მატარებლის (№ 1) თბილისიდან წასვლის დროს მატარებლის ქვეშ ჩავარდა 50-60 წლის მოხუცი ქალი.

უბედურება შემდეგ პირობებში მოხდა: როცა მატარებელი დაიძრა, მოხუცს სახელურზე ეკიდა ხელი და ამ მდგომარეობაში მისდევდა მატარებელს, თანაც ყვიროდა—შველას ითხოვდა. მას მიეშველა სადგურის ერთ-ერთი მუშაკი, მოჰკიდა ხელი, მაგრამ ამ დროს ბორბლებმა შეიტაცეს ქალის კაბის კალთა, მოხუცი მოექცა რონოდების ქვეშ და გაისრისა.

მატარებელი გააჩერეს და გვამი ამოიღეს. მოხუცის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია.

რონოდების გადავარდნა

16 ნოემბერს, სადგ. ქიურდამირში მატ. № 271-ს მანევრების დროს ლიანდაგს ასცდა ორი დატვირთული რონოდა. რონოდები ამოიღეს ერთ საათში.

ამ შემთხვევამ გამოიწვია ხაზის დაზიანება ათი მეტრის მანძილზე.

გაწყვეტა

16 ნოემბერს სადგ. მალიში შესასვლელ სემაფორის გავლის დროს, გაწყდა მატ. № 274. მატარებელმა დაიგვიანა ათი წუთით.

დალმამეტლში

16 ნოემბერს სადგ. დალმამეტლში მატარებელი № 270 მიღებულ იქნა ორ ნაწილად.

ამ შემთხვევის გამო სახალხო მატ. № 5-მა დაიგვიანა 31 წუთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ოსმალეთის ვიცე-კონსულის ჩამოსვლა.

17 ნოემბერს სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა აქ ახლათ დანიშნული ოსმალეთის ვიცე-კონსული ბ. შერეფედინბეი.

ელჩის მოადგილეს სადგურზე შეხვდენ ოსმალეთის საელჩოს და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები.

ბავშვთა მეგობრების საზოგადოების სამდღიური

19, 20 და 21 ნოემბერს ჩატარდება „ბავშვთა მეგობრობის“ საზოგადოების სამდღიური. ლენინაკანის უპატრონო ბავშვთათვის გადარიცხული იქნება სამდღიურის განმავლობაში შეკრებილი თანხების 30 პროც.

სახლი მუშებისათვის

ა.-კ. ნავთსადგურთა სამმართველოს მიმდინარე საოპერაციო წლის მუშაობის გეგმაში შეტანილი აქვს საცხოვრებელ სახლების აგება ა.-კავკასიის მნიშვნელოვან ნავთსადგურებში ნავთსადგურთა მუშა-მოსამსახურეებისათვის.

გეგმით გათვალისწინებულია ბათომში აგებული იქნეს მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლი. სახლი დაიტევს ნავთ-სადგურში მომუშავეთა დიდ ნაწილს. წინასწარი მუშაობა სახლის ასაგებათ უკვე დაიწყო.

ფართალი

მიმდინარე წლის ნოემბერში ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მიაწოდოს მებამბეობის რაიონებს ფართალი შემდეგი რაოდენობით: აზერბეიჯანს—650.000 მეტრი, სომხეთს—106.000 მეტრი და საქართველოს—90.000 მეტრი.

რევოლიუციის მუზეუმში

რევოლიუციის მუზეუმის გამგეობამ გადასწყვიტა მას წინათ ნაძალადევში აღმოჩენილი ძველი სტამბა, რომელიც იქ დაუმალავთ 1912 წელს,—კვლავ ააწყოს და მოაწყოს მუზეუმის ერთ-ერთ განყოფილებაში.

მუზეუმში ამ მიზნით გადაწყვეტილია გამოჰყონ ცალკე კუთხე, სადაც წარმოდგენილი იქნება სტამბის დაარსების, გატაცების და მუშაობის მთელი ისტორია.

ამჟამად მუზეუმი აწარმოებს სტამბაში დაბეჭდილ პროკლამაციების, ბროშიურების და სხვა მასალების შეკრებას.

საპარიკმახეროები

საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინა საპარიკმახერო მუშების დასასვენებელ დღეთ დარჩეს კვირა დღე.

ამ დღეს დახურული უნდა იქნეს ყველა საპარიკმახეროები, როგორც ცენტრში, აგრეთვე განაპირა უბნებშიაც. ეს დადგენილება ვრცელდება იმ საპარიკმახეროებზეც, რომლებიც მოთავსებულია კლუბებში, სასტუმროებში, რესტორანებში და სხვა ადგილებში.

ხალიჩების ექსპორტი

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ ინგლისური ფირმა „კეგიან“-თან დადებულ ხელშეკრულების ძალით, ამიერ-კავკასიაში უკვე დამზადებულია და ახლო ხანში გაიგზავნება 11.000 ცალი კავკასიური ხალიჩა.

თბილისის აღმასკომში

◆ თბილისის კომუნალურ ბანკის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ახალქალაქში განყოფილების გახსნის შესახებ.

◆ თავისუფლების მოედნიდან შუა ბაზრამდე ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას შეუდგებიან ამ თვის ბოლოს.

◆ ბოტანიკურ ბაღის დირექციამ აღძრა შუამდგომლობა ბაღის კარებთან კოჯორის საურმე გზის დახურვის და საგადასახადო პუნქტის სხვაგან გადატანის შესახებ.

განათლების კომისარიატში

◆ სოფლის ახალგაზრდობის სკოლად სოფ. ვაქირში და აფენში (სიღნაღის მაზრა) გადაკეთდა ადგილობრივი 7 წლედები.

◆ **დახმარება.** დუშეთის მაზრის სკოლების საჭიროებისათვის განათლების კომისარიატმა გადასდო განსაკუთრებული თანხა.

◆ განათლების კომისარიატმა სოფ. ყაზბეგში გლეხთა ახალგაზრდობის სკოლასთან გახსნა პარალელური ჯგუფი 35 მოწაფისათვის.

◆ **სანიმუშო სკოლები.** საინსტრუქტორო განყოფილებამ დაამუშავა და დაუგზავნა სახელმძღვანელოდ ადგილებს დებულება და ინსტრუქცია რაიონულ-სანიმუშო სკოლების შესახებ.

◆ **ახალი სკოლები.** განათლების კომისარიატი დუშეთის მაზრაში ხსნის 1-ლ საფეხურის 3 ახალ სკოლას.

სას.-სამ. ბანკში

◆ **საკრედიტო ამხანაგობა.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა გორელოეს თემში დაარსოს საკრედიტო ამხანაგობა.

◆ **სესხები.** სას.-სამ. ბანკმა თელავის საკრედიტო ამხანაგობას მიანიჭა სანიმუშო ამხანაგობის წოდება და უპროცენტო სესხად 5 წლის ვადით მისცა 2.000 მან.

◆ **ელექტრო-სადგური.** ახალქალაქის აღმასკომმა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ახალქალაქის ელსადგურის გასაფართოებლად შავი ქვის ფონდიდან 32 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

◆ **ყველის ქარხანა.** სახ. მეურნ. უმაღ. საბჭო სოფ. ფარავანში ხსნის ყველის დასამზადებელ ქარხანას.

პროფსაბჭოში

საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლად საბინაო-საამშენებლო კოოპერაციაში ამხ. ელბაქიანის მაგივრად დამტკიცებულია ამხ. ბუაძე.

◆ **პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.** კვირას, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში მოხდება გამოცდა ყველა იმ ამხანაგებისა, რომლებიც გაგზავნილი უნდა იქნენ ელემენტარულ პროფსკოლების ხელმძღვანელებათ.

◆ **წყლის სპორტი.** საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ამჟამად ენერგიულ მუშაობას აწარმოებს წყლის სპორტის სხვადასხვა დარგების მოსაწყობათ ზაფხულის ხელოვნურ ტბაზე.

უკვე შეძენილია ხვადასხვა მოწყობილობა და იარაღები.

◆ **იურიდიულ წრეში.** პარასკევს, 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე იურიდ. წრეში (სახ. უნივერ. შენობაში) ლექტ. ირ. ტატიშვილი წაიკითხავს საჯარო მოხსენებას: „სუვერენიტეტის საკითხი საერთაშორისო სამართალში“.

— ამავე წრეში ხუთშაბათს 25 ნოემბერს იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ი. ვარძიელი წაიკითხავს საჯარო მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რევოლიუციონური კანონიერება“.

კრებები და მოხსენებები

◆ **საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** პარასკევს, ნოემბრის 19-ს, საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე (საქ. მუზეუმის აუდიტორიაში, კალოუბნის ქ. № 1) პროფ. კორნ. კეკელიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ბელგიელი ორიენტალისტი კონსტანტი კახის შესახებ“. კრება საჯაროა.

◆ **თათბირი.** პარასკევს, 19 ნოემბერს, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგება პროფსკოლების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნება ამხ. ბაბუჯანოვის მოხსენება პროფსკოლების ამოცანების შესახებ

შემთხვევები

საჯევახოს კოოპერატივის გამქურდავთა დაპატიმრება

ამა წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, თბილისიდან გურიაში საქეიფოდ წავიდნენ თბილისელი ყარაჩოღელები: გრიგოლ და ვალერიანე ცინცაძეები. რამოდენიმე დღე „ძმაბიჭებმა“ დაჰყვეს გურიაში და თბილისში გამომგზავრების წინ დაისვენეს ჩოხატაურის და შემდეგ საჯევახოს კოოპერატიულ დუქნებთან. მათ ჯიბე ცარიელი ჰქონდათ და გადასწყვიტეს კოოპერატივის გაქურდვა.

თავიანთი განზრახვა მათ სისრულეში მოიყვანეს.

ბოქლომის გატეხვის საშუალებით შევიდნენ მაღაზიაში და გამოიტანეს დაახლოებით 800 მანეთის საქონელი.

საქონელი ცინცაძეებმა ჩაიტანეს თბილისში და მიაბარეს ერთ კარგს ნაცნობს სადგურის ქუჩაზე.

გრიგოლ ცინცაძე დაიარებოდა ქალაქში და ეძებდა კლიენტებს, რადგან არ სურდა, რომ დიდის ვაი-ვაგლახით „ნაშოვნი“ საქონელი გაეყიდა იაფად და ნისიად. მაგრამ ვალერიანემ უღალატა ძმათ შენაფიცს გრიგოლს, მომავალში ვეღარ განაგრძო მასთან „მეგობრობა“ და თანაც იგრძნო რა მოსალოდნელი პასუხისმგებლობა, ერთ დღეს გამოცხადდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიის თავმჯდომარე ამხ. ს. მეგრელიშვილთან, უამბო მას თავისი „საგმირო საქმეების“ შესახებ და სთხოვა, რომ ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, რათა მისთვის ეპატიებინათ პირველი დანაშაული. ამხ. მეგრელიშვილმა ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას.

გრიგოლ და ვალერიანე ცინცაძეები დააპატიმრეს და მათი საქმე გადაეცა ოზურგეთის მაზრის პროკურორის თანაშემწეს.

◆ **ცეცხლი.** განათლების მუშაკთა სახლს 17 ნოემბერს დღის 12 საათზე გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

— 16 ნოემბერს მალაკნის ქუჩ. № 50 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

◆ **შეპყრობა.** 16 ნოემბერს ქურდობისათვის დააპატიმრეს ვართან შახნაზაროვი, რომელსაც ბრალდება ვასილ ფანცულაიას ბინის გაქურდვა.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 16 ნოემბერს ქსენიევის ქ. № 10 გაქურდეს რობერტ კუპცისის ბინა. წაიღეს 150 მან. ნივთები.

◆ **ქურდობა.** კარაკლისის ქუჩა № 3, 16 ნოემბერს გაქურდეს ტატიანა შაშვინას ბინა.

— ამავე დღის ნორიოს აღმართი № 6 გაქურდეს ივანე გამჯაშვილის ბინა.

სასამართლო

დახვრეტა გაფლანგვისათვის

(ვ. მიქაბერიძის საქმე)

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. გ. თუმანოვის თავმჯდომარეობით ზესტაფონში გაარჩია ვლადიმერ (ვალიკო) სარდიონის-ძე მიქაბერიძის საქმე.

მიქაბერიძე ირიცხებოდა შორაპნის შავი-ქვის დამტვირთავ მუშების ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნათ. იგი აწარმოებდა პროცენტულ ანარიცხების შეკრებას კავშირში შესატანად და აგრეთვე მუშებზე ხელფასის დარიგებას. მაგრამ ბრალდებულს საწევრო ანარიცხები კუთვნილებისამებრ არ შეჰქონდა. ყოველ მუშას სამუშაო ხელფასის დარიგების დროს აკლებდა 2 მან. 90 კაპ., როდესაც მუშები მას პრეტენზიებით მიმართავდენ, ბრალდებული ამშვიდებდა მათ და ეუბნებოდა: „ხურდა ფული არა მაქვს, ცოტა დაიცადეთ და დანაკლისის თანხასაც მიიღებო“. გადიოდა ხანი მიქაბერიძის დაპირება, დაპირებათ რჩებოდა. ადმინისტრაციამ ამ ამბავს ყური მოკრა და მოხდა რევიზია. რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ამ გზით მიქაბერიძეს მიუთვისებია საკმაო რაოდენობის თანხა. საქმე გადაეცა პროკურატურას და დაიწყო გამოძიება.

სასამართლოს კვლევა-ძიებით და მოწმეთა ჩვენებით მიქაბერიძის მიერ 1068 მანეთის მითვისების ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენ[illegible] და მუშების სამუშაო ხელფასს, დაადგინა: ვლადიმერ სარდიონის-ძე მიქაბერიძეს, 28 წლისას, კომპარტიის კანდიდატს—**1068 მანეთის და 8 კ. გაფლანგვისათვის მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.**

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა ამ დღეებში.

გამფლანგველი გაჩეჩილაძე

ამ წლის 6 მაისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა **ალექსანდრე გაჩეჩილაძის საქმე.**

გაჩეჩილაძეს ბრალდებოდა 1570 მანეთის მითვისება და გაფლანგვა თბილისის ცენტრალურ პარტსკოლის მოლარეთ ყოფნის დროს.

სასამართლომ გაჩეჩილაძეს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელმეორეთ გასარჩევათ გადასცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

გუშინ ეს საქმე გაირჩა ოლქის სასამართლოში.

სასამართლომ ბრალდებულ გაჩეჩილაძეს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

კული-ოღლის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. რცხილაძის თავმჯდომარეობით გაირჩა გუსეინ მამედ კული-ოღლის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა მაჭანკლობა და გარყვნილების ბუდის შენახვა.

ბრალდებული გუსეინ კული-ოღლი 40 წლის კაცია. ხელობით იგი ფეხსაცმელების მკერავია, მაგრამ ბოლო ხანებში თავი მიანება ამ ხელობას. გუსეინ ოღლიმ თავის გარშემო შემოკრიბა როსკიპი ქალები.

ქალებს აქირავებდა ნაცნობ „ძმა-ბიჭებში“, რომლებსაც ბრალდებული ახდევინებდა ფულს განსაზღვრული ნიხრით.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ამ სამარცხვინო ხელობას იგი ეწეოდა უკვე ორი წელიწადია.

სასამართლომ გუსეინ მამედ კული-ოღლის მაჭანკლობისათვის მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

შრომის კანონების დარღვევისათვის

გუშინ, შრომის სასამართლოში ამხ. რ. ჯლამაძის თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების: სართანია და ჩაჩანიძის მონაწილეობით გაირჩა თბილისის ცენტრალურ გამსახლ (№ 1) სახელოსნოების გამგის აპოლონ სვანიძის საქმე.

სვანიძეს ბრალდებოდა შრომის კანონების დარღვევა.

ამა წლის 13 აპრილს, მუშა-პატიმარი მათე ულენკოვი სადურგლო სახელოსნოში ასრულებდა ჩვეულებრივ სამუშაოს. რამოდენიმე ხნის შემდეგ სადურგლო ჩარხის საქმემ დაიწყო რყევა. ამ გარემოებას შედეგათ მოჰყვა უბედური შემთხვევა: ულენკოვს დაუსახიჩრდა მარჯვენა ხელის 4 თითი.

ექსპერტების დასკვნით უბედური შემთხვევა გამოწვეული იყო სახელოსნოში ტეხნიკური ზედამხედველობის უქონლობით.

სასამართლომ სვანიძე დამნაშავეთ სცნო იმაში, რომ ის სახელოსნოს არ უწევდა სათანადო ტეხნიკურ ზედამხედველობას და დააჯარიმა 50 მანეთით.

განაჩენი ხობაზოვის საქმეზე

გუშინ, საღ. 7 ს., სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულ რუბენ ხობაზოვის მიერ ტყავ-ტრესტის მოლარეთ ყოფნის დროს მითვისებული და გაფლანგული 4.900 მ., რისთვისაც მიესაჯა მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ხელოვნება

◆ **„ჰამლეტ“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“. ჰამლეტ—ვ. დავითაშვილი.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს მიდის „სოფლის პატიოსნება“ და „ჯამბაზები.“.

◆ **„ზოიას ბინა“.** დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა“.

◆ **განათლების მუშკთა სახლში** დღეს 18 ნოემბერს, საღამოს 8 ს. კ. კაპანელი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული კულტურის გარდატეხის პერიოდი და მიხ. ჯავახიშვილი“.

◆ **ახალი დადგმები.** მუშათა თეატრში წარმოსადგენათ რუსული დრამა ამზადებს შემდეგ პიესებს: „სიყვარული თელის ქვეშ“ და „ცოდვა“.

◆ **სტენდალის „იტალიური ქრონიკები“** ქართულ ენაზე. გერონტი ქიქოძე ქართულ ენაზე თარგმნის ცნობილ ფრანგ მწერლის სტენდალის „იტალიურ ქრონიკებს“. წიგნი გამოვა მომავალი წლის დასაწყისში.

—**„ქართული თეატრის ისტორია“.** შ. იმედაშვილმა დასწერა „ქართული თეატრის ისტორია“.

— **„ქართული თეატრის ალბომი“** იგივე ავტორი ამჟამად ადგენს „ქართული თეატრის ალბომს“, რომელშიაც შევლენ ქართველი მსახიობი, დრამატურგი, რეჟისორი და დამსახ. სც. ტეხ. მუშ. სურათით, სურათით როლში და ბიოგრაფიულ ცნობებით. აგრეთვე სხვადასხვა დროის ცალკე დადგმები, დასების სურათები და ყველა დადგმები ქართ. აკად. დრამისა. ორივე წიგნი გამოვა დაახლოვებით მომავალ წლის აპრილში.

ახალი სტადიონი

რამოდენიმე თვის წინად საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ აღძრული იყო საკითხი რამოდენიმე სტადიონის მოწყობის შესახებ თბილისის მუშათა უბნებში, სახელდობრ ნაძალადევში, დიდუბეში, ვაკეზე და ავლაბარში.

აქამდი ამ საკითხის გადაწყვეტა შეჩერებული იყო, რადგან კულტგანყოფილებას აღმასკომისაგან მიღებული არ ჰქონდა სათანადო მოედანი.

ამჟამად აღმასკომმა კულტგანყოფილებას სტადიონის მოსაწყობად გადასცა ფართო მოედანი ვაკეზე ყოფ. სემინარიის შენობის იქით. კულტგანყოფილებას განზრახული აქვს აქ მოაწყოს დიდი სტადიონი 10.000 კაცისათვის.

კულტგანყოფილება ამჟამად იმუშავებს სტადიონის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას. სტადიონის მოწყობა დაჯდება რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი.

ახალი სტადიონი იქნება საერთაშორისო სტადიონების ტიპის და იგი მოწყობილი იქნება მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით.

მუშაობა სტადიონის მოსაწყობად დაიწყება ახლო მომავალში. სტადიონი მზათ იქნება მომავალი წლის გაზაფხულისათვის.

ვინაიდან ერთი სტადიონი ვერ დააკმაყოფილებს თბილისის ფიზკულტურის წრეების საჭიროებას, პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე, რომ მას სასწრაფოდ გადაეცეს მოედანი დიდუბეში მეორე დიდი სტადიონის მოსაწყობად.

მოედანის მიღების შემდეგ შედგენილი იქნება სტადიონის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა და დაიწყება მუშაობა მის მოსაწყობად.

განზრახულია ეს სტადიონიც მზათ იქნეს მომავალი წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის.

ფეხბურთი

„დურუჯი“ — „ადგილობრივი ტრანსპორტი“

დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დურუჯი“-ს პირველი გუნდის და „ადგილობრივი ტრანსპორტი“-ს პირველი გუნდის (ყოფ. „ავტო-კლუბი“) კალენდარული შეჯიბრი პროფკავშირების გუნდების პირველობაზე.

„დურუჯი“-ს შემადგენლობა წელს რამოდენიმეთ გადახალისებულია. გუნდში შედიან: პაპკოვი, შვარცბაია, ხევსურიანი, ფრუიძე, იმნაძე, უიტნიცკი, ნიკო ამბოკაძე, გუნია, ვაჩნაძე, ვახტანგ ამბაკოძე და ქებაძე.

მსაჯი იქნება ამხ. ხოლტანი. შეჯიბრი დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე.

„დურუჯი“—„ს. პ. ი.“

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დურუჯი“-ს და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის პირველი გუნდების ამხანაგური შეჯიბრი.

შეჯიბრი დაიწყება დღის 3 საათზე.

კინო

ახალი კინო-სურათი

— **„ორი მონადირე“.** რეჟისორ წუწუნავამ დაამთავრა სურათ „ორი მონადირე“-ს ნატურალური გადაღება კახეთში და შეუდგა ფილმის მონტაჟს. სურათის პავილიონები გადაღებულია კინო-ფაბრიკაში ამ ზაფხულზე. მთავარი როლები დაკისრებული აქვთ: ელ. ჩერქეზიშვილს, თ. კალანდაძეს, მ. გელოვანს, კ. მიქაბერიძეს. ოპერატორი ს. ზაბოზლაევი.

— **„ჩვენი დროის გმირი“.** რეჟისორ ბარსკიმ დაამთავრა ლერმონტოვის მოთხრობების მიხედვით შემდეგი სურათების გადაღება: „ჩვენი დროის გმირი“, „ბელა“, „კნეიენა მერი“ და „მაქსიმ მაქსიმიჩ“ და შეუდგა ფილმების მონტაჟს. ამ სურათების ნატურალური გადაღება სწარმოებდა დაღესტანში, კისლავოდსკისა და პიატიგორსკის მიდამოებში და საქართველოს სამხედრო ძველ გზატკეცილზე. პეჩორინის როლი დაკისრებული აქვს ვ. პროზოროვსკის, ბელა—მაჭავარიანს, კაზბიჩის—ა. თაყაიშვილს, აზამეტის— მერაბიშვილს, მაქსიმ მაქსიმიჩის—ვ. ობოლენსკის, ვერა იგოგსკაიას — ბელეცკაიას, მერის—თ. ბოლქვაძე. „ბელა“ და „კნიაჟნა მერი“ გადაღებულია ოპერატორ პოლიკევიჩის მიერ.

— **„გიული“.** რეჟისორებმა ლ. პუშმა და ნ. შენგელაიამ დაამთავრეს გადაღება სურათ „გიული“-ს, რომელიც შეეხება ბორჩალოელთა ყოფა - ცხოვრებას. მთავარ როლებში არიან: ნატა ვაჩნაძე, ცეცილია წუწუნავა, ა. იმედაშვილი, ა. თაყაიშვილი და გ. მელიავა. ფილმის მოქმედების ფონად აღებულია მწყემსების ყოფა - ცხოვრება, რომელიც გადაღებულია ბორჩალოს მთების ალპიური საძოვრებზე. გადაღებას აწარმოებდა ახალგაზრდა ოპერატორი მ. კალატოზიშვილი.

— **„გრიგალი“.** რეჟისორმა პერესტიანმა დაამთავრა სურათ „გრიგალი“-ს გადაღება. ფილმი გადაღებულია ბათომის მიდამოებში ტროპიკული მცენარეულობის ფონზე და ზღვაზე. მთავარ როლებში არიან მარია შირაი, მარია ჩემისხიანი, ნინა ქარუმიძე, პ. ესიკოვსკი, მარიუს იაკობინი, ალ. შირაი, იაკობ კრუჩინინი, დიევსკი და ხინთიბიძე. ოპერატორი ა. დიღმელი.

— **„იბრაგიმი და გოდერძი“.** რეჟისორი ბერიშვილი ამჟამად იღებს სურათს „იბრაგიმსა და გოდერძის“—ჩაჩნებისა და ინდოელების ცხოვრებიდან. ოპერატორობს პოლიკევიჩი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა*)

21. მილიციის მოქმედება მოწესრიგდება ამ დებულებით, მუშათა და გლეხთა მილიციის წესდებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა, მისი მოადგილისა და რესპუბლიკის მილიციის ინსტრუქციებით, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებით და აგრეთვე ადმინისტრატიული განყოფილებებისა და მილიციის სამმართველოების განკარგულებით.

22. სამაზრო-საქალაქო და სარაიონო მილიციის სამმართველოებს აქვთ საკუთარი ბეჭედი სახელმწიფო ღერბით.

2. მილიციის მმართველობა

23. მილიციის მმართველობის ორგანოები არიან: საქართველოს .ს ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილება, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიული განყოფილება, სამაზრო, საქალაქო და სარაიონო მილიციის სამმართველოები.

24. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილება, რომლის სათავეშიაც სდგას უფროსი, იგივე რესპუბლიკის მილიციის უფროსი, არის რესპუბლიკის მილიციის უმაღლესი ორგანო.

25. ადმინისტრატიულ განყოფილებასთან არიან: ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიცია და ადმინისტრატიული განყოფილების ინსპექტორები.

26. მილიციის საკომანდო შედგენილობის მოსამზადებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან არის მილიციის საკომანდო შედგენილობის სკოლა, რომლის მოქმედებაც მოწესრიგდება განსაკუთრებული დებულებით.

27. მაზრაში მილიციის უმაღლესი ორგანო არის სამაზრო მილიციის სამმართველო, რომელიც შეადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას.

შენიშვნა. ქალ. თბილისში მილიციის სამმართველო შედის თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში, როგორც ქ/განყოფილება: მისი უფროსი იმავე დროს არის ქალ. თბილისისა და მისი მაზრის მილიციის უფროსი.

28. სამაზრო-საქალაქო მილიციის სათავეში სდგანან: მილიციის უფროსი და მისი თანაშემწე.

29. მაზრები და ქალ. თბილისი, ქუთაისი და ფოთი დაყოფილია რაიონებად, რომელთა სათავეშიაც სდგანან რაიონის უფროსები და აგრეთვე მათი თანაშემწეები. თანაშემწენი არიან იქ, სადაც ეს დაწესებულია შტატით.

30. რაიონის მილიციის უფროსები და მათი თანაშემწე ემორჩილებიან სამაზრო - საქალაქო მილიციის უფროსს, რომელიც პასუხისმგებელია მაზრისა თუ ქალაქის მილიციის მოქმედებისათვის კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. მაზრის მილიციის უფროსს ემორჩილებიან აგრეთვე მაზრის ტერიტორიაზე მყოფი საუწყებო მილიციის შენაერთები.

31. მაზრისა, ქალაქისა და რაიონის მილიციის სამმართველოებთან არსებობს კანცელარია, რომლის შტატსაც დააწესებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

32. საქმის წარმოების წესსა და საკანცელარიო დავთრების ფორმას განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი განსაკუთრებული ინსტრუქციით.

33. მაზრის მილიციასთან არსებობს მარქაფი, მილიციელთათვის საყაზარმო წესით მოწყობილი საერთო საცხოვრებელი ბინით.

34. მარქაფი წარმოადგენს მილიციის მებრძოლ ერთეულს და თანაც სკოლას, რომელიც მილიციის უმცროს თანამშრომელთ ასწავლის სამხედრო საწყობრო საქმეს და სპეციალურ საგნებს; ამრიგად იგი კადრია, რომლიდანაც მაზრაში და ქალაქში შეივსება მილიციელების თავისუფალი შტატი.

35. მარქაფში ყოფნის ვადა არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

36. სამსახურში ყველა ახლად მიღებული მილიციელი ჩაირიცხება მარქაფში, სადაც მას დაენიშნება უმცროსი მილიციელის ჯამაგირი.

37. მარქაფის სათავეში სდგას უფროსი, რომელიც აწარმოებს მეცადინეობას სკოლაში და, საჭიროების მიხედვით, მიიწვევს ლექტორებად მცოდნე პირებს.

შენიშვნა. სამარქაფო სკოლის პროგრამას შეიმუშავებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

3. მილიციის ორგანოთა გამგებლობის საგნები.

38. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებას დაეკისრება:

ა) ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა საადმინისტრაციო ხასიათის დადგენილებათა და განკარგულებათა განხორციელება;

ბ) რევოლიუციონური წესრიგისა, საზოგადოებრივი უშიშროებისა და ხალხის დოვლათის დაცვა;

გ) მილიციის პირადი შედგენილობის შევსებისა, სწავლებისა და მომარაგებისათვის ღონისძიების მიღება;

დ) ხელმძღვანელობა მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოების მოწყობისა და მოქმედებისათვის და მათთვისვე ინსპექტობისა და ინსტრუქტობის გაწევა;

ე) მეთვალყურეობა, კონტროლი და ხელმძღვანელობა მილიციის ადგილობრივი ორგანოებისათვის სისხლის სამართლის ყოველგვარ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში, იმის გამოკლებით, რაც ექვემდებარება სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს; მეთვალყურეობა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, აგრეთვე მილიციის მიერ სამსახურის აღსრულებისა და დისციპლინის დაცვისათვის და სხვა;

ვ) საკომანდო შედგენილობის თანამდებობაზე დანიშვნა და დამტკიცება ამ დებულების წესები სამებრ;

ზ) აღრიცხვა მილიციისა და მაძიებელი მილიციის საკომანდო და საადმინისტრაციო შედგენილობისა;

თ) მილიციის მომარაგება თოფ-იარაღით და აგრეთვე ცხენებისა და საარტილერიო ქონების აღრიცხვა;

ი) საუწყებო მილიციის ორგანიზაცია;

კ) საკომანდო შედგენილობის მოსამზადებელი სკოლის ხელმძღვანელობა, მილიციისა და მაძიებელი მილიციის ორგანოთა თანამშრომლების მოსამზადებლად პროგრამებისა, სახელმძღვანელოებისა და სხვ, შედგენა.

ლ) საოპერაციო ცნობების შემუშავება და შედგენა რესპუბლიკაში ჩადენილ დანაშაულთა შესახებ და მოხსენების შედგენა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის შედეგების შესახებ.

(შემდეგი იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ 263.

იურიდიული [illegible]

არის თუ არა კანონიერი ასეთი მოთხოვნა

კითხვა

ვმუშაობ ქ. თბილისში სასტუმრო „ფრანცია“-ში“ (ნეკრასოვის ქ. № 2 სახლში.) ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული (კავშირის წიგ[illegible] № 2.343). როგორც ყველა მუშა-მოსამსახურე[illegible] ისე მეც ვისარგებლე მორიგი შვებულებით და 8 ოქტომბერს სახ. კვების კავშირის ნებართვით გავემგზავრე ოჯახში დასასვენებლად. [illegible] სოფელი მდებარეობს ლეჩხუმის მაზრაში [illegible] ცაგერთან. ეს უკანასკნელი 12 ვერსის მანძილზე ორბელიდან დიდ გაჭირვებას განიცდიდა გზის მხრივ, ამიტომ ორბელს და ცაგერს შორის გზის გაყვანას შეუდგა ადგილობრივი ხელისუფლება. სოფელში ჩემი ჩასვლის დღეებში ეს აღმშენებლობითი საქმე უკვე დაწყებული იყო. ჩავიდი თუ არა, მეც ჩამთვალეს ამ სახელმწიფო საერთო გზის მომუშავეთა რიცხვში და ადგილობრივი ხელისუფლება არ აქცევდა ყურადღებას მას, რომ მე ვარ ჩამოსული ერთი თვის შვებულებაში მხოლოდ დასასვენებლად. დავალებული მაქვს ხსენებულ გზაზე სამუშაოზე გასვლა 5 დღე, ან ათი მანეთის გადახდა. მე ასეთ დავალებას ვერ ვსცნობ [illegible] და ჯერ-ჯერობით საქმე [illegible].

[illegible]

გრიგოლ ჩიკვაიძე.

[illegible]

[illegible] არ არის კანონიერი. თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ისა, მორიგი შვებულება მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ იმისათვის, რომ შვებულების დროს განმავლობაში მათ სრულიად დაისვენონ, მოიკრიბონ ძალ-ღონე, აღადგინონ ჯანმრთელობა და კვლავ დაუბრუნდენ თავიანთ სამუშაოს უფრო ნაყოფიერი და ენერგიული მუშაობისათვის. თუ კი შვებულებაში მყოფი მუშა იძულებული ხდება დასვენების დროს შრომის ბეგარა მოიხადოს, მაშინ მისი შვებულება ჰკარგავს თავის მნიშვნელობას; ამიტომ ასეთი არ დაიშვება შრომის კანონმდებლობის თვალსაზრისით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია კომპარტიის და კომკავშირის ცალკე უჯრედების გაერთიანებული არაჩვეულებრივი კრება.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა 18 ნოემბერს, დილის 10 საათზე გამოცხადდენ საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან: დეკანოზოვი არიანტი, ბერიძე პავლე, თელაძე ლადო, ქსოვრელი გიორგი, ქორიძე სოფიო, ლაკვა ივანე, კონოპაკი ვერა, მიქაძე ილია, გაბარაშვილი, ჩხენკელი და აკოფიანი აკოფ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა შესდგება დღეს, ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

დღეს, 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგება მთავარ სახელოსნოს და დეპოს უჯრედების ჯგუფური კრება, რომელზედაც „მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ“ მოხსენებას გააკეთებს ამხ. მ. კახიანი.

საქ. კომ. პარ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, ა. წ. 19 ნოემბერს საღამოს 6 საათზე მოწვეულია ქალაქის რაიონის უჯრედების შემდეგი ჯგუფური კრებები, მოხსენებით „მე-15 პარტკონფერენციის შედეგები“-ს შესახებ.

1) რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში—სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქართული მუშფაკის, იუსტსახკომის, ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს, განსახკომის, საქ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, შინსახკომის, მილიციის კოლექტივის, სოფლის კავშირის, ქალაქის აღმასკომის, ფოსტის, ტელეგრაფის, სახალხო კვების, ცენტრალურ პარტსკოლის, საბჭოთა პარტსკოლის (ქართული ნაწილი) უჯრედები.

მომხსენებელი ამხ. ფილიპე მახარაძე (ქართულ ენაზე).

2) მუშათა ახალ კლუბში—მეტყევეთა, მეხანძრეთა კოლექტივის, საბინაო მუშაცა, აღმშენებელთა, აგურხანების, რუსთაველის თეატრის, სახელმწიფო ოპერის, ლენინის სახელობის სახელმწ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის, რუსული მუშფაკის, სახელმწიფო კონსერვატორიის, სომხური მუშფაკის, კამოს სახელობის საფაბრიკოსაქარხნო სკოლის, ცენტრალურ და საბჭოთა პარტსკოლის (რუსული ნაწილი) უჯრედები.

მომხსენებელი ამხ. რატნეკი (რუსულ ენაზე).

ქალაქის რაიკომი.

უბედურნი—დედა ელენე დავითის ასული, მამა მიხეილ მახარობლის ძე, დები თამარ და ეთერი და ძმები შოთა და კაკო სიხარულიძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბ[illegible] 17 ნოემბერს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ქ ე თ ი ნ ო

რომლის გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავადმყოფოდან პარასკევს 19 ნოემბერს შუადღის 2 საათ. ვერის ახალ სასაფლაოზე დასაკრძალავად.

ღრმად დამწუხრებულნი: სიდედრი—მარიამ პორფირის ასული ბერიშვილი, ცოლისდები—ნინო დავითაშვილი, ბარბარე ბერიშვილი, ეკატერინე კანდელაკი და იულია ბიუსი, ქვისლები—პეტრე დავითაშვილი, გიორგი კანდელაკი და ევგენი ბიუსი შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 15 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე ნიკოლოზის-ძე ზედგინიძე

გამოსვენება მოხდება დღეს, 18 ნოემბერს, ქაშვეთის ეკლესიიდან ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე ანნა გიორგის ასული, ძმები იოსები და ვანო სიმონის ძენი და ძმისწულები ნიკო და ალექსანდრე ხუნჩიკაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა

მიხეილ სიმონის-ძე ხუნჩიკაშვილი

დაკრძალვა მოხდება სოფელ ველისციხეში შაბათს, ნოემბრის ოცს.

დ.

სახელმწიფო დრამა

დღეს, 18 ნოემბერს
ულ. შექსპირის ჰამლეტ
ტრ. 5 მოქ. თარგმანი ივ. მაჩაბლის. მუსიკა პ. ჩაიკოვსკის
ჰამლეტ—ვ. დავითაშვილი
დეკორაციები ირ. გამრეკელის
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ახმეტელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
ნ. 219 3—3

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 18 ნოემბერს,
პრემიერა 1. სოფლის პატიოსნება
2. ჯამბაზები
მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, ბოკოვა, ვოლჩანეცკაია, ვიტინგი, კანცბურგი, ვენაძე, გორელოვი, ქარცივაძე.
შაბათს, 20 ნოემბერს, პირველი აბონემენტის მეოთხე სპექტაკლი
ურიის ქალი
ნ. 215

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

ვინაიდან საზოგადოებას ძლიერ მოეწონა სურათი
ქალი გზაჯვარედინზე
მისი ჩვენება გაგრძელებულია
ანონსი—ამ დღეებში ნიბელუნგები
ბარბარა ლა-მარი და კონვეი ტირლის მონაწილეობით.
თეთრი რჩილი
მერი პიკფორდის მონაწილეობით
დოროტი ვერნონ
გარი პილის და მერი ხოლმის მონაწილეობით
სიკვდილზე უფრო სწრაფი
ნ. 157 0—15

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
0—1 უფ. მთავარი კანტორა

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
სხივებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ქ. ცხინვალში
გაზ. „კომუნისტ“-ზე ხელისმოწერა
მიიღება
ამხ. ვასილ ფავლენიშვილთან
საკუთარ ბინაზე ყოველდღე
3—1 მთავარი კანტორა.

ფოთის აღმასკომის სავაჭრო განყოფილება „ფოთივაჭ“ (ყოფ. „ეკო“)
ამით აცხადებს მონისიავეთა საყურადღებოთ, რომ თუ ა. წ. 30 ნოემბრამდე მათი დავალიანება არ იქნება დაფარული, იმ შემთხვევაში მათ გადახდებათ იძულებითი წესით სასამართლოს საშუალებით და დაერიცხებათ ამით გამოწვეული ყოველივე ხარჯები, კანონიერი პროცენტებით დღიდან ნისიის გაცემისა და მათი გვარები გამოცხადებული იქნება გაზეთში.
ნ. 218 2—1 სავაჭრო განყოფილება.

ს.შ.უ.ს. სატყეო მრეწველობის ტრესტი „გრუზლესპრომი“
აცნობებს მუშა-მოსამსახურეთ, რომ ტრესტის საწყობებში: ავლაბარში კახეთის ქუჩაზე № 15 და კამოს ქუჩაზე № 8.
არის დიდძალი ხის ნახშირი
1 ტომარა ნახშირი (წონით 3 ფუთამდე)—4 (ოთხი) მანეთი.
საჭიროა, რომ ყველამ მოიმარაგოს ნახშირი ზამთრისთვის.
ნ. 220 3—1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი
აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩის მე-2 შესახვევში, სახლი № 39, დანიშნულია 22 ნოემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა შალვა დავითისძე ბერუაშვილის ერთი-ერთ სართულიანი, ქვეშ სამი თვალიანი პალატით ქვიტკირის შენობის, შემდგარი ოთხი საცხოვრებელი ოთახისაგან და ერთი თვალი დერეფანისაგან, აგებული მიწაზე ზომით 110 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 1.500 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან საზოგადოება „ტრანსპორტის“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასების 10 პროც. ნ. 226

მოწაფეთ საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი
ამით აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, დღის 11 საათზე ილია ჭავჭავაძის ბინაზე, ალექსანდროვის ქუჩა № 45, პირველი საჯარო ვაჭრობით იგი გაჰყიდის მის, ჭავჭავაძის შემდეგ ქონებას, შეფასებულს 103 მანეთად: წიგნების თარო, ბუფეტის შკაფი, საწერი მაგიდა სარკით, კედლის საათი, სასადილო მაგიდა და სხვ. 587

ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 176), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25—1

ექიმი ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა.
25—1 ქვ. 379

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
იღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

ექ. ქ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ. საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ქუთაისში
ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიაცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო სამხედრო ბარათი კალენიკე ა[illegible]იმოს-ძე გამცემლიძეს სახელზე, ჩ. გ. 591

დავკარგე პირადი წიგნაკი, მოცემული ქუთაისის სამხედრო მაგიდის მიერ დავით თეიმურაზის-ძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 592

დავკარგე პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ბარათი ბაგრატ ფირანის-ძე სვანის სახელზე, ჩ. გ. 593

დავკარგე საბჭოთა და სავაჭროთა პროფკავშირის წიგნაკი № 12153, თამარა რუხაძეს სახელზე, ჩ. გ. 594

დავკარგე პირადი წიგნაკი ფორმა № 4 № 9110 და პირველ სამრეწველო ეკონომიურ ტეხნიკუმის (დიდუბის) სიმწიფის მოწმობა № 115, ალექსანდრე ზაქარიას-ძე ხოსიტაშვილის სახელზე, ჩ. გ. 589

დავკარგე მარტვილის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ მოცემული პირადი წიგნაკი № 132, გრიგოლი გაბრიელის-ძე ქითანავას სახელზე, ჩ. გ. 596

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 458 ავქსენტი კორტას-ძე ოჩიგავას სახელზე, ჩ. გ. 595

დავკარგე ს.ა.ლ.კ.კ. დროებითი მანდატი № 2659, კოტე სერაპიონის-ძე ბანუყვაძის სახელზე, ჩ. გ. 598

დავკარგე პირადობის მოწმობა № 32, განქორწინების მოწმობა № 2 და ნუსხა სამხედრო მაგიდიდან ივანე სიმონის-ძე ლომთაძის სახელზე, ჩ. გ. 598

დავკარგე კომკავშირის დროებითი მოწმობა, გაცემული გურიის ა.ლ.კ.კ. სამაზრო კომიტეტის მიერ № 1923 ბიქტორ მაქსიმეს-ძე თავაძის სახელზე, ჩ. გ. 598

დავკარგე პარტბილეთი № 493708 როსებ ბარძიმისძე თიბილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 595

დავკარგე ანგარიშის წიგნაკი 1058 ხორენა ხაჩატუროვის სახელზე, ჩ. გ. 599

დავკარგე სახელმწიფო კონსერვატორიაში სიმღერის კლასის კურსის დამთავრების მოწმობა თავისუფალ მხატვრის წოდების მიღების შესახებ ელენე თედორეს ასული ვოროხობინას სახელზე, ჩ. გ. უ.

დავკარგე მოწმობა, აფთიაქის მოწაფეობის წოდება № 1704, მიღებული 1906 წ. ვასილ გიორგისძე მიქაბერიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 226

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 6941, მოცემული ქუთაისის სატრანსპორტო კავშირიდან, სამხედრო აღრიცხვის ფურცელი მიხეილ სტეფანესძე გაპარიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 226

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.